MES 5 21 0001443177

31/12/2021

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 17.12.2021
სხდომის დაწყების დრო: 14:10 სთ
სხდომის დასრულების დრო: 23:30სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი
საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი -** სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნინო იმნაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **მარიამ შენგელია -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. **გაიანე სიმონია -** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
5. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
6. **ანზორ ბერიძე -** სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი;
7. **გაიოზ ფარცხალაძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

8. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
9. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის“ საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
10. **გიორგი ღაღანიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
11. **დავით კაპანაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
12. **დიანა მჭედლიშვილი** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
13. **ეკატერინე ნაცვლიშვილი** - შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ ასოცირებული პროფესორი;
14. **თეონა მატარაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
15. **მაკა კაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი.
16. **თამარ ჩხეიძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

სხდომაზე დამსწრე პირები
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	**ლაშა მარგიშვილი**	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე
2	**ნიკა ფარჯანაძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
3	**ლალი ოდიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
4	**ქეთი ინანიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
5	**თორნიკე ბაქაქური**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
6	**თამარ აფრასიძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
7	**ნინო სარჯველაძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
8	**სოფიკო ქურასბედიანი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
9	**თამთა ანთიძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

10	**ქრისტინე აბულაძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
11	**ნიკა გიგაური**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
12	**ანა ჯავახიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი
13	**ნინო გულიაშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება	სტატუსი	საკითხი
1	ვლადიმერ ღლონტი	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	I,II
2	ლევან ჯაყელი		იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი	I,II
3	ირაკლი გორგილაძე		იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I,II
4	რუსუდან კეჭაყმაძე		„ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	I,II
5	ქეთევან ბერიძე		„კლინიკური ფსიქოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	I,II
6	რუსუდან ბერიძე		„კლინიკური ფსიქოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	I,II
7	ნინო ივანიშვილი		ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის კავკასიური სკოლის დეკანი	**III**
8	მარიამ სეხნიაშვილი		„საზოგადოებრივი ურთიერთობების“ სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი	**III**
9	ნიკოლოზ აბუაშვილი		„საზოგადოებრივი ურთიერთობების“ სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი	**III**
10	დავით წასიძე			**III**

		ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	
11	ელენე ბერიძე		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი	**III**
12	გიორგი ტომარაძე		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი	**III**
13	გიორგი შუბლაძე		„საზოგადოებრივი ურთიერთობების“ სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორი	**III**
14	ანა ქეშელაშვილი		პროფესორი	**III**
15	ეკატერინე შალუტაშვილი		ასისტენტ-პროფესორი	**III**
16	ირმა გრძელიძე	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**IV**
17	ნუგზარ პაიჭაძე		პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი	**IV**
18	ნატალია ხარაძე		პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი	**IV**
19	ლევან საბაური		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი	**IV**
20	ია ნაცვლიშვილი		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი	**IV**
21	ნინო ტალიკაძე		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი	**IV**
22	დეა ფირცხალაიშვილი		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი	**IV**
23	თეა კორძაძე	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**V, VI**
24	ნანა შონია		ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი	**V, VI**
25	თენგიზ კუპრაშვილი		ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის	**V, VI**

			უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	
26	ზვიად ბეშკენაძე		„ეკონომიკის“ საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	**V, VI**
27	ხათუნა თოდუა		„ეკონომიკის“ სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი	**V, VI**

აკრედიტაციის ექსპერტები

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაციაელექტრონულისაშუალებითმონაწილეობისშესახებ**	**საკითხი**
1	სალომე საბიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	**I, II**
2	ნათია სორდია	(ჩაერთო „ზუმით“)	**I, II**
3	ირმა ქურდაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	**I, II**
4	ჯინა შოგირაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	**I, II**
5	ნატო ასათიანი	(ჩაერთო „ზუმით“)	**III**
6	ელენე ჯღარკავა	(ჩაერთო „ზუმით“)	**III**
7	მიხეილ ბიჭია	(ჩაერთო „ზუმით“)	**III, V, VI**
8	ანი წამალაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	**III**
9	ეკა გეგეშიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	**IV**
10	ზაზა ქოიავა	(ჩაერთო „ზუმით“)	**IV**
11	ილია ბოცვაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	**IV**
12	მაია ჭინჭარაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	**IV**
13	თამარ თავხელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	**IV**
14	ეკა ლეკაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	**V, VI**
17	ნინო ტალიკაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	**V, VI**

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:10 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კლინიკური ფსიქოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

3. ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „საზოგადოებრივ ურთიერთობათა“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ადამიანური რესურსების მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკონომიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კლინიკური ფსიქოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „საზოგადოებრივ ურთიერთობათა“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ადამიანური რესურსების მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკონომიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

1. პირველი საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფსიქოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	25.11.2011 გადაწყვეტილება №370
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-

8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფსიქოლოგიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0313 ფსიქოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	6010, საქართველო, ბათუმი, ნინოშვილის/ რუსთაველის ქუჩა 35/32
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

თვითაცილება განაცხადა საბჭოს წევრმა - ანზორ ბერიძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: პირველი და მეორე სტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა, ირმა ქურდაძემ, საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. მიზანშეწონილია მიზნების დაზუსტება და რეფორმულირება ისე, რომ ჭარბ დეტალიზაციას და შესაბამისად, შინაარსობრივ ურთიერთგადაფარვას არ ჰქონდეს ადგილი;
2. მიზანშეწონილია პროგრამის კვლევით კომპონენტთან დაკავშირებული შედეგებისა და ამ შედეგზე გამსვლელი კურსების შედეგების ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა;

3. მიზანშეწონილია: ან (ა) კონცენტრაციის სახით გამოიყოს კლინიკური ან/და სხვა მიმართულებ(ებ)ა, რომლის მოცულობა კლასიფიკატორის მე-6 მუხლის, მე-7 პუნქტის თანახმად, არ უნდა აღემატებოდეს 30 კრედიტს საბაკალავრო ნაშრომის ჩათვლით და კონცენტრაციის სწავლის შედეგი უნდა აისახოს პროგრამის სწავლის შედეგებში ან (ბ) ძირითად სასწავლო კომპონენტში წარმოდგენილი სპეციფიური კურსები შეთავაზებული იყოს ასარჩევი სასწავლო კურსების სახით, რაც მეტი არჩევანის შესაძლებლობას მისცემს სტუდენტს;
4. რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსები და განისაზღვროს მათი თანმიმდევრობა წინაპირობების გათვალისწინებით;
5. რეკომენდებულია პროგრამა შინაარსობრივად გაღრმავდეს კვლევითი კომპონენტის მიმართულებით, რელევანტური საგნების დამატებით ან/და არსებული კურსების შინაარსის მოდიფიცირებით;
6. მიზანშეწონილია პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა, რათა მათ ეფექტურად შეძლონ როგორც აკადემიური (ლექცია-სემინარები, საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღანელობა), ისე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წარმართვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ვლადიმერ ღლონტმა, მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს პროგრამის საფუძვლიანი შესწავლისა და რეკომენდაციების გაცემისთვის. მისი თქმით ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების ნაწილი გასათვალისწინებელია.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ირაკლი გორგილაძემ, განაცხადა, რომ თანამშრომლობა ნაყოფიერი იყო ორივე მხარისთვის. მან წარადგინა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული თითოეული რეკომენდაციის შესახებ:

1.1 კომპონენტში გაცემული რეკომენდაციის (მიზანშეწონილია მიზნების დაზუსტება და რეფორმულირება ისე, რომ ჭარბ დეტალიზაციას და შესაბამისად, შინაარსობრივ ურთიერთგადაფარვას არ ჰქონდეს ადგილი) შესახებ მან აღნიშნა, რომ მე-2 და მე-3 მიზანი შინაარსობრივად განსხვავდება ერთმანეთისგან და არსობრივად არ კვეთს ერთმანეთს. კერძოდ, მესამე მიზანი "ცდის პირებთან მასალის შეგროვებისა და დამუშავების საფუძველზე პრაქტიკული უნარ–ჩვევების დაუფლება; ფსიქიკური პროცესების კანონზომიერებების შესახებ სათანადო დასკვნების ჩამოყალიბების უნარ-ჩვევების გამომუშავება;" - ითვალისწინებს, ფსიქიკური პროცესების კანონზომიერებების შესახებ სათანადო დასკვნების ჩამოყალიბების უნარ-ჩვევების რეალიზებას უშუალოდ ცდის პირ(ებ)თან, მე-2 მიზანი: „შეძენილი თეორიული ცოდნის პრაქტიკულ (მათ შორის შესაბამისი დონის კვლევების) საქმიანობაში გამოყენების, ანალიზისა და განზოგადების უნარ-ჩვევების გამომუშავება; აქტუალური ცოდნის საფუძველზე, წინასწარი მითითების შესაბამისად, საბაკალავრო დონის კვლევითი სამუშაოების დაგეგმვის უნარის, ლაბორატორიული მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენების უნარ–ჩვევების გამომუშავება." გულისხმობს ხელმძღვანელის ზედამხედველობას. შესაბამისად, რეკომენდაციით გათვალისწინებული მიზნების დაზუსტებისა და რეფორმულირების საჭიროება არ არის.

1.2 კომპონენტში გაცემული რეკომენდაციის (მიზანშეწონილია პროგრამის კვლევით კომპონენტთან დაკავშირებული შედეგებისა და ამ შედეგზე გამსვლელი კურსების შედეგების ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა) შესახებ, განაცხადა, რომ პოზიციის არგუმენტირებისთვის სასურველია რეკომენდაცია დაზუსტდეს, რადგან მოცემული ფორმულირებით აღნიშნული რეკომენდაცია, არ ჯდება მოცემული კომპონენტის შეფასებაში.

2.2 კომპონენტში გაცემულ ორივე რეკომენდაციას (მიზანშეწონილია: ან (ა) კონცენტრაციის სახით გამოიყოს კლინიკური ან/და სხვა მიმართულებ(ებ)ა, რომლის მოცულობა კლასიფიკატორის მე-6 მუხლის, მე-7 პუნქტის თანახმად, არ უნდა აღემატებოდეს 30 კრედიტს

საბაკალავრო ნაშრომის ჩათვლით და კონცენტრაციის სწავლის შედეგი უნდა აისახოს პროგრამის სწავლის შედეგებში ან (ბ) ძირითად სასწავლო კომპონენტში წარმოდგენილი სპეციფიური კურსები შეთავაზებული იყოს ასარჩევი სასწავლო კურსების სახით, რაც მეტი არჩევანის შესაძლებლობას მისცემს სტუდენტს; რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსები და განისაზღვროს მათი თანმიმდევრობა წინაპირობების გათვალისწინებით) დაეთანხმა დაწესებულება.

2.3 კომპონენტში გაცემული რეკომენდაციის (რეკომენდებულია პროგრამა შინაარსობრივად გაღრმავდეს კვლევითი კომპონენტის მიმართულებით, რელევანტური საგნების დამატებით ან/და არსებული კურსების შინაარსის მოდიფიცირებით) შესახებ მან განაცხადა, რომ პროგრამით უზრუნველყოფილია კვალიფიკაციისთვის აუცილებელი კვლევითი უნარების განვითარება. კვლევითი უნარების უზრუნველმყოფი კომპონენტები ინტეგრირებულია თითქმის ყველა სასწავლო კურსში, თუმცა შესაძლებელია მისი რჩევის სახით განხილვა და გაძლიერება, რადგან ის იმ სახით, რომლითაც ექსპერტთა ჯგუფს აქვს წარმოდგენილი არ ჯდება აკრედიტაციის კომპონენტების შეფასების კრიტერიუმებში, ასევე ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო არ მოითხოვს ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებისგან ერთი კურსის დასრულების შემდეგ მეცნიერული კვლევისთვის გამოსადეგი კითხვარის შექმნას ან შესაბამისი სტატისტიკური ტექნიკების სწავლას პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებში, აღნიშნულ მახასიათებელს მეექვსე დონე არ მოეთხოვება და შესაბამისად, არც გათვალისწინებული არ არის.

4.1 კომპონენტში გაცემული რეკომენდაციის (მიზანშეწონილია პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა, რათა მათ ეფექტურად შეძლონ როგორც აკადემიური (ლექცია-სემინარები, საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობა), ისე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წარმართვა) შესახებ მან განაცხადა, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ჰქონდა აკადემიური პერსონალის შერჩევის პოლიტიკა, რომელსაც ახორციელებდა აკადემიური პერსონალის შერჩევის წესი, გარდა ამისა ყოველწლიურად კონკურსის წესით ხდება მოწვეული პერსონალის შერჩევა და პროგრამის განხორციელებაში ჩართვა, ამ შემთხვევაში პრიორიტეტი პრაქტიკოსებს ენიჭებათ, რაც უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა პრაქტიკული კომპეტენციების გაძლიერებას, გარდა ამისა პროგრამას უზრუნველყოფს ორი ემერიტუს პროფესორი, სამი ასოცირებული, ერთი ასისტენტ-პროფესორი, ორი აკადემიური ასისტენტი, დარგობრივი, არადარგობრივი, კიდევ სხვაა, მიმდინარე წლისთვის არსებობს ერთი ვაკანტური პოზიცია, ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე, რომელიც უმოკლეს ვადაში გამოცხადდება, შესაბამისად დაწესებულების მოსაზრებით, პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი განაპირობებს პროგრამის მდგრადობას.

14:19 საათზე საბჭოს შემოუერთდა ეკატერინენაცვლიშვილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ, პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ პროგრამის ხელმღვანელმა საკმაოდ ვრცლად ისაუბრა, თუმცა თვითონ ემხრობოდა რეკომენდაციის ფორმულირებას, რადგან მიზნები ძალიან დეტალიზებული იყო და ის საჭიროებდა რეფორმულირებას/დაკონკრეტებას, რადგან იქ არა მხოლოდ გადაფარვები იყო, არამედ თვითონ მიზნები, ნაწილობრივ იმეორებდა შედეგებს, შესაბამისად პროგრამა შედეგების ნაწილშიც ძალიან რთული გასაგები იქნებოდა სტუდენტთათვის და შედეგების მიღწევის მიზნითაც გართულდებოდა, ამიტომ, აღნიშნული რეკომენდაცია ნამდვილად საჭიროდ და ღირებულად მიიჩნია. კონცენტრაციების შესახებ რეკომენდაციას დაეთანხმა დაწესებულება, საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ რომელი კონცენტრაციების შექმნას მოითხოვდა დაწესებულება მომავალში, რადგან ეს ძალიან შრომატევადი საქმეა და კონცენტრაციების შედეგების ცალ-ცალკე გაწერას გულისხმობს, კითხვის არსი მდგომარეობდა იმაში, რომ მას გაეგო, თუ რამდენი დრო დასჭირდებოდა მომავალში დაწესებულებას. მან

მიმართა ექსპერტთა ჯგუფს იმ საკითხთან დაკავშირებით, სადაც კვლევითი კომპონენტის გაძლიერებაზე იყო საუბარი, კერძოდ კონკრეტული საგნების დამატებაზე იყო საუბარი, მან სთხოვა დაესახელებინათ საგნები, რადგან სტრუქტურაში იყო კვლევითი პროექტი, საბაკალავრო ნაშრომი და დაინტერესდა არის თუ არა ეს საკმარისი საბაკალავრო საფეხურისთვის.
საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაგანიძემ, განაცხადა, რომ მას აქვს კითხვა აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით, მან მოისმინა ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებაც, დასკვნაც და წაიკითხა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციაც, თუმცა სურდა დეტალურად გარკვეულიყო აღნიშნულ საკითხში, ერთია, როგორი წესდება აქვთ, როგორ იღებენ აკადემიურ პერსონალს, ეს საკითხი გასაგებია, ასევე, დაწესებულების მოსაზრებით პროგრამის განვითარების მდგრადობას არ უშლის ხელს აკადემიური პერსონალის ის რაოდენობა, რომელიც ემსახურება პროგრამას, მაგრამ მეორე მხრივ, რამდენჯერმე ახსენეს, რომ „უმჯობესი იქნება, თუ ეყოლებათ მეტი აკადემიური პერსონალი“, აღნიშნული პრობლემა გაჩნდა იქიდან, რომ თითო ლექტორი ბევრი საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელია. ასევე ითქვა - „უკეთესი იქნება სამეცნიერო თვალსაზრისით“, ექსპერტთა ჯგუფი სავარაუდოდ გაეცნო პროფესორების პირად საქმეებს და ჩათვალეს, თუ არა რომ არ იყო საკმარისი კვლევითი სამუშაოების ის მოცულობა, რომლებიც წარმოდგენილ იყო.
ექსპერტის, ირმა ქურდაძის, განცხადებით კვლევით კომპონენტთან დაკავშირებით არგუმენტირებულ პოზიციაში გაისმა, რომ ეს არ არის მეექვსე საფეხურის მოთხოვნა, თუმცა, როდესაც საუბარია ასეთ ამბიციურ მიზნებსა და ასევე, საბაკალავრო ნაშრომზე, როგორც სავალდებულო კომპონენტზე, ეს ნიშნავს, რომ დაწესებულებას აქვს ამბიცია აწიოს სტანდარტი და უფრო მაღალი მოთხოვნები დაუყენოს პროგრამას, გარდა ამისა, კვლევითი კომპონენტი, იმ ფორმით, რა ფორმითაც ექსპერტთა ჯგუფმა ნახა საჭიროებდა უფრო გაღრმავებას. ადამიანური რესურსის ნაწილში, მისი თქმით, დაწესებულება იღებს 50 სტუდენტს, თუ იანგარიშებენ გამოდის, რომ 4 კურსის შემთხვევაში 200 სტუდენტია, მისი მოსაზრებით იმ რაოდენობით არ იქნება საკმარისი, რადგან ისინი დაკავებულნი არიან, როგორც საბაკალავრო, ასევე სამაგისტრო საფეხურზე, რაც მოიცავს ძალიან ბევრ ნაშრომს, როგორც საბაკალავრო, ასევე სამაგისტრო საფეხურზე, შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ საკმაოდ მაღალია მოთხოვნები ამ მიმართულებით და პრობლემებიც, შესაბამისად გაიცა რეკომენდაცია პერსონალის რიცხვის ზრდასთან დაკავშირებით.

14:28 საათზე საბჭოს შემოუერთდა დავით კაპანაძე.
ექსპერტმა, ნათია სორდიამ, განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, დასკვნაში, რეკომენდაციის აღწერაში განხილული ჰქონდათ ზემოთმოყვანილი ორი მიზანი, ორივე შემთხვევაში ლაბორატორიაში იქნება ეს თუ სხვისი ხელმძღვანელობით კვლევის წარმართვაში, ნებისმიერ შემთხვევაში ცდისპირის ან კვლევის მონაწილის შეფასება და მასთან კითხვარების ადმინისტრირება უწევს სტუდენტს, თუ ეს არის პროგრამის მიზანი, მაშინ ყველა ის საგანი, რომელიც გათვალისწინებულია პროგრამაში აღნიშნულ მიზანს უნდა ემსახურებოდეს, თუმცა მეორე რეკომენდაცია, რომელიც გულისხმობს ისეთი საგნების დამატებას, რომლებიც ამ მიზნებზე გაიყვანს სტუდენტს, ან საგნების მოდიფიკაცია, ისევ ამოდიან, მაგ., ერთ-ერთი სილაბუსიდან „ფსიქოლოგიის მეთოდები“, რომელშიც არის შედეგი, „სტუდენტი შეძლებს რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენებას ფსიქოლოგიური კვლევის დროს, კითხვარის შედგენას და კვლევის ჩატარებას ფსიქომეტრიული და პროექციული ტესტების გამოყენებას“ ექსპერტთა ჯგუფი აბსოლუტურად დაეთანხმა დაწესებულების წარმომადგენელს, რომელმაც თქვა, რომ ეს არ არის რელევანტური მეექვსე საფეხურისთვის, რომ კითხვარი შეადგინოს სტუდენტმა, რადგან ეს საჭიროებს მთელი რიგი სტატისტიკური პროცესების ცოდნას/გამოყენებას და ა.შ. რაც არ არის რელევანტური საბაკალავრო საფეხურისთვის, ეს არის შედეგი და თუ ასეთი ამბიციურია პროგრამა, მაშინ შესაბამისად უნდა მოხდეს გადაწყობა მთლიანად პროგრამის შინაარსის ან სილაბუსების შინაარსის

მოდიფიცირება უნდა მოხდეს და მოერგოს პროგრამის მიზნებს, როდესაც ამბობენ, რომ უნდა დაემატოს შესაბამისი საგნები, ან მოდიფიცირდეს უკვე არსებული, სწორედ ამას გულისხმობენ, რომ თუ მიზანი არის, რომ კვლევის ჩატარება შეძლოს ცდისპირებთან, თუ შეფასება დიაგნოსტირება იგულისხმება, თუ უფრო სამეცნიერო კვლევის ჩატარება ამ ორი მიმართულებიდან სამეცნიერო კვლევის ჩატარება უფრო რელევანტურია, ვიდრე შეფასება-დიაგნოსტირება, რადგან ძალიან მაღალი საფეხურია, ბაკალავრიატის სტუდენტს არც მოეთხოვება და არც არის სასურველი, რომ განახორციელოს, როცა ამბობენ, რომ უნდა დაემატოს საგნები, გულისხმობენ, რომ თუ მიზანი იქნება ის, რაც არის, მაგ., „კურსდამთავრებულმა უნდა შეძლოს კვლევის ჩატარება, სხვისი მხარდაჭერითა თუ სუპერვიზიით“, მაშინ მან უნდა შეძლოს ამ მონაცემების დამუშავების სხვადასხვა ტექნიკის სწავლა, მაგ., SPSS, რადგან თუ ამბობენ, რომ კვლევას ჩაატარებს, დასკვნას გამოიტანს და განაზოგადებს, იგულისხმება, რომ თუნდაც სხვისი დახმარებით, შეძლოს SPSS-ში დამუშავება.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის საუბრიდან გამოიკვეთა რომ, შესაძლებელია მიზნებისა და შედეგების რეფორმულირებით საფეხურთან მიაღწიონ რელევანტურობას, რათა კვლევითი კომპონენტი ამ სახით არ იყოს წარმოდგენილი და არ საჭიროებდეს საგნების დამატებას.

ექსპერტმა, ნათია სორდიამ, განმარტა, რომ რეკომენდაციის თანახმად, ან რეფორმულირება უნდა მოხდეს, ან დაემატოს ახალი, ან უნდა შეცვალოს არსებული საგნების სილაბუსების შინაარსი.

ექსპერტმა, ირმა ქურდაძემ, განაცხადა, რომ არსებობს მესამე გზაც, შესაძლებელია შედეგების ნაწილში მოხდეს გარკვეული მოდიფიცირება, რომელიც გაიყვანს აღნიშნულ კურსებთან.

საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაგანიძემ, განაცხადა, რომ მისი კითხვის ნაწილი დაუფარავი დარჩა, აკადემიური პერსონალის შესახებ გაჟღერდა ერთი ფრაზა, რომ მეტი დრო დარჩებოდათ კვლევითი ნაშრომის შესასრულებლად, გასაძლიერებლად, დაინტერესდა, თუ რამ გამოიწვია აღნიშნული რეკომენდაციის გაწერა, რაღაც დანაკლისი შეგრძნება თვალსაზრისით თუ რამ განაპირობა.

ექსპერტმა, ნათია სორდიამ, განაცხადა, რომ უნივერსიტეტს შემუშავებული ჰქონდა წამახალისებელი სისტემა, როდესაც კვლევებს ატარებენ და აქვეყნებენ, რაც ძალიან კარგია, უბრალოდ, თანამედროვე რეალობაში უმჯობესია ბევრი სტატია წეროს და აქვეყნოს ჟურნალებში, ძალიან ბევრი ნაშრომი აქვს უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს, თუმცა თვლიან, რომ ეს არ არის საკმარისი, მითუმეტეს, როდესაც უნივერსიტეტის მხრიდან ხელშეწყობაა, უნდა მოხდეს მაქსიმალურად წამახალისებელი გზებისა და რესურსის გამოყენება, მხოლოდ სწავლა-სწავლების მიმართულებით არ უნდა მოხდეს აკადემიური პერსონალის დატვირთვა და თანაბრად უნდა მოხდეს, როგორც სწავლის პროცესის დაგეგმვა/წარმართვის, ასევე კვლევის დაწერისა და გამოქვეყნების მიმართულებით, ექსპერტთა ჯგუფს დარჩა შთაბეჭდილება, რომ პროფესორები უფრო დიდი დოზით არიან ჩართულნი სწავლების პროცესში, ვიდრე სამეცნიერო ნაშრომების შექმნა/გამოქვეყნების ნაწილში.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ვლადიმერ ღლონტმა, განაცხადა, რომ უნივერსიტეტში ოქმედებს აკადემიური პერსონალის განსაზღვრის წესი და რეკომენდაცია, რომელიც გაცემულია აკადემიური პერსონალის რაოდენობის ზრდასთან დაკავშირებით, დაწესებულებისთვის ძალიან კეთილგანწყობილია, მაგრამ პერსონალის რაოდენობა არის რეგლამენტირებული და შესაბამისი იმ რეგულაციასთან, რომელიც უნივერსიტეტში არსებობს და ითვალისწინებს, რომ თუ დარგობრივ დეპარტამენტში პერსონალის მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება, უნივერსიტეტის ბიუჯეტისა და სახელფასო სარგოს გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა რაოდენობისა და საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში დაგეგმილი საერთო აკადემიური საათების გათვალისწინებით, აღნიშნული კომპონენტების შეფასების საფუძველზე ყალიბდება აკადემიური პერსონალის მაქსიმალური რაოდენობა საშტატო ერთეულებისა და ამის შემდეგ კვლევების, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით ხდება მაქსიმალური

რაოდენობის ჩაშლა კონკრეტული აკადემიური თანამდებობის მიხედვით. მოცემულ პროგრამასთან დაკავშირებით, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა უკვე ისაუბრა რაოდენობაზე, ასევე არის ერთი ვაკანტური პოზიცია ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე, რომელიც იქნება გამოყენებული პროგრამის გაძლიერებისათვის, აღნიშნულ რეკომენდაციას დაწესებულება დადებითად მიიჩნევს, თუმცა მისი განხორციელება არის დამოკიდებული იმ მორალური, აკადემიური, ფინანსური შესაძლებლობებიდან, რომლებიც გააჩნია უნივერსიტეტს, აღნიშნული რესურსები შეზღუდულია და სჭირდება ეფექტიანი მართვა, დაწესებულებას აქვს თავისი პოზიცია, რომელიც დამოკიდებულია წესზე, შესაძლებელია ეს წესი დაიხვეწოს და ის რაც ექსპერტთა ჯგუფს დახვდა უნივერსიტეტში განპირობებულია აღნიშნული ფაქტორებით.

„ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, რუსუდან კეჭაყმაძემ, განაცხადა, რომ სასწავლო კურსის „ფსიქოლოგიის მეთოდები“ საგნის ავტორი თვითონ არის, აღნიშნული საგნის სახელთან დაკავშირებით გაცემულია რჩევაც, რომელსაც დაწესებულება გაითვალისწინებს, უბრალოდ პირდაპირ წერია, რომ არის „ფსიქოლოგიის მეთოდები“ და ჯობია იყოს „ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდები“, მაგრამ აღნიშნული სასწავლო კურსის შედეგები, გადის პროგრამის მესამე შედეგზე „შეძლებს ელემენტარული კვლევის: ტესტები, კითხვარები, ინტერვიუ ან ცდების ჩატარებასა და განზოგადებას“, გასაგებია, რომ მეცნიერულ კითხვარს ვერ შეადგენს სტუდენტი ერთი საგნის გავლით, მაგრამ ეს არ ყოფილა აღნიშნული საგნის მიზანი, საუბარია მარტივი კითხვარის შედგენაზე, რომელიც გამოიყენება რაოდენობრივი კვლევის შედგენაში, ცალკე თემად არის გამოტანილი კითხვარის აგება, როგორი კითხვები გამოიყენება და ა.შ. საუბარი არ არის რთულ მეცნიერულ კითხვარზე, ეს არის ამ დონისთვის საკმარის ინფორმაცია, რომელსაც სტუდენტები ღებულობენ გამოკითხვასთან დაკავშირებით. დანარჩენ საკითხებთან დაკავშირებით აღნიშნულიც იყო პროექციული ტესტების შესწავლის თვალსაზრისით ექსპერტთა ჯგუფს ნახსენები ჰქონდა როშაჰის ტესტი, მისთვის ცოტა მოულოდნელი იყო დასკვნაში ამის წაკითხვა, რადგან ინტერვიუს დროს საუბარი არ ყოფილა აღნიშნულ საკითხზე, პროგრამას არ აქვს როშაჰის ტესტი, რომელიც ძვირადღირებულია და წლების წინ საქართველოში მხოლოდ ორ ადამიანს ჰქონდა, თუმცა ტესტი რომც ჰქონდეთ სჭირდება დამუშავების სწავლა, რადგან ეს არის ურთულესი ტესტი, რომელსაც კლინიცისტები იყენებენ, მას არ აქვს პრეტენზია ამის კომპეტენციის შესახებ და შესაბამისად არც სილაბუსშია შეტანილი, თუმცა შეტანილია პროექციული ტესტი, რომელიც მოცემულია ბევრ სახელმძღვანელოში, არის ხელმისაწვდომი, ერთ-ერთი მათგანი არის არარსებული ცხოველის დახატვა, რომელსაც აცნობს სტუდენტებს, თავისი ინსტრუქციით, ასევე აცნობს ერთ-ერთ პროექციულ ტესტს - წინადადების დასრულებას, რომელიც მიიღო თავისი ტრენერისაგან, რომლის გამოყენების/სტუდენტებზე მიცემის უფლებაც აქვს, ამ ტიპის პროექციულ ტესტებზეა საუბარი სილაბუსში, მას არ შეუძლია თქვას, რომ შეუძლია გამოიყენოს როშაჰის ტესტი, მაგრამ ზემოაღნიშნულ ტესტებს აცნობს სტუდენტებს. როშაჰის ტესტი ნახსენები აქვს სალექციო მასალაში, რომ პროექციული ტესტების დროს სტუდენტებს აძლევს მასალას, რომელიც არის არა სტრუქტურირებული, რომელიც იძლევა პროექცირების მეტ საშუალებას, თუმცა კვლევები, რომლებიც ჩატარებულია როშაჰის ტესტის საშუალებით, მკვლევარები საუბრობენ იმაზე, რომ თვითონ ეს ბარათი, რომელსაც აჩვენებენ ცდისპირს, ესეც რაღაც ასოციაციებს იწვევს, შესაბამისად საუბარი იმაზე, რომ პირველი ბარათი უფრო ხშირად ასოცირებულია ისეთ თემებთან, როგორიცაა უხეში, ჭუჭყიანი და ა.შ. ამას ნამდვილად ახსენებენ.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ, დაწესებულების წარმომადგენლებს შეახსენა კითხვა კონცენტრაციებთან დაკავშირებით,

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა, განაცხადა, რომ მას ჰქონდა კითხვა სწავლის შედეგების გაზომვადობასთან დაკავშირებით, როგორც პროგრამაში, ისე სასწავლო კურსების სილაბუსებში, თუ რამდენად მკაფიოდ არის გამოხატული და რამდენად არის ფორმულირება იმგვარად ჩამოყალიბებული, რომ ადვილი იყოს გაზომვა, ასევე ლიტერატურასთან

დაკავშირებით, ძირითადად წარმოდგენილია 2009-2010 წლის გამოცემები, რამდენად არის რელევანტური დარგისთვის.
საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ, კვლევის მეთოდებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ სილაბუსს „ფსიქოლოგიის მეთოდები“ არ აქვს პრეტენზია, რომ სტუდენტს ასწავლის კვლევის ჩატარებას ანუ საუბარია განსხვავებაზე, კითხვარის შედგენაზე, მაგრამ არა კვლევის ჩატარებაზე, რომ ეცოდინება კვლევის ჩატარება, მისი მოსაზრებით თუ პროგრამაში წერია, რომ სტუდენტს ეცოდინება კვლევის ჩატარება, აღნიშნული სილაბუსი ამაზე ვერ გადის, ამიტომ კიდევ ერთხელ სთხოვა დაეზუსტებინათ ეს კვლევის მეთოდები არ ემსახურება იმას, რომ სტუდენტმა შეძლოს კვლევის ჩატარება, რადგან არ ასწავლიან ანალიზს, ამიტომ წავლენ პროგრამის შედეგების შეცვლის გზით თუ გაასწორებენ სასწავლო კურსს, რადგან თვითონ სილაბუსთან პრეტენზია არ აქვს.
საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ 2.6 კომპონენტში, სადაც საუბარია შეფასების კომპონენტებსა და მეთოდებზე, სასწავლო კურსის შინაარსსა და სპეციფიკაზე რომ მოხდეს მათი გადახედვა და უფრო მეტად იყოს მორგებული, მან სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს უფრო ვრცლად ესაუბრათ აღნიშნულ საკითზე.
„ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, რუსუდან კეჭაყმაძემ, განაცხადა, რომ შეთავაზებული იყო ორი ვარიანტი, ან კონცენტრაციები უნდა გაეკეთებინათ, ან ის საგნები, რომლებიც წარდგენილია სავალდებულო საგნებად გადაეტანათ არჩევით საგნებში და შეეთავაზებინათ მეტი არჩევითი კურსი, მისი მოსაზრებით, უმჯობესი იყო აღნიშნული საკითხის შესახებ პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ერთად ემსჯელათ და აერჩიათ რომელიმე შემოთავაზებული ვარიანტი. ლიტერატურის შესახებ დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებას, რომ მათ სილაბუსებში ზოგგან არ არის ახალი ლიტერატურა, მაგრამ საქმე ისაა, რომ ქართული ლიტერატურა, რაც კი ხელმისაწვდომია ყველაფერი წარდგენილი იყოს, ასევე მნიშვნელოვანია, რომ სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა უნდა იყოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, არის ლიტერატურა, რომელიც აუცილებელია იმ დარგის სწავლებისათვის, მაგ., განვითარების ფსიქოლოგია იყოს 2005 წელს გამოსული, მაგრამ ის საკითხები, რაც არის ამ რიდერში საჭიროა, როდესაც საქმე ეხება განვითარების ფსიქოლოგიის სწავლებას, მისთვის გასაგებია, რომ მნიშვნელოვანია უახლესი ლიტერატურა, სილაბუსების ავტორები მუდმივად ცდილობენ მოიპოვონ ლიტერატურა, თარგმნონ და შესთავაზონ სტუდენტებს, მაგრამ, როდესაც საუბარია წიგნზე და მატერიალური სახით/ელექტრონული ვერსიით შესაძლებელია შეფერხდნენ ამ კუთხით.
ექსპერტმა, ირმა ქურდაძემ, ლიტერატურასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმაც დასვა ვიზიტზე აღნიშნული კითხვა და ზუსტად იმ ფორმულირებით, რომლითაც „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, რუსუდან კეჭაყმაძემ, ზემოაღნიშნული პასუხი უკვე გასცა, დაწესებულებას აქვს ძალიან კარგი პორტალი, შიდა განაწესის მიხედვით ყველაფერი უნდა აიტვირთოს და აქვთ რაღაც რეგულაციები, რომლებიც ამართლებს აღნიშნულ ნაწილს.
ექსპერტმა, ნათია სორდიამ, განაცხადა, რომ შედეგები ისეა ფორმულირებული, რომ გაზომვადი/მიღწევადია, უბრალოდ, ცალკეული კურსები და დგება საკითხი ამ კურსებში ნახსენები შედეგები/მიზნები რამდენად არის შესაბამისობაში პროგრამის მიზნებთან/შედეგებთან, ფორმულირების თვალსაზრისით შესაძლებელია პრობლემა არ არის, მაგრამ ეს შესაბამისობა ცალკეულ სილაბუსებში გაწერილი შედეგების და პროგრამის შედეგების აქ ჩნდებოდა კითხვები. რაც შეეხება შეფასების მეთოდებს, როშაჰის ტესტი შეიძლება არ გამოიყენებოდეს, მაგრამ ისეა ნახსენები, რომ იყენებს პროექციულ ტესტებს ალბათ აჯობებს, თუ დაკონკრეტებული იქნება ტესტები, რადგან შესაძლებელია ასოცირება მოხდეს იმ ტესტებთანაც, რომლებიც დიდ ცოდნას/გამოცდილებას მოითხოვს. ექსპერტთა პროგრამის შედეგების ფორმულირების ნაწილში პრობლემა არ შეუნიშნავს, ცალკეული სილაბუსების და ამ სილაბუსებში გამოყენებული მეთოდები რამდენად არის გამსვლელი პროგრამის შედეგებზე, თუ, მაგ., მიზანი არის, რომ კვლევის ჩატარება შეძლოს, შედეგიც

შესაბამისად უნდა იყოს ფორმულირებული, მაგრამ პროგრამა რამდენად აძლევს სტუდენტს ცოდნას თუ როგორ უნდა დაამუშავოს მოპოვებული ინფორმაცია, როგორ უნდა მოიპოვოს და ა.შ. დაწესებულებამ განმარტა, რომ სტუდენტი ადგენს მარტივ კითხვარს, მაგრამ ფორმულირებული ისეა სილაბუსში, რომ ქმნის კითხვარს, კითხვარის შედგენა მერე მისი ადმინისტრირება, ეს აჩენს კითხვებს.
ექსპერტმა, ირმა ქურდაძემ, განაცხადა, რომ ეს მოითხოვს მეტაკოგნიტურ/სააზროვნო უნარებს, რაც სხვა დონეა და შორდება მეექვსე საფეხურს.
საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ 2.6 კომპონენტში, სადაც საუბარია შეფასების კომპონენტებსა და მეთოდებზე, სასწავლო კურსის შინაარსსა და სპეციფიკაზე რომ მოხდეს მათი გადახედვა და უფრო მეტად იყოს მორგებული, მან სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს უფრო ვრცლად ესაუბრათ აღნიშნულ საკითზე.
ექსპერტმა, ჯინა შოგირაძემ, განაცხადა, რომ სილაბუსების გადახედვის შემდეგ გამოიკვეთა უნიფიცირებული შეფასების კრიტერიუმები/მეთოდები და დაკონკრეტებულიც კი არის კურსები სადაც მეორდებოდა, მისი მოსაზრებით, ნეირო ფსიქოლოგიასა და გენდერულ ფსიქოლოგიას სხვადასხვა შეფასების კრიტერიუმები/მეთოდები სჭირდება, თუმცა ვინაიდან არ მოიცავდა ყველას სასწავლო კურსს და შესაძლებელი იყო კურსების დაკონკრეტება, ამიტომ ჩაიწერა რჩევაში.
საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა, რომ რჩევად გაიწერა, რადგან კურსების რაოდენობა იყო მცირე.
ექსპერტმა, ჯინა შოგირაძემ, დაადასტურა საბჭოს თავმჯდომარის მიერ ნათქვამი.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რომ თუ არ შეიცვლებოდა შეფასების კომპონენტები აღნიშნულ სილაბუსებში, დაარღვევდა თუ არა კურსის შედეგებზე გასვლის სინქრონს.
ექსპერტმა, ირმა ქურდაძემ, განმარტა, რომ არ დაარღვევდა და არ შეცვლიდა სურათს, რადგან ექსპერტთა ჯგუფმა დაინახა დაწესებულების პოტენციალი, მოარგოს რესურსი იმას, რომ ყველა კურსისთვის შექმნას ინდივიდუალური შეფასება, ამიტომ წარმოადგინეს რჩევის სახით.

2. მეორე საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კლინიკური ფსიქოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კლინიკური ფსიქოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	12.03.2012 გადაწყვეტილება №44
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-

11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0313 ფსიქოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	6010, საქართველო, ბათუმი, ნინოშვილის/ რუსთაველის ქუჩა 35/32
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადა საბჭოს წევრმა - ანზორ ბერიძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: პირველი და მეორე სტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა, ირმა ქურდაძემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. შედეგები მეტად დაკონკრეტებული და სპეციფიკურია. მიზანშეწონილია, კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს შესაბამისად, გამსხვილებული და ზოგადი სახით ჩამოყალიბდეს ცოდნა-გაცნობიერებასთან, უნარებთან და ავტონომიურობა-პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული ასპექტები;
2. მიზანშეწონილია ცალკეულ სილაბუსებში გაწერილი შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის შედეგებთან და ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებთან;
3. რეკომენდებულია, პროგრამის შედეგების ისე ფორმულირება, რომ იყოს გაზომვადი, რეალისტური და მიღწევადი;
4. მიზანშეწონილია, რომ კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობა იყოს ფსიქოლოგიის ბაკალავრის ხარისხის ფლობა;
5. მიზანშეწონილია გაძლიერდეს პროგრამის კვლევითი და პრაქტიკული კომპონენტი;

6. რეკომენდებულია, კვლევითი კომპონენტის გაძლიერების მიზნით, პროგრამის ძირითად საგნებს დაემატოს შესაბამისი სასწავლო კურს(ებ)ი (მაგ., „თვისებრივი კვლევის მეთოდები“);
7. რეკომენდებულია, პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერების მიზნით, პროგრამის ძირითად საგნებს დაემატოს შესაბამისი სასწავლო კურსი, რომელიც კლინიკურ შეფასებასა და დიაგნოსტირებაზე იქნება მიმართული და პროგრამის მიზანს მეტად მიღწევადს გახდის;
8. მიზანშეწონილია, გადაიხედოს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგი და მოხდეს მათი რეფორმულირება პროგრამის მიზნებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისად;
9. მიზანშეწონილია, პროგრამამ მეტად უზრუნველყოს სტუდენტთა პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარება;
10. მიზანშეწონილია, პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა, რათა მათ ეფექტურად შეძლონ როგორც აკადემიური (ლექცია-სემინარები, სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობა), ისე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წარმართვა.

15:00 საათზე საბჭოს შემოუერთდნენ გაიოზ ფარცხალაძე და თამარ ჩხეიძე.
გაიოზ ფარცხალაძემ განაცხადა თვითაცილება, რომლის საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ვლადიმერ ღლონტმა, განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებულ დასკვნას დაწესებულების წარმომადგენლები დადებითად აფასებს. მან მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისა და გამოთქმული რჩევა/რეკომენდაციებისათვის, რომელთა ნაწილს ინსტიტუცია ეთანხმება, ნაწილთან დაკავშირებით გააჩნიათ განსხვავებული შეხედულებები.
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ირაკლი გორგილაძემ, განიხილა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები:
1.2 კომპონენტთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციების (შედეგები მეტად დაკონკრეტებული და სპეციფიკურია. მიზანშეწონილია, კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს შესაბამისად, გამსხვილებული და ზოგადი სახით ჩამოყალიბდეს ცოდნა-გაცნობიერებასთან, უნარებთან და ავტონომიურობა პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული ასპექტები; რეკომენდებულია, პროგრამის შედეგების ისე ფორმულირება, რომ იყოს გაზომვადი, რეალისტური და მიღწევადი. რეკომენდაცია ბუნდოვანია და ის საჭიროებს დაზუსტებას) შესახებ განაცხადა, რომ განპირობებულია, პროგრამის სპეციფიკით, თუმცა შესაძლებელია მისი განზოგადება და სავარაუდოდ კლინიკური ფსიქოლოგიის გავლენით მოხდა აცდენები საბაკალავრო პროგრამაზე, საგანმანათლებლო პროგრამას თან ერთვის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, სამიზნე ნიშნულების მიხედვით, სადაც ჩანს, რომ შედეგი მიღწევადი/რეალისტური რომ იყოს მითითებულია სპეციალური კურსები, რომლებიც იძლევა წარმოდგენას თუ როგორია თითოეული სწავლის შედეგების შეფასების სამიზნე ნიშნულები.
ასევე 2.1 კომპონენტთან გაცემული რეკომენდაციის (მიზანშეწონილია, რომ კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობა იყოს ფსიქოლოგიის ბაკალავრის ხარისხის ფლობა) შესახებ მან განმარტა, რომ საუბარი იყო წინაპირობაზე, ფსიქოლოგიის ბაკალავრის ხარისხის ფლობაზე, სპეციალობა კლინიკური ფსიქოლოგია დარგობრივი მახასიათებლით არ მიეკუთვნება რეგულირებად სფეროს, მიუხედავად ამისა კლინიკური ფსიქოლოგიის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში აღნიშნულია, რომ „საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს პირს, რომელსაც აქვს ფსიქოლოგის ბაკალავრის ხარისხი ან ბაკალავრიატის საფეხურზე გავლილი აქვს ფსიქოლოგიის minor პროგრამა (60 კრედიტი) ან ნებისმიერი სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, თავისუფალი კრედიტების სახით

ათვისებული აქვს ფსიქოლოგიის დარგის კრედიტები (მინიმუმ, 50 კრედიტი).“ შესაბამისად გათვალისწინებულია სტუდენტის მომზადების დონე შეთავაზებული საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვებისა და დაძლევის უზრუნველსაყოფად.
2.2 კომპონენტთან დაკავშირებული რეკომენდაციის (მიზანშეწონილია გაძლიერდეს პროგრამის კვლევითი და პრაქტიკული კომპონენტი. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა საკმარისად შეიცავს კვლევით და პრაქტიკულ კომპონენტებს, დასაშვებად მიგვაჩნია საკითხის განხილვა რჩევის სახით) შესახებ, მან განაცხადა, რომ პროგრამა საკმარისად შეიცავს კვლევით და პრაქტიკულ კომპონენტებს, დასაშვებად მიგვაჩნია საკითხის განხილვა რჩევის სახით.
2.3 კომპონენტში გაცემული რეკომენდაციების (რეკომენდებულია, კვლევითი კომპონენტის გაძლიერების მიზნით, პროგრამის ძირითად საგნებს დაემატოს შესაბამისი სასწავლო კურს(ებ)ი (მაგ. „თვისებრივი კვლევის მეთოდები“); რეკომენდებულია, პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერების მიზნით, პროგრამის ძირითად საგნებს დაემატოს შესაბამისი სასწავლო კურსი, რომელიც კლინიკურ შეფასებასა და დიაგნოსტირებაზე იქნება მიმართული და პროგრამის მიზანს მეტად მიღწევადს გახდის; მიზანშეწონილია, გადაიხედოს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგი და მოხდეს მათი რეფორმულირება პროგრამის მიზნებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისად) შესახებ მან განაცხადა, რომ ექსპერტთა რეკომენდაცია შეიძლება გაზიარებული იქნას დაწესებულების მიერ სასწავლო კურსებისა და კომპონენტების დამატების ნაწილში, თუმცა არ ვეთანხმებით რეკომენდაციის მეორე ნაწილს, რომელშიც მოთხოვნილია თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგის გადახედვა და მათი რეფორმულირება პროგრამის მიზნებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისად. ისინი ფორმულირებულია დამსაქმებლების, კურსდამთავრებულისა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის მიერ და წარმოადგენს კონსოლიდირებულ პოზიციას.
2.4 კომპონენტში გაცემული რეკომენდაციის (მიზანშეწონილია, პროგრამამ მეტად უზრუნველყოს სტუდენტთა პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარება) შესახებ მან აღნიშნა, რომ პროგრამით უზრუნველყოფილია კვალიფიკაციისთვის აუცილებელი პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარება. პროგრამაში არსებული საგნები, როგორიცაა: „არტთერაპია“, „დამოკიდებულების ფსიქოლოგია“, „ფსიქოსინთეზი“, „ადაპტური ქცევისა და ემოციური დარღვევების შეფასების ინსტრუმენტები“ - უვითარებს პრაქტიკულ უნარებს, ხოლო რაც შეეხება კვლევითი უნარების განვითარებას, ის ინტეგრირებულია თითქმის ყველა სასწავლო კურსში, თუმცა შესაძლებელია მისი რჩევის სახით განხილვა და გაძლიერება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ, განაცხადა, რომ ორივე მხარემ ისაუბრა პროგრამაზე მიღების წინაპირობებთან დაკავშირებით, ნამდვილად წერია ფსიქოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და ის დათქმები, რომლებზეც დაწესებულებამ ისაუბრა, დაინტერესდა არის თუ არა ეს ყველაფერი საკმარისი იმისათვის, რომ პროგრამა იყოს დაძლევადი, ასევე დაინტერესდა თუ რა ტიპის გამოცდა ბარდებოდა სპეციალობაში, ფარავდა თუ არა ფსიქოლოგიის საკითხებს და რატომ გაჩნდა აღნიშნული რეკომენდაცია, თუ დაწესებულებას ჰქონდა აღნიშნული წინაპირობა. მან მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, იმ მძიმე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც გაცემულია 1.2 კომპონენტთან მიმართებით (მიზანშეწონილია ცალკეულ სილაბუსებში გაწერილი შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის შედეგებთან და ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებთან), დაინტერესდა, თუ რამდენ სილაბუსში იყო აღნიშნული პრობლემა, რატომ არის ასეთი მძიმე შეფასება (ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტებს), როგორ შეიძლება მისი გამოსწორება და დარგობრივ საგნებს ეხებოდა თუ არა. მან მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, აღნიშნა, რომ სამაგისტრო საფეხურის სავალდებულო სასწავლო კურსებში ვერ დაინახა საგანი, რომელიც მაგისტრანტს განუვითარებდა სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისთვის საჭირო უნარებს და დაინტერესდა

აღნიშნული საკითხები სადმე იყო თუ არა ინტეგრირებული სხვა სასწავლო კურსებში, თუ საერთოდ არ იყო წარმოდგენილი. მისი განცხადებით, კარგია რომ დაწესებულებამ პროგრამაში დაამატა C1 ინგლისურის სწავლება, რაც აძლიერებს პროგრამას, თუმცა სილაბუსის მიხედვით იკვეთება, რომ ის არის ზოგადი ინგლისური და მის ნაცვლად კარგი იქნებოდა პროგრამის გაძლიერება არა ზოგადი ინგლისურით, არამედ დარგობრივი ინგლისურით, რაც უფრო მეტად გაუადვილებდა მაგისტრანტს ნაშრომის შესრულებას და ინგლისურენოვანი სამეცნიერო ლიტერატურის ათვისებას/გაცნობას. ასევე აღნიშნული სილაბუსი საჭიროებს გადამუშავებას თემატიკის ნაწილში, რომელიც შემოიფარგლება მხოლოდ Unit-ებით და ტექსტების სათაურებით, არ არის აქტივობები, სწავლების მეთოდები, პრაქტიკული მეთოდები და სხვა, რომლებიც იმ 4 სამეტყველო კომპეტენციებს განუვითარებდა სტუდენტს წერა, კითხვა, საუბარი და მოსმენის მიმართულებით. ასევე, მან ისაუბრა სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსზე, სადაც შეფასების კრიტერიუმების ნაწილი საჭიროებდა მოდიფიცირებას, ვინაიდან მხოლოდ რეცენზენტის 4 კომპონენტიანი შეფასება იყო მითითებული ყოველგვარი ქულების გარეშე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 ბრძანების ჩანაწერი შეფასების ზოგად სისტემაზე, შესაბამისად აღნიშნული სილაბუსი საჭიროებს მოდიფიცირებას, დაკონკრეტებას, მითუმეტეს< როცა შეფასება ხდება კომისიური წესით და ერთჯერადად.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, განაცხადა, რომ გადახედა სამაგისტრო ნაშრომებს და თვალში საცემია გამოყენებულ ლიტერატურასთან დაკავშირებით არ არის ერთიანი წესი, ზოგგან არის სულ 11 წყარო, ზოგგან ვებ გვერდები, არის სამაგისტრო ნაშრომები, სადაც ყველა წყარო ინგლისურია, მაგრამ გადანომრვის გარეშე მიდი, ზოგგან ყველა წყარო ქართულია, შინაარსზე ვერ ისაუბრებს, მაგრამ სამაგისტრო საფეხურზე სამაგისტრო ნაშრომი არის მთელი მუშაობის შეჯამება, ამით ფასდება თუ რა ცოდნა და უნარები მისცა დაწესებულებამ, შესაძლებელია თვითონ ნაშრომში ყველაფერი კარგად იყოს, მაგრამ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს ესაუბრათ გაფორმების ნაწილთან დაკავშირებით, რატომ არის ასეთი და რამე ცვლილებები ხომ არ იყო დაგეგმილი.

საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ, კვლევით უნარებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ სავალდებულო საგნებში მხოლოდ SPSS იყო წარმოდგენილი, დაინტერესდა რომელი სილაბუსით ან რომელ წყაროში იფარებოდა რაოდენობრივი კვლევა, რომლის შედეგების ანალიზისთვის არის საჭირო SPSS. ასევე, დაინტერესდა კვლევით უნარებთან დაკავშირებით, რომელიც ნაშრომის საბოლოო ფორმატს ხელს შეუწყობდა, ეს შეიძლება არ ყოფილიყო აკადემიური წერა, მაგრამ კვლევის კურსში უნდა ყოფილიყო ინტეგრირებული ნაშრომის მომზადება, გაფორმება, ციტირების საკითხები, რაც მან ვერ მოიძია. ასევე, მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, თუ როგორ შეაფასებდნენ შინაარსობრივად სამაგისტრო ნაშრომებს, რადგან კვლევის უნარის დეფიციტი, ყველაზე მეტად აღნიშნულ კომპონენტში უნდა გამოხატულიყო.

ექსპერტმა, ნათია სორდიამ, შედეგების გაზომვადობის საკითხთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მიუხედავად კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამისა, მისი სპეციფიკურობისა, იგი ძირითადად ეხება შეფასებას, დიაგნოსტირებასა და ჩარევას, სწორედ აქედან გამომდინარე იჩენს თავს მთელი რიგი პრობლემები, ერთ-ერთი შედეგი არის, „პაციენტებთან და მათ ოჯახის წევრებთან კონსულტირების დროს ფისიქოთერაპიული ტექნიკების გამოყენება“, ბუნდოვანია თუ როგორ უნდა მოხდეს აღნიშნული შედეგის გაზომვა, მითუმეტეს, როდესაც პრაქტიკული კურსის ხელმძღვანელთან ინტერვიუს დროს აქცენტი კეთდებოდა იმაზე, რომ სტუდენტები მიდიოდნენ კლინიკაში და აკვირდებიან შეფასებას სხვადასხვა პაციენტებთან მუშაობის პროცესისა, ამიტომ ცოტა ბუნდოვანია თუ როგორ ხდება ამ შედეგის გაზომვა. შინაარსობრივი ნაწილისა და სილაბუსების მოდიფიცირების საჭიროების შესახებ მან განაცხადა, რომ ერთ-ერთი სილაბუსი, რომელიც ექსპერტთა ჯგუფში განსჯის საგანი გახდა „ფუნქციონირების პატერნებისა და პიროვნებათშორისი ურთიერთობების აშლილობები“ აღნიშნული სასწავლო კურსის შედეგებში წერია, რომ „სტუდენტი შეძლებს შიზოფრენიის, დისოციაციური (კონვერსიული), ფსიქოაქტიურ ნივთიერებებზე დამოკიდებულების, დეპრესიის და პიროვნული აშლილობის კონკრეტული ტიპების

შემთხვევაში დაავადების მართვას.“ ბუნდოვანია რა იგულისხმება მართვაში. მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ მაგ. შიზოფრენიის მართვა პირველ რიგში მედიკამენტოზური მკურნალობის დახმარებით ხდება და შესაბამისად, ამის კომპეტენცია მხლოდ ფსიქიატრს აქვს, როდესაც უკვე ფონი მოწესრიგებულია შემდეგ ერთვება კლინიკური კონსულტანტი და ეხმარება პაციენტს პრობლემასთან გამკლავებაში, ამასთანავე არ არის შესაბამისობაში პროგრამის სწავლის შედეგებთანაც. პროგრამის წინაპირობის შესახებ მან განმარტა, რომ ეს არის კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა და არა შრომისა და ორგანიზაციის მიმართულების პროგრამა, მითუმეტეს შედეგებში და მიზნებშიც ასე აქვთ, რომ კურსდამთავრებული მუშაობს პაციენტებთან, ადამიანებთან, ზემოქმედებს მათ ფსიქიკაზე, რაც იყო განმაპირობებელი იმისა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა ფსიქოლოგიის ბაკალავრიატის წინაპირობად გაწერა და არ ისეთ ადამიანებს, ვისაც minor-ად აქვთ გავლილი ფსიქოლოგია, რადგან ისინი არ ფლობენ ფართო და ამომწურავ ინფორმაციასა და ცოდნას, შესაბამისად ვერ იქნებიან კონკურენტუნარიანი, მათთან შედარებით ვისაც გავლილი აქვს ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა, ინტერვიუებიდან გაირკვა, რომ ვინაიდან ზოგიერთი მსურველი არ შეესაბამებოდა კრიტერიუმებს არ მიიღეს. ძირითადი არგუმენტი იმისა, თუ რატომ ითხოვს ექსპერტთა ჯგუფი, რომ წინაპირობა იყოს ფსიქოლოგიის ბაკალავრის ხარისხის ქონა არის ის, რომ ეს არის კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა და ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა, ფაქტობრივად მედიცინის ტოლია, როდესაც ანდობენ მუშაობას ამ ადამიანებს. სამაგისტრო ნაშრომების შესახებ მან აღნიშნა, რომ პროგრამის ფარგლებში ისე აქვთ აწყობილი, რომ ძირითადი ორიენტირი კეთდება შეფასება-დიაგნოსტირებაზე, პრობლემა ის არის, რომ შეფასება-დიაგნოსტირების კურსი არ არის პროგრამაში მოცემული და სასურველია მისი დამატება, უფრო კლინიკური თვალსაზრისით შეფასებაა და სამაგისტრო ნაშრომებშიც ეს კომპონენტია წარმოჩენილი, ვიდრე რაოდენობრივი კვლევა, შესაბამისად კი არის SPSS-ის კურსი და ამუშავებენ რაოდენობრივ მონაცემებს, მაგრამ მეტწილად თვისებრივი კვლევის მიმართულებით უფრო არის პროგრამა განვითარებული, ვიდრე რაოდენობრივი კვლევის.

ექსპერტმა, ირმა ქურდაძემ, წინაპირობებთან დაკავშირებით, განაცხადა, რომ იმდენი ფაქტია, რომ ოჯახის გაანადგურების და ა.შ. იმდენად მნიშვნელოვანია ფსიქიკური აშლილობები, განსაკუთრებით პანდემიამ აჩვენა, რომ უაპელაციოდ მიაჩნიათ, თუკი სტუდენტს არ ექნება ფსიქოლოგიის ბაკალავრის ხარისხი არაფრით არ შეიძლება მისი მიღება, რადგან ეს არის სასიცოცხლო მნიშვნელობის დარგი, რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომებს, ექსპერტთა ჯგუფმა რაც განიხილა, შინაარსი მიღებულია, ჯდება მოთხოვნებთან, გაფორმების წესთან დაკავშირებით იყო საუბარი, შიდა განაწესში დაწესებულებას აქვს რეგულაციები, სტუდენტებთან ინტერვიუებით დადგინდა, რომ მათ აქვთ თავისუფლება არ უზღუდავენ თუ რამდენ წყაროს გამოიყენებენ, შესაბამისად მათ შეუძლიათ თავისი სურვილის მიხედვით გამოიყენონ, წყაროების რაოდენობაც არ არის რეგლამენტირებული, ინტერნეტ წყაროს გამოიყენებენ თუ ა.შ. სტუდენტთა თავისუფლებაზეა მიბმული, შესაბამისად მათ შეუძლიათ გამოიყენონ თავისი სურვილის მიხედვით, თუმცა შინაარსს რაც შეეხება იმ მინიმუმსა და ხარისხზე გასვლას უზრუნველყოფს, შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფმა ამ ნაწილშიც ვერ დაინახა პრობლემა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა პლაგიატის საკითხთან დაკავშირებით, არსებობს თუ არა პლაგიატის მექანიზმი დაწესებულებაში.

ექსპერტმა, ირმა ქურდაძემ, განაცხადა, რომ დაწესებულებას აქვს პლაგიატის მექანიზმი, აქვთ Turnitin-ის პროექტი, აღნიშნული უნივერსიტეტი ჩართული იყო Erasmus+-ში და აქვთ საკმაოდ მაღალი ათვისება. პლაგიატის პროგრამა განსაკუთრებით კარგად აქვთ, რადგან ესეებსაც, რეფერატებსაც და ყველა აქტივობას ამოწმებენ.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, ექსპერტს სთხოვა დაეზუსტებინა თუ რა კორელაცია იყო ფსიქიური აშლილობების მაღალ მოცულობასა და ბაკალავრის დიპლომს შორის, რომელიც აუცილებელია.

ექსპერტმა, ირმა ქურდაძემ, განმარტა, რომ უბრალოდ მაგალითად მოიყვანა, მისი თქმით, ეს არის კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო საფეხური, ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა, რომ ეს არის სამედიცინო პროგრამა, მან მაგალითი მოიყვანა თუ როგორი მნიშვნელოვანია აღნიშნული პროგრამა. შიდა გამოცდასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა ნახა შიდა გამოცდის/გასაუბრების საკითხები და მიაჩნიათ რომ არ არის საკმარისი და საჭიროებს ბაკალავრის დონეს.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ვლადიმერ ღლონტმა, განაცხადა, რომ აბსოლუტურად გასაგები/მისაღებია ექსპერტთა ჯგუფის წუხილი წინაპირობასთან დაკავშირებით, ასევე მათი რეკომენდაციები და კონსტრუქციული პოზიცია, თუმცა ამ შემთხვევაში პროცესი რეგლამენტირდება შესაბამისი ნორმატიული აქტებით და მოთხოვნა, რომ შესაბამისი სპეციალობის ბაკალავრი ჰქონდეს დაწესებულებას აქვს მხოლოდ რეგულირებად სპეციალობებზე, შესაბამისად ამ მიმართულებით განსახილველ პროგრამაზე მიღება, რომ არ დაეწესებინათ ასეთი მოთხოვნა, კანონმდებლობა აძლევდა შესაძლებლობას, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის არგუმენტაცია მისაღები/გასათვალისწინებელია დაწესებულებისთვის და სწორედ ამიტომ შემოიღეს შემზღუდავი ბარიერები minor-ის, 50 კრედიტის სახით, ფსიქოლოგიის ბაკალავრის, რადგან დაწესებულება ითვალისწინებს აღნიშნულ რეკომენდაციას. შესაბამისი კომპეტენცია უნდა დადგინდეს მისაღებ გამოცდაზე, დაწესებულებას აქვს მისაღები გამოცდა სპეციალობაში, რომელსაც აქვს წერითი სახე და არ არის გასაუბრება, ამ კონტექსტიდან გამომდინარე ითვალისწინებს იმ საკითხებიდან, თეორიიდან გამომდინარე, რომელიც მიახლოებული იქნება და მეტ-ნაკლებად დააკმაყოფილებს იმ წუხილს, იმ რეკომენდაციას, რომელიც გამოთქმული იყო. აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების პოზიცია შემდეგნაირია, ისინი ზღუდავენ იმ გონივრული შეხედულებების/ჩარჩოების გათვალისწინებით, რომლის საშუალებასაც აძლევს კანონმდებლობა. სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების წესთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ დაწესებულებას 2017 წელს აქვს მიღებული ციტირებისა და ბიბლიოგრაფიის შედგენის წესი, იგი დაეთანხმა საბჭოს წევრს, რომ რიგ სამაგისტრო ნაშრომებში დარღვეულია ციტირების წესი, რაც ნიშნავს იმას, რომ ნაშრომის შესრულების დროს იქნა დაშვებული ხარვეზი და არ იქნა გათვალისწინებული ჩარჩო/ნორმატიული აქტი, რომელიც მიღებული აქვს უნივერსიტეტს, შესაბამისად უნდა ასახულიყო შეფასებაშიც, აღნიშნული დაწესებულებისთვის მაგალითი იქნება, რომ ზედმიწევნით ზუსტად დაიცვან ის წესები, რომლებსაც ადგენენ. სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების წესთან და მის შეფასებასთან დაკავშირებით მან განმარტა, რომ სილაბუსში არ იყო დაკონკრეტებული რიგი საკითხები, რადგან სილაბუსში გარდა სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა გადმოტანილია ის ძირითადი მითითებები, რომელიც უნივერსიტეტში ნორმატიულ აქტებში აქვთ განსაზღვრული სამაგისტრო ნაშრომის მომზადებასთან/დაცვასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მიმდინარე დღეებში დაამტკიცეს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ახალი წესი, სადაც ახლებურად განსაზღვრეს სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და საჯარო დაცვის პროცედურა, ასევე განისაზღვრა სამეცნიერო ხელმძღვანელის ფუნქციები. შესაბამისად, ამ დებულებების დაზუსტება დარგობრივი მახასიათებლების განსაზღვრით უნდა აისახოს სამაგისტრო ნაშრომის მომზადების სილაბუსში და დაზუსტდეს, თუმცა ზოგადი ნორმატიული სქემაც განსაზღვრულია. აკადემიურ კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულება იყენებს Turnitin-ის პროგრამას, რომლითაც ადგენენ მსგავსებას სამაგისტრო/საბაკალავრო ნაშრომისა და ცალკეულ სასწავლო კურსების განხორციელების პროცესში ინტეგრირებული აქვთ მოთხოვნა პირველივე სასწავლო წელს, სტუდენტებისთვის, რომ აკადემიური კეთილ სინდისიერება იქნას დაცული, დაწესებულება ადგენს მსგავსებას და პროცენტული მაჩვენებლის მიხედვით ან ნაშრომი დაიშვება საჯარო დაცვაზე, ან გადამუშავებას დაექვემდებარება, ხოლო თუ მეტია 80%-ზე მოიხსნება, აღნიშნული პროცესიც რეგლამენტირებულია და რეგულირდება საუნივერსიტეტო დონეზე.

„კლინიკური ფსიქოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, რუსუდან ბერიძემ, სამაგისტრო პროგრამის მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ კანონმდებლობამ მათ არ მისცა საშუალება, რომ მხოლოდ ბაკალავრიატის კურსდამთავრებულები მიეღოთ, მაგრამ ამას ფილტრავენ მისაღებ გამოცდაზე, რისი დამადასტურებელიც არის ის, რომ დაწესებულება იმაზე ნაკლებ სტუდენტს ღებულობს, ვიდრე გამოცხადებული აქვს, ანუ ჰქონდათ 20 ადგილი და მხოლოდ 15 მიიღეს, აქედან უმეტესობა 80-90% სწორედ ფსიქოლოგიის ბაკალავრის სტატუსის მქონეა. მისაღები გამოცდის ნაწილი ადრე ტარდებოდა საგამოცდო ცენტრში, ნაწილი კი წერითი, ახლა კი პანდემიიდან გამომდინარე დაუშვეს გამონაკლისი, რადგან სტუდენტებს ვერ მოიყვანდნენ საგამოცდო ცენტრში, შედგენილი იყო ბილეთები, იყო 4 დიდი საკითხი, რომლებში ჩაშლილი იყო 5-5 პატარა საკითხი, თითოეული ფასდებოდა 5-5 ქულით, ჯამში ფასდებოდა 100 ქულით. ჩატარდა ზუმში.

საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრებით გაჟღერდა, რომ ზეპირი გამოცდა არ ტარდებოდა და ტარდებოდა მხოლოდ წერილობითი.

„კლინიკური ფსიქოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, რუსუდან ბერიძემ, განმარტა, რომ რეგულაციებიდან გამომდინარე მოხდა ასე.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა ჩაატარეს თუ არა პანდემიის გამო ზეპირი გამოცდა.

„კლინიკური ფსიქოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, რუსუდან ბერიძემ, განაცხადა, რომ ჩაატარეს ზეპირი გამოცდა პანდემიის გამო.

„კლინიკური ფსიქოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ქეთევან ბერიძემ, მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მისაღებ გამოცდაზე საკითხები შესულია თითქმის მთელი საბაკალავრო პროგრამის ცალკეული საგნებიდან, არის საკმაოდ რთული და შედეგებიდანაც ირკვევა, რომ სტუდენტებს, რომლებსაც სურდათ განსახილველ პროგრამაზე ჩაბარება, ვერ დაძლიეს ის მოთხოვნები, რომლებიც ჰქონდა დაწესებულებას შიდა გამოცდაზე. ფსიქოთერაპიული ტექნიკების გამოყენებასა და რეფომულირების შესახებ, მან განაცხადა, რომ დაწესებულება დაეთანხმა ამ ნაწილში, რადგან სამაგისტრო პროგრამის პრაქტიკულ უნარებზე გაყავთ მაგისტრები მხოლოდ იმ კუთხით, რომ შეუძლიათ სუპერვიზით გამოყენებინათ მარტივი ტექნიკები, ამასთანავე თეორიული ცოდნის პრაქტიკასთან დაკავშირება და შემთხვევების გაანალიზება. მისი თქმით დაწესებულება არ ითვალისწინებს ფსიქოთერაპიული ტექნიკების დამოუკიდებლად ჩატარებას და სილაბუსების ძირითად ნაწილში, სადაც პრაქტიკულ უნარებზე გადიან სტუდენტები აუცილებლად გათვალისწინებულია სუპერვიზიის ფარგლებში. სამაგისტრო ნაშრომის კვლევითი კომპონენტის შესახებ მან განაცხადა, რომ დაწესებულება დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის რჩევას, რადგან დასამატებელია სასწავლო კურსი, რომელიც გააძლიერებს კვლევით ნაწილს. გაფორმების წესის შესახებ განმარტა, რომ აღნიშნული ტიპის ხარვეზები არის ზოგიერთ სამაგისტრო ნაშრომი, მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებას აქვს რეგულაციები ამ კუთხით და სთხოვენ სტუდენტებს მათ გამოყენებას. შიზოფრენიასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ აუცილებელია რეფორმულირება, რადგან მაგისტრებს ასწავლიან იმას, რომ ფსიქიატრთან ერთად შეიძლება ფსიქოთერაპევტმა იმუშაოს, იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს ამ კუთხით მიღებული განათლება.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ გაჟღერებული ფრაზა, რომლის თანახმადაც მისაღები გამოცდის ნაწილი ტარდებოდა ნაწილი საგამოცდო ცენტრში და ნაწილი ზეპირად, ანუ ორ ნაწილად ჰქონდათ გამოცდა, თუ ატარებდნენ წერილობით, ახლა შეცვალეს და ატარებენ ზეპირად. ასევე დაინტერესდა თუ რა იყო განთესვის კოეფიციენტი.

„კლინიკური ფსიქოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, რუსუდან ბერიძემ, განმარტა, რომ წინა წლებში ჰქონდათ პრაქტიკა, რომ 70% ბარდებოდა კომპიუტერთან, საგამოცდო ცენტრში, შემდეგ 30%-ისთვის იყო წერითი, ახლა დაუშვეს, რომ ყველა, პანდემიიდან გამომდინარე, 100 ქულას ღებულობდა ზეპირი გამოცდით. მათი

მოსაზრებით კარგად ჰქონდათ ორგანიზებული, კარგად გამოჩნდა ვინ დაძლევდა პროგრამას და ვინ ვერა, იყო 33 ადამიანი, რომელიც მოვიდა ინგლისური ენის შემდეგ მათთან, მიიღეს 7-8, საუბარია იმაზე თუ რაც დარჩება ინგლისური ენის შემდეგ.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ვლადიმერ ღლონტმა, განმარტა, რომ სტუდენტი აბარებს ორ გამოცდას, უცხო ენასა და დარგობრივ გამოცდას, დაწესებულება პანდემიამდე წერით გამოცდას აბარებდა, პანდემიის დროს ჩატარდა გასაუბრებით/ზეპირი გამოცდით. განთესვა წელს იყო 32 იყო მსურველი და მიიღეს 15 მათგანი.
„კლინიკური ფსიქოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, რუსუდან ბერიძემ, განაცხადა, რომ ვინც არ მიიღეს ძირითადად ისინი, ვისაც არ ჰქონდათ საბაკალავრო განათლება ფსიქოლოგიაში.
საბჭოს თავმჯდომარემ დაინტერესდა, რომ ფაქტობრივი გარემოების თანახმად ვისაც არ აქვს საბაკალავრო განთლება ფსიქოლოგიაში, მაინც ვერ ხვდება.
საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ, განაცხადა, რომ, როდესაც საუბარი იყო მარეგულირებელ წესზე ეს ნანახიც ჰქონდა, მაგრამ მაინც ჩაიხედა, სადაც მე-16 და მე-17 მუხლი არეგულირებს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესებს, შეფასების ნაწილი კი სალაბუსის მსგავსადაა წარმოდგენილი.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ვლადიმერ ღლონტმა, განმარტა, რომ საუბარი იყო სხვა დოკუმენტზე, რომელიც აკადემიურმა საბჭომ მიიღო 1 კვირის წინ, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.
საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ საბჭო უფლებამოსილია გაითვალისწინოს მხოლოდ ის ფაქტობრივი გარემოება, რომელიც დასკვნის წარმოდგენის პროცესში იყო, დასკვნის შემდეგ გამოსწორებული ხარვეზებს/რეკომენდაციებს საბჭო მხედველობაში არ იღებს.
„კლინიკური ფსიქოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ქეთევან ბერიძემ, აღნიშნა, რომ მიმდინარე კურსზე ყავთ მხოლოდ 2 სტუდენტი, რომლებსაც არ ჰქონდათ საბაკალავრო განათლება ფსიქოლოგიაში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:40
დასრულების დრო: 16:25

აკრედიტაციის საბჭოს მიერ სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

√ აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.
კერძოდ, საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ აკრედიტაციის 2.6 და 5.1 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, განისაზღვროს როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა მოცემული შეფასებების ცვლილებას სტანდარტის შეფასება არ შეუცვლია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:

1. მიზანშეწონილია მიზნების დაზუსტება და რეფორმულირება ისე, რომ ჭარბ დეტალიზაციას და შესაბამისად, შინაარსობრივ ურთიერთგადაფარვას არ ჰქონდეს ადგილი;
2. რეკომენდებულია პროგრამის ზოგიერთი სწავლის შედეგის გადახედვა და რეფორმულირება მათი გაზომვადობის გასაუმჯობესებლად;
3. მიზანშეწონილია პროგრამის შედეგებისა და ამ შედეგზე გამსვლელი რიგი სასწავლო კურსების შედეგების ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა;
4. მიზანშეწონილია: ან (ა) კონცენტრაციის სახით გამოიყოს კლინიკური ან/და სხვა მიმართულებ(ებ)ა, რომლის მოცულობა კლასიფიკატორის მე-6 მუხლის, მე-7 პუნქტის თანახმად, არ უნდა აღემატებოდეს 30 კრედიტს საბაკალავრო ნაშრომის ჩათვლით და კონცენტრაციის სწავლის შედეგი უნდა აისახოს პროგრამის სწავლის შედეგებში ან (ბ) ძირითად სასწავლო კომპონენტში წარმოდგენილი სპეციფიური კურსები შეთავაზებული იყოს ასარჩევი სასწავლო კურსების სახით, რაც მეტი არჩევანის შესაძლებლობას მისცემს სტუდენტს;
5. რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსები და განისაზღვროს მათი თანმიმდევრობა წინაპირობების გათვალისწინებით;
6. რეკომენდებულია რიგ სასწავლო კურსებში შედეგები რეფორმულირდეს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნას მათი გაზომვადობა;
7. რეკომენდირებულია, შეფასების კომპონენტები და მეთოდები მეტად იყოს მორგებული თითოეული სასწავლო კურსის სპეციფიკასა და კურსის სწავლის შედეგებს;
8. მიზანშეწონილია პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდა, რათა მათ ეფექტურად შეძლონ როგორც აკადემიური (ლექცია-სემინარები, საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობა), ისე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წარმართვა;
9. რეკომენდებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად;

რჩევები:

1. სასურველია პროგრამა შინაარსობრივად გაღრმავდეს კვლევითი კომპონენტის მიმართულებით, რელევანტური საგნების დამატებით ან/და არსებული კურსების შინაარსის მოდიფიცირებით;
2. სასურველია გადაიხედოს და განახლდეს რიგ სასწავლო კურსებში სავალდებულო ლიტერატურა;
3. სასურველია დაზუსტდეს სასწავლო კურსის “ფსიქოლოგიის მეთოდები” სახელწოდება;
4. სასურველია პრაქტიკული კომპონენტის სრულყოფის მიზნით, დაკონკრეტდეს და დეტალურად გაიწეროს პროფესიული პრაქტიკის სილაბუსი;
5. სტუდენტების სალექციო პროცესში მეტი ჩართულობის მიზნით, სასურველია დაკონკრეტდეს სილაბუსებში ასახული სწავლების მეთოდები სალექციო თემატიკის მიხედვით;
6. სასურველია, სტუდენტების მეტად ინფორმირება უნივერსიტეტში არსებული აპელაციის მექანიზმის შესახებ;
7. სასურველია სტუდენტთა ჩართულობის გაზრდა საერთაშორისო მობილობაში, ადგილობრივ თუ საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, კონფერენციებსა და კვლევებში;
8. სასურველია მოწვეული პერსონალის მოტივირება, რათა მეტად გააქტიურდნენ როგორც კვლევითი საქმიანობის (კვლევა და გამოქვეყნება), ისე უსდ-ს მიერ შეთავაზებულ განმავითარებელ აქტივობებში.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქ ტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კლინიკური ფსიქოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

√ აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.
კერძოდ საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ აკრედიტაციის 1.1, 2.6, 3.2 და 5.1 ქვეკომპონენტები, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდეს როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, ხოლო 2.1 და 2.4 ქვეკომპონენტები, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა მოცემული შეფასებების ცვლილებას სტანდარტის შეფასება არ შეუცვლია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კლინიკური ფსიქოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია, მოხდეს მიზნების რეფორმულირება, რათა ნათელი გახდეს მათი შინაარსი;
2. შედეგები მეტად დაკონკრეტებული და სპეციფიკურია. მიზანშეწონილია, კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს შესაბამისად, გამსხვილებული და ზოგადი სახით ჩამოყალიბდეს ცოდნა-გაცნობიერებასთან, უნარებთან და ავტონომიურობა-პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული ასპექტები;
3. მიზანშეწონილია ცალკეულ სილაბუსებში გაწერილი შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის შედეგებთან და ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებთან;

4. რეკომენდებულია, პროგრამის შედეგების ისე ფორმულირება, რომ იყოს გაზომვადი, რეალისტური და მიღწევადი;
5. მიზანშეწონილია გაძლიერდეს პროგრამის კვლევითი და პრაქტიკული კომპონენტი;
6. მიზანშეწონილია გაძლიერდეს პრაქტიკული კომპონენტი და დაემატოს შესაბამისი სასწავლო კურსი, რომელიც კლინიკურ შეფასებასა და დიაგნოსტირებაზე იქნება მიმართული და პროგრამის მიზანს მეტად მიღწევადსა გახდის;
7. მიზანშეწონილია, გადაიხედოს რიგი სასწავლო კურსების სწავლის შედეგები და მოხდეს მათი რეფორმულირება პროგრამის მიზნებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისად;
8. ინგლისური ენის სილაბუსი გაძლიერდეს დარგზე ორიენტირებული თემატიკით და ასევე სილაბუსის შინაარსობრივი ნაწილი შეივსოს ყველა საჭირო აქტივობით, პრაქტიკული სავარჯიშოებით, სწავლებისა და შეფასების მეთოდებით, რაც სტუდენტს გამოუმუშავებს ოთხივე სამეტყველო კომპეტენციას (წერა, კითხვა , ლაპარაკი, მოსმენა;
9. სამაგისტრო ნაშრომის სრულფასოვნად და ხარისხობრივად მაღალ დონეზე შესრულებისთვის პროგრამის სავალდებულო კომპონენტი გაძლიერდეს სამეცნიერო წერის ამსახველი საკითხებით;
10. რეკომენდირებულია, შეფასების კომპონენტები და მეთოდები მეტად იყოს მორგებული თითოეული სასწავლო კურსის სპეციფიკასა და კურსის სწავლის შედეგებს;
11. სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში და ასევე სამაგისტრო დებულებაში ნაშრომის შეფასების ნაწილში მკაფიოდ გაიწეროს შეფასების კრიტერიუმები და შეფასების ყველა კომპონენტი კომისიური წესების დაცვით;
12. რეკომენდებულია, უზრუნველყოფილ იქნეს სამაგისტრო ნაშრომების გაფორმების წესების სრულყოფილად დაცვა;
13. რეკომენდებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად;

რჩევები:
1. სასურველია პროგრამის მიზანში გამოიკვეთოს ფოკუსი თერაპიულ მიდგომასა და სამიზნე ჯგუფზე, ვისთანაც მოხდება ამ თერაპიული მიდგომის გამოყენებით მუშაობა;
2. სასურველია დაზუსტდეს ცალკეული ცნებები და მოხდეს მათი გამოყენება თანმიმდევრულად. მაგ. პროგრამის ერთ-ერთ შედეგში ვკითხულობთ „არკვევს ფსიქიკურ, სომატურ და ფიზიოლოგიურ გამოვლინებებს“ ბუნდოვანია განსხვავება სომატურ და ფიზიოლოგიურ გამოვლინებებს შორის. ასევე, ვკითხულობთ „იყენებს ფსიქოთერაპიაში აღიარებულ ტექნიკებს პაციენტებთან/კლიენტებთან: ნევროზული რეგისტრის მქონე პაციენტებთან, ადიქტებთან და კონფლიქტში მყოფ წყვილებთან.“ უნდა გამოვიყენოთ ტერმინი ნივთიერებებზე დამოკიდებული ადიქტის ნაცლად და ა.შ. ასევე, მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს კონსულტირება თერაპიული ინტერვენციისგან და მოხდეს შესაბამისი ცნების თანმიმდევრულად გამოყენება;
3. სასურველია გაიზარდოს სამაგისტრო ნაშრომთა ხელმძღვანელების რაოდენობა;
4. საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრირების მისაღწევად, სასურველია, სამაგისტრო ნაშრომების სტატიების სახით გამოქვეყნება საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში;
5. სასურველია მოწვეული პერსონალის მოტივირება, რათა მეტად აქტიურად დაკავდნენ როგორც კვლევითი საქმიანობით (კვლევა და გამოქვეყნება), ისე უსდ-ის მიერ შეთავაზებულ განმავითარებელ აქტივობებში.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტ ების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის,

27[6] მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კლინიკური ფსიქოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

3. მესამე საკითხი: ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „საზოგადოებრივ ურთიერთობათა“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციას აგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საზოგადოებრივ ურთიერთობათა სამაგისტრო პროგრამა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	27.11.2011 გადაწყვეტილება №719
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	საზოგადოებასთან ურთიერთობის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მარკეტინგი და რეკლამა-0414
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	მარი ბროსეს ქ. N2, ქ. თბილისი, 0108, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ დიახ

თვითაცილება განაცხადა საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: პირველი, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; მეორე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია მეტწილად სტანდარტის მოთხოვნებთან.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნატო ასათიანმა, პროგრამა დადებითად შეაფასა, მისი მოსაზრებით მისასალმებელია ის შრომაც, რაც გაწიეს ხელმძღვანელებმა. პროგრამამ 5-დან 4 სტანდარტში სრული შესაბამისობა აჩვენა, მიუხედავად ამისა გაცემულია რეკომენდაციები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:
1. რამდენიმე სასწავლო კურსის სილაბუსში სალექციო თემებს განესაზღვროს სავალდებულო ლიტერატურა გვერდების მითითებით - რაც სილაბუსების შესწავლის ფარგლებში დააკლდა ექსპერტთა ჯგუფს;
2. მიზანშეწონილია, რამდენიმე სასწავლო კურსში სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალი განახლდეს უახლესი ნაშრომებით - სასწავალო კურსების სილაბუსებში მითითებული არის ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა, თუმცა ხშირად ეს მასალები წარმოადგენს ლექტორის მიერ შემუშავებულ კონსპექტებს და არ არის დაკონკრეტებული წყაროები. ასევე არის გარკვეული უზუსტობები ძირითადი ლიტერატურის მითითებისას რიგ სილაბურსებში. ასევე, პროგრამის განხორციელებაში ჩართულ ლექტორებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ პროგრამით გათვალისიწნებული ერთ-ერთი სასწავლო კურსი მიმდინარე ეტაპზე იკითხება სრულად ინგლისურ ენაზე, რაც არ არის აღნიშნული არც პროგრამაში და არც სხვა რელევანტურ დოკუმენტში. პირიქით, რეაკრედიტაციისთვის წარმოდგენილი პროგრამა სრულად ქართულ ენაზე გულისხმობს სწავლებას და დოკუმენტაციიდან არ ჩანს, რომ ერთ-ერთ საგანში შესაძლოა, ლექციები ინგლისურ ენაზე იყოს წაკითხული.
3. რეკომენდებულია სწავლება-სწავლის მეთოდების შესატყვისი სახელწოდებით გამოყენება და შეფასების ინსტრუმენტთაგან მათი მკაფიოდ გამიჯვნა - სწავლების მეთოდები გარკვეულ სილაბუსებში ინდივიდუალურადაა შერჩეული, შეესაბამება მაგისტრატურის საფეხურს და უზრუნველყოფს სტუდენტის ჩართულობას დისკუსიებსა და სემინარებში, რაც მისასალმებელია, რადგან ჩანს, რომ სწავლა-სწავლების მეთოდები შესაბამისობაშია განსავითარებელ დარგობრივ და ზოგადი კომპეტენციებთან, თუმცა რიგ სილაბუსებში, სწავლის მეთოდები საჭიროებს მეტ კონკრეტიკას. სილაბუსში სწავლება-სწავლის მეთოდად მითითებულია „საკლასო განხილვები“ და „მოწვეული ლექტორები“. როგორც ინტერვიუს

დროს გაირკვა, „საკლასო განხილვებში“ მოიაზრება საკითხის/შემთხვევის ანალიზი, ხოლო „მოწვეული სტუმრებში“ - მოწვეული სპეციალისტების მიერ საჯარო ლექციის ჩატარება, ასევე, დისკუსია-დებატები. ამასთან, „მოწვეული სტუმრები“ შეუძლებელია სწავლება-სწავლის მეთოდად განიხილებოდეს. ანალოგიური საკითხი გვხვდება საგნის „მედიასთან ურთიერთობა და წერა საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში“ სილაბუსში. აქ სწავლების მეთოდებად ცალ-ცალკე მითითებულია „დისკუსია“, „დისკუსია მოწვეული სტუმრის მონაწილეობით“, „საკლასო დისკუსია“, არადა მოცემულ შემთხვევაში საქმე, ჩვეულებრივ, ეხება დისკუსიის მეთოდს და ბუნდოვანია მისი რამდენიმეჯერ გამოყენება. მნიშვნელოვანია რამდენიმე სასწავლო კურსში ანალიტიკური უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენება;

4. რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის შეფასების მექანიზმებისა და კრიტერიუმების დახვეწა - გასაუბრებისას დაადგინეს, რომ იყო გარკვეული უზუსტობები, მნიშვნელოვნაია, რომ კიდევ უფრო ცხადი/ნათელი ყოფილიყო შეფასებები და კრიტერიუმები, ურთიერთგადამფარავი იყო ძირითად შემთხვევებში;

5. მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა მეტი აქცენტები უნდა გააკეთოს პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების გაზრდაზე - მიუხედავად იმისა, რომ უნივერისტეტი მუშაობს ამ მიმართულებით, რაც დასტურდება, მაგრამ ექსპერტთა ჯგუფმა პერსონალის CV-ების გადახედვა/გააზრებით ვერ დაინახა, მათ სთხვეს დაწესებულებას წარმოედგინათ განახლებული CV-ები, რაც იმ ვადაში ვერ მოხერხდა;

6. რეკომენდებულია, სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მიზნით ვალიდური ინსტრუმენტების შემუშავების, მიგნებების ინტერპრეტირების, მათი სიღრმისეულად შესწავლისა და მიზეზების კვლევის პროცესში უნივერსიტეტმა მეტი სიზუსტე და ძალისხმევა გამოიჩინოს, ასევე, გასაუმჯობესებელი მხარეების გამომსასწორებლად დაგეგმილი აქტივობები სათანადოდ დაგეგმოს - დაწესებულება რეგულარულად აფასებს როგორც უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებს, ისე სასწავლო პროცესს. შეფასება ეფუძნება უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებს სასწავლო პროცესის მონიტორინგის, ხარისხის შეფასება-ანალიზისა და გამოყენების თაობაზე. ამ კონტექსტში გამოიყენება სასწავლო პროცესში ჩართულ სტუდენტთა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულთა მხრიდან უკუკავშირის მექანიზმი, რაც მიიღწევა გამოკითხვების დახმარებით. შეფასებ ამიმართულია სუსტი მხარეების გამოვლენისა და მათი აღმოფხვრის გზების ძიებისკენ, რაც, საბოლოო ჯამში, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას უწყობს ხელს. თვითშეფასების ანგარიშიდან ზოგიერთ შემთხვევაში არ ჩანს გასაუმჯობესებელი მხარის განსავითარებლად დაგეგმილი აქტივობა (მაგალითად, პირველი სტრანდარტის ბოლოს არის გასაუმჯობესებელი მხარე გაცვლითი პროგრამების მრავალფეროვნება, უცხოელი ლექტორების ჩართვა სასწავლო პროცესში, თუმცა ამის შესატყვისად დაგეგმილი აქტივობები არაა მითითებული; მეოთხე სტანდარტის ბოლოს გასაუმჯობესებელ მხარედ ასახულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული ზრდის მეტი ხელშემწყობი მექანიზმების დანერგვა, მაგრამ ამ მხარესაც არ აქვს განსაზღვრული მის განსავითარებლად დაგეგმილი აქტივობა). ამდენად, ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ ხარისხის შეფასების არსებული ინსტრუმენტების დახვეწა, მათი სათანადო ანალიზი და მიღებული მონაცემების გამოყენება წაადგებოდა პროგრამის გაუმჯობესებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

„საზოგადოებრივი ურთიერთობების“ სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელმა, მარიამ სეხნიაშვილმა, მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კოლეგიალური/დეტალური რეკომენდაციებისათვის, პირველი რეკომენდაციის შესახებ მან განაცხადა, რომ წარმოდგენილი რეკომენდაციის პირველი ნაწილი ტექნიკური ხასიათის მატარებელია, კერძოდ: შემდეგი სასწავლო კურსების სილაბუსებში: „მედიასთან ურთიერთობა და წერა საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში“, „კონტენტ მარკეტინგი და ციფრული კომუნიკაცია“, „პროექტის

მენეჯმენტი“ დაზუსტდა ლიტერატურის გამოცემის წლები და მიეთითა თემის შესაბამისი გვერდები. სასწავლო კურსის სილაბუსში „კვლევის მეთოდები და მონაცემთა ანალიზი“, რეკომენდირებულია სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალში შემდეგი ნაშრომების დამატება: ჩავა ფრანკფორტ-ნაჩმიასი და დევიდ ნაჩმიასი, კვლევის მეთოდები სოციოლოგიურ მეცნიერებებში, თბ., 2009; ლ. წულაძე, სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები, თბ., 2020 წ. აღნიშნულთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ სილაბუსი შედგება ორი ნაწილსაგან: i) გარემოსდაცვითი თემატურ - ტექნიკური საკითხები და ii) კანონმდებლობა (საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლის ხელისმომწერი ქვეყანაც არის საქართველო და ეროვნული გარემოსდაცვითი კანონმდებლობა).

ექსპერტმა, მიხეილ ბიჭიამ, დააზუსტა, რომ კომპონენტი შეფასებულია არა ნაწილობრივ, არამედ მეტწილად შესაბამისობად.

„საზოგადოებრივი ურთიერთობების“ სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელმა, ნიკოლოზ აბუაშვილმა, განაცხადა, რომ რეკომენდაციებზე გაცნობის შემდეგ განიხილეს ლიტერატურა, მათი მოსაზრებით აკადემიური თავისუფლების ნაწილმა იჩინა თავი, რადგან აკადემიური თავისუფლების ფარგლებში სწორედ ლექტორი წყვეტს როგორ გაიყვანოს სტუდენტი სწავლის შედეგზე. მათი მოსაზრებით წარდგენილი სასწავლო მიზნებისთვის ბევრად უფრო კარგი ლიტერატურაა სილაბუსებში, ვიდრე ექსპერტთა ჯგუფის მიერ მითითებული, სწორედ ამიტომ თვლიან, რომ კომპონენტი იმსახურებს სრულ შესაბამისობას.

„საზოგადოებრივი ურთიერთობების“ სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელმა, მარიამ სეხნიაშვილმა, სწავლება-სწავლის მეთოდებთან დაკავშირებით, განაცხადა, რომ დაწესებულების წარმომადგენლებმა საფუძვლიანად შეისწავლეს დასკვნა, სადაც განსაზღვრული იყო, რომ მოწვეული სტუმრები შეუძლებელია სწავლის მეთოდებად ყოფილიყო გამოყენებული, დაწესებულების მოსაზრებით მოწვეული სტუმარი ეს არის თვითონ სტუმრის ჩართვა კონკრეტულ კურსში, ეს არის ცოდნის გადმოცემის ერთ-ერთი საშუალება და მოწვეული სტუმრის გამოცდილება არის საშუალება, რომ სტუდენტს ჰქონდეს რეალურად წვდომა იმ კონკრეტულ ორგანიზაციებთან, რომლებთანაც მოუწევს თანამშრომლობა, ამიტომ პრაქტიკული ქეისები ძალიან მნიშვნელოვანია და არ დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფს, რომ მოწვეული სტუმარი არ შეიძლება წარდგენილი იყოს სწავლის მეთოდად.

„საზოგადოებრივი ურთიერთობების“ სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელმა, ნიკოლოზ აბუაშვილმა, განაცხადა, რომ აკადემიური სექტორი შორდება დარგს და ამ შემთხვევაში პირიქით, მოწვეული სტუმრები ამ კავშირს ავსებენ და სტუდენტებს შეხება აქვთ რეალურ პრობლემებთან, მისი მოსაზრებით ამაზე ღირებული საკითხი ცოტაა, რაც გამოსადეგ კადრებს გაზრდის, ამიტომ დაწესებულება არ დაეთანხმა აღნიშნულ რეკომენდაციას.

პროფესორმა, ანა ქეშელაშვილმა, განაცხადა, რომ თუკი ექსპერტთა შორის დისკომფორტი გამოიწვია სწავლების მეთოდად მოწვეული სტუმრის მოხსენიებამ, მან დააზუსტა, რომ მოწვეულ სტუმარს სასწავლო პროცესში ჩართულობის სხვადასხვა ფორმა აქვს, რომელიც ზუსტდება კონკრეტულ მოწვეულ სტუმართან შეხვედრის წინ, იქნება ეს როლურ თამაშებში ჩართულობა, ლექციის სახე ექნება, დისკუსიის თუ სხვა, ამიტომ ამის დაზუსტდება მეთოდებში ზოგჯერ არ ასახავს სიმართლეს.

ასისტენტ-პროფესორმა, ეკატერინე შალუტაშვილმა, მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს მისი საგანის („გარემოსდაცვითი საკითხები, მდგრადი განვითარება და სოციალური პასუხისმგებლობა“) შესწავლისა და რეკომენდაციების გაცემისთვის, მან განაცხადა, რომ საკითხები, რაზეც გაცემულია რეკომენდაცია, აქცენტების თვალსაზრისით ძალიან საინტერესო და კარგია, მაგრამ მას ჰქონდა ერთი კითხვა, როდესაც შემოსულია გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურების ინსტრუმენტები, რეკომენდაცია არის შემდეგნაირი, რომ მოხდეს აღნიშნული საკითხის გაშუქება უკეთესად, სასწავლო პროგრამაში პირდაპირ წერია გარემოზე ზემოქმედების შეფასება, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება, გარემოზე ზემოქმედების შეფასება (საქართველოს მაგალითის მიმოხილვა), და კონკრეტულად მოცემულია

ლიტერატურა, ბრიტანული ვერსია, თუ როგორ უნდა შედგეს გარემოზე ზემოქმედების შეფასების გაიდლაინი, თუ როგორ უნდა გაკეთდეს, მეორე არის უშუალოდ საქართველოს კოდექსი, რომელიც მიღებულია 2017 წელს და სტუდენტები საქართველოს კოდექსისა და ბრიტანული ვერსის გაიდლაინის საფუძველზე ერთმანეთს ადარებენ, დაინტერესდა თუ ჰქონდა რაიმე განსხვავებული ექსპერტთა ჯგუფს. ამასთანვე. საუბარია საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტზე, რომლსაც ევალება იცოდეს კანონმდებლობა და მასთან შესაბამისობაში განიხილოს მიზეზ-შედეგობრივ კავშირში არსებული პრობლემა.

„საზოგადოებრივი ურთიერთობების“ სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელმა, ნიკოლოზ აბუაშვილმა, ქულების დათვლასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მისთვის გაუგებარი იყო თუ რა პრობლემა დაინახა ექსპერტთა ჯგუფმა, რადგან ლოგიკა ძალიან მარტივია, 2 რგოლი აფასებს დიპლომს, ერთი არის რეცენზენტი, და მეორე კომისია, რომელიც რამდენიმე ადამიანისგან შედგება, საბოლოო შეფასებაში რეცენზენტისა და კომისიის შეფასებას აქვს თანაბარი წილი 50-50%, ექსპერტთა ჯგუფის კომენტარი იყო, რომ ამ შემთხვევაში 50%-ზე მეტს ვერ მიიღებდა სტუდენტი, რაც გაუგებარი აღმოჩნდა დაწესებულების წარმომადგენლებისათვის. მისი თქმით 100 ქულით იწერება ქულები, თუმცა შეწონვისას ეს პრინციპი მოქმედებს, რომ რეცენზენტის შეფასებას აქვს 50% წონა და კომისიას, რომელშიც რამდენიმე წევრია და საშუალოვდება მათი შეფასება იმასაც აქვს 50%.

„საზოგადოებრივი ურთიერთობების“ სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელმა, მარიამ სეხნიაშვილმა, პროფესორების კვლევითი საქმიანობის გაზრდასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ყოველთვის კარგია თუ უფრო მეტ რამეს გააკეთებენ, მაგრამ ლექტორები ჩართულნი არიან სხვადასხვა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში, ასევე უნივერსიტეტში არსებობს შიდა გრანტი, სადაც მუდმივად ხდება ლექტორების ჩართვა სტუდენტებთან ერთად, ამიტომ ისინი ყოველთვის აქტიურად მოღვაწეობენ.

„საზოგადოებრივი ურთიერთობების“ სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი, ნიკოლოზ აბუაშვილმა დასძინა, რომ იმ რესურსიდან გამომდინარე რაც დაწესებულებას გააჩნია. თუ ექნებოდათ 35 000 000, უკეთ დააინტერესებდნენ, მაგ., მას ჰქონდა არჩევანი ან უნდა გაეკეთებინა კვლევა, ან ბიზნესისთვის პროექტი, სადაც 70 000 ევრო უნდა აეღო, კვლევაში კი 5 000-8 000 ლარს.

პროგრამის ხელმძღვანელმა, მარიამ სეხნიაშვილმა, შიდა ხარისხის შეფასებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მათი პროგრამა გადავიდა მოდულურ სწავლებაზე, განსაზღვრული აქვთ შეფასების კრიტერიუმები, ყოველ სემესტრის ბოლოს აფასებენ იმით, რომ მოდულური სწავლება შემოიტანეს და გულისხმობს, რომ ნებისმიერი საგანი, რომელსაც გადიან საბოლოოდ პროექტის სახით 3-4 საგნის მიქსს აკეთებენ და ჯგუფურ/ინდივიდუალურ პროექტს წარადგენენ, რაშიც რა თქმა უნდა შეფასება გამოვლინდება, გარდა ამისა დიპლომის შეფასებაშიც აქვთ გამოყოფილი გარკვეული ტიპის კრიტერიუმები. ყოველი სემესტრის ბოლოს სტუდენტები აფასებენ ლექტორებს, წელიწადში ერთხელ ხდება ფოკუს-ჯგუფებით სტუდენტების მიერ ლექტორების შეფასება, ასევე დამსაქმებლებთან აქვთ ჩატარებული კვლევა, იზიარებენ მათ შეხედულებას და ცდილობენ განაახლონ.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, დავით წასიძემ, 5.1 კომპონენტთან მიმართებით, განაცხადა, რომ რეალურად ის ინსტურმენტები რაც უნივერსიტეტში დანერგილია ხორციელდება პრაქტიკაში და შესაბამისი ანგარიშები მზადდება ხარიხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, აქცენტი გაკეთებული იყო იმაზე, რომ თითქოს ეს მონაცემები აცდენილი იყო და მოტანილი იყო დამსაქმებლებთან ინტერვიუს დროს წამოსული ინფორმაციიდან აღნიშნული პროგრამა ერთ-ერთი ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებლითაა წარმოდგენილი დასაქმებულთა თვალსაზრისით, კურსდამთავრებულთა 90% დასაქმებულია და მათგან 73% უშუალოდ კვალიფიკაციით არის დასაქმებული, რაც დაწესებულების წარმომადგენელთა თვალსაზრისით მნიშვნელოვანი კომპონენტია, ექსპერტთა

ვიზიტის დროს დაწესებულების მიერ შერჩეულ იქნა ის დამსაქმებლები, რომელთაც პროგრამაზე მუშაობის პროცესში ჰქონდათ გამოცდილება და შესაძლებელია აქედან იყოს გამოწვეული, რომ არ დაემთხვა ორგანიზაციაში დასაქმებულთა ფაქტობრივი გარემოებები.
„საზოგადოებრივი ურთიერთობების“ სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელმა, ნიკოლოზ აბუაშვილმა, განაცხადა, რომ ვინაიდან ანალიტიკური აზროვნება და კრიტიკული აზროვნება ერთიდაიგივე არ არის, ამიტომ გაყვეს ორ ნაწილად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, განაცხადა, რომ როდესაც მსგავსი პროგრამა გამოდის, იგი სულ ინტერესდება, ხომ არ აცდნენ კვალიფიკაციის ჩარჩოს ჩანაწერს, რაც უნდა იყოს ბიზნეს ადმინისტრირება, მისთვის ცნობილია ინსტიტუციის პოზიცია, მაგრამ შრომის ბაზრის ნაღდობის ხელშეკრულება არ ნიშნავს შრომის ბაზრის კვლევას, გასაგებია, რომ ვიღაცას დაუკვეთეს, მაგრამ შედეგი უნდა იყოს წარმოდგენილი, რადგან ესა რის სტანდარტის მოთხოვნა. იგი ასევე გაეცნო პრაქტიკულად ყველა სილაბუსს და მისი მოსაზრებით არის გარკვეული პრობლემები, რომლებთან მიმართებითაც დაინტერესდა დაწესებულების წარმომადგენელთა მოსაზრებით. ორგანიზაციული მენეჯმენტი საზოგადოებრივ ურთიერთობებში და მართვა შედეგებისთვის, ორივეგან ერთიდაიგივე ლიტერატურაა, რასაც არაუშავს, მაგრამ ეს არის რობინსი, კოტლერი, რაც არის მენეჯმენტის პრინციპები, საბაკალავრო დონე, 0414-ში როდესაც ენიჭება მაგისტრი რამდენად რელევანტურია რობის კოტლერით იყოს მომზადებული, იგივე არის პროექტის მენეჯმენტზე, ბიზნესის საფუძვლებით, რომელიც ბაკალავრიატზე იკითხება, რამდენად მიზანშეწონილია ასწავლონ პროექტების მენეჯმენტი სამაგისტრო საფეხურზე, იგივეა მარკეტინგში, გარკვეული საკითხები არის საბაკალავრო დონის, მისი მოსაზრებით, როდესაც დაწესებულებას აღნიშნული პროგრამა ჰქონდა მაშინ კლასიფიკატორში იყო სხვაგან, შედეგ მიიღეს ახალი კლასიფიკატორი, მნიშვნელოვანი გახდა ამ ახალი პროგრამის ისევ განხორციელება, მაგრამ ახალი ჩანაწერის ქვეშ, მაგრამ 0414 ბიზნეს ადმინისტრირებაა, ამ კვალიფიკაციის კურსდამთავრებულს სხვა დონე მოეთხოვება, ძალიან ხშირად მისი კამათი კოტლერი არის თუ არა საკმარისი, მითუმეტეს ამ სპეციალობაში.
საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ, 2.3 კომპონენტში გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ გასაგებია, თემების მიხედვით სავალდებულო ლიტერატურის განსაზღვრის საკითხში, მაგრამ აქვე არის გვერდების მითითების საკითხი, თუ რამდენად არის აუცილებელი სამაგისტრო დონეზე გვერდების მითითება და დაწესებულება მხოლოდ ლიტერატურის ნაწილს იზიარებს თუ გვერდების მითითების საკითხსაც. ასევე დაინტერესდა 4.2 კომპონენტში, კვლევითი აქტივობის გაზრდის შესახებ, დასკვნაში არის ესეთი ფრაზა, რომ აკადემიური რესურსები დადებითად არის შეფასებული, მაგრამ სურვილები გამოხატული და რამდენიმე შემთხვევაში, 2010-2011-2012 წლების შემდეგ სამეცნიერო კვლევითი აქტივობა ან ძალიან მცირეა, ან საერთოდ არ არსებობს, ეს ეხება აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს და რა რაოდენობაზეა საუბარი.
საბჭოს წევრმა, თამარ ჩხეიძემ, მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, 2.5 კომპონენტში გაცემული რეკომენდაციის შესახებ, მისი მოსაზრებით რეკომენდაცია გულისხმობდა მეთოდის არა რელევანტურობას, არამედ გულისხმობს მეთოდის შესატყვისი სახელწოდების გამოყენებას, ამავე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაინტერესდა თუ როგორ ხდება ცოდნის შეფასება. სთხოვა დაეზუსტებინათ ცოდნის შეფასების ინსტრუმენტებთან დაკავშირებით, თუ რა პრობლემასთან იყო საქმე. 2.6 კომპონენტთან დაკავშირებით დაინტერესდა სამაგისტრო ნაშრომის შეფასების მექანიზმებსა და კრიტერიუმებთან დაკავშირებით, გასაგებია ორივე მხარის პოზიცია, მაგრამ მექანიზმებთან დაკავშირებთ დასკვნაში ბუნდოვანი იყო თუ რატომ არ არის შეფასების მექანიზმი ერთჯერადი, რა პრობლემა იქმნება, გარდა ამისა აღნიშნულია 50+50 გაყოფილი ორზე, რაც გაუგებარია საბჭოს წევრისთვის, რადგან შეფასება შედგება ორი რგოლისგან, მართალია სინქრონულად არ ხდება ერთ დღეს მაგრამ ხდება ერთჯერადად.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, განაცხადა, რომ ექსპერტების დასკვნაში პირველ სტანდარტში რჩევაც კი არ არის დაწერილი და ჩაითვალა, რომ სრულ შესაბამისობაშია, პროგრამის გაცნობის, ცალკეული სასწავლო კურსებისა და სწავლის შედეგების რუკის გაცნობის საფუძველზე, დაინტერესდა თუ რამდენად არის რელევანტური თითო სასწავლო კურსით სწავლის ყველა შედეგის დაფარვა, ამ ტიპის სასწავლო კურსები პროგრამაში, იგივე ღონისძიებების მართვა და სხვა, რამდენად არის შესაძლებელი ერთმა სასწავლო კურსმა დაფაროს სწავლის შედეგი. ასევე საბჭოს წევრის მიერ დასახელებული სასწავლო კურსები იმეორებს სწავლის შედეგებს და თემას რომელსაც ერთ კურსში სწავლობს, მისაღწევ შედეგში მეორე კურსშიც წერია და პირიქით, ლიტერატურა ერთნაირია, როგორც ძირითად, ასევე დამატებით ლიტერატურაში, შესაბამისად ლოგიკურია დაისვას კითხვა თუ რატომ გადის ერთი სასწავლო კურსი გაცნობის დონეზე გასვლას და მეორე სასწავლო კურსი გაღრმავების დონეზე

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნატო ასათიანმა, განაცხადა, რომ მეოთხე რეკომენდაციას, რომელშიც საუბარი იყო, რომ 2010-2011-2012 წლების შემდეგ არ იკვეთება სამეცნიერო კვლევითი აქტივობები, სწორედ როგორც მოწვეულ, ისე აკადემიურ თანამდებობებზე მყოფი პირების ბიოგრაფიით დაასკვნეს და სწორედ აქედან, გამომდინარეობდა მათ მიერ გაცემული რეკომენდაცია. სწავლების მეთოდის შესატყვისობასთან დაკავშირებით, განმარტა რომ სახელის დაზუსტებას გულისხმობდნენ. პირველ სტანდარტთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ ყველაფერი სწორად არის გაწერილი დასკვნაში. სილაბუსების კვეთასა და სხვა საკითხებზე საუბარია მეორე და შემდგომ სტანდარტებში, შესაბამისად მირველი სტანდარტი არის ისეთი, როგორც არის გაწერილი დასკვნაში.

ექსპერტმა, მიხეილ ბიჭიამ, განაცხადა, რომ რეკომენდაციები მიზნად ისახავდა პროგრამის გაძლიერებას. პირველი რეკომენდაციის შესახებ მან განაცხადა, რომ ზოგ საგანში მითითებულია გვერდები, ზოგში არა, რაც ნიშნავს, რო პროცესი დაწყებულია, შესაბამისად აღნიშნული რეკომენდაცია დაეხმარებოდა ერთიანი მიდგომის შესაქმნელად.

საბჭოს წევრი, ანზორ ბერიძე, დაინტერესდა, ფიქრობს თუ არა ექსპერტთა ჯგუფი, რომ სამაგისტრო საფეხურზე გვერდები უნდა ყოფილიყო აუცილებლად მითითებული, არის თუ არა ეს ხარვეზი.

ექსპერტმა, მიხეილ ბიჭიამ, განმარტა, რომ შესაძლებელია ეს არ იყოს განსაკუთრებული სიმძიმის ხარვეზი, მითუმეტეს სამაგისტრო საფეხურზე, მაგრამ როდესაც სხვა პროგრამებისთვის გამოითქვა იგივე რეკომენდაცია ცხადია იგივე შეიძლება გავრცელდეს აღნიშნულ პროგრამაზეც. უახლესი ლიტერატურის მითითების შესახებ მან განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა ხაზი გაუსვა უახლეს ლიტერატურას. რომლის შესაბეაც დაწესებულებამ განაცხადა, რომ უკეთესი ნაშრომი აქვთ მითითებული, პრობლემა დაისვა იმ კონტექსტში, რომ ნაშრომების პირდაპირი ბმა, მაგ., ლია წულაძის სახელმძღვანელოსთან არ იძებნება. მაშინ, როდესაც ამავე საგანში წარდგენილია განათლების კვლევის მეთოდები, მეექვსე გამოცემა, და პოლიტიკის მეცნიერების კვლევის მეთოდებზე, თუკი არის პირდაპირი კავშირი არ იძებნება ლია წულაძის 2020 წლისს ნაშრომთან, რომელიც ეხება თვისებრივ კვლევის მეთოდებს. ასევე მითითებულია, რომ უცხოური უკეთესი ნაშრომია მითითებული, უცხოური ნაშრომი ძალიან კარგია, მითუმეტეს სამაგისტრო საფეხურისთვის, მაგრამ სულ მცირე 10 წლიანი განსხვავება თუ იქნება მხედველობაში მიღებული ამ კონტექსტში პირდაპირი კავშირი იძებნება ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასახელებულ ნაშრომებთან. გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საგნის შესახებ მან განმარტა, რომ 2016 და 2018 წელს გამოცემული ნაშრომები ყოფილიყო გამოყენებული, რადგან ქართულ იურიდიულ სივრცეში არ არსებობს გარემოს დაცვასთან დაკავშირებით ისეთი კვლევა, რომელიც ამ საგნებს უკავშირდება, რომელიც დაასახელეს მხოლოდ იმ მიზნით, რომ მასალა უფრო სრულად ყოფილიყო წარდგენილი, ნორმატიული მასალის წარმოდგენა კარგია, მაგრამ მეთოდოლოგიურად საჭიროა მისი თეორიული ანალიზი, რა როგორ გაიგება, როგორ გამოიყენება პრაქტიკაში და ა.შ. თუმცა თეორიული წყარო მნიშვნელოვანია. გარდა ამისა მითითება იყო იმაზეც, რომ კონკრეტული საკითხები

განხილული იყო სილაბუსში, თუმცა, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასახელებული საკითხები ნამდვილად არ არის სილაბუსში, მაგ., სანებართვო პროცესებთან დაკავშირებით არ არის მითითება, ისევე როგორც შეფასების ინსტრუმენტებთან დაკავშირებით, რომლის შესახებაც ასევე დაისვა კითხვა, მაგრამ სულ მცირე იურიდიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნას სკოტინგის პროცედურა და სხვა ტიპის აღწერასთან დაკავშირებული სისტემები, რომლებიც პირდაპირ კავშირშია საგანთან და არ იკითხება სილაბუსში, საერთაშორისო რეგულაციები ძალიან კარგია, მაგრამ შიდა რეგულაციები წარდგენილი არ არის. 2.5 კომპონენტთან დაკავშირებით განმარტა, რომ სწავლის მეთოდებად მოყვანილია საკლასო განხილვები მოწვეული ლექტორები.

„საზოგადოებრივი ურთიერთობების“ სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელმა, ნიკოლოზ აბუაშვილმა დასძინა, რომ საუბარი იყო მოწვეულ სტუმრებზე.

ექსპერტმა, მიხეილ ბიჭიამ, განაცხადა, რომ ამით არსი არ იცვლება, რადგან არის მცდელობა იმისა, რომ ადამიანი განიხილონ ობიექტად, თუკი გამოიყენებენ კანტის კატეგორიულ იმპერატივს, ადამიანი არ შეიძლება განიხილებოდეს მიზნის მიღწევის საშუალებად, სამართლებრივი თვალსაზრისითაც, ადამიანი ობიექტი ვერ იქნება, შესაბამისად მოწვეული სტუმრები ვერ განიხილება ხერხად, შესაბამისად ეს ეწინააღმდეგება ბუნებრივ თავისებურებებს, მან დასძინა, რომ ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა აღნიშნული კითხვები კურსის ავტორთან და თვითონაც თქვა რომ ეს იყო ხარვეზი, შესაბამისად ეს აისახა დასკვნაშიც და შემდეგ ამ პოზიციის შეცვლა, ფაქტობრივად პირველად ჩვენებას ეწინააღმდეგება. ავტორმა გააჟღერა, რომ, როსაც საქმე ეხება საკლასო განხილვებს მოიაზრება საკითხის/შემთხვევის ანალიზი, მოწვეულ სტუმრებში, შეცდომა იყო დაფიქსირებული და მისი თქმით აქ მოიაზრება საჯარო ლექციის ჩატარება და მეტწილად შეიძლება იყოს დისკუსია/დებატები, მოწვეული სტუმრები რამდენად შეიძლება სწავლება-სწავლის მეთოდად იყოს მოაზრებული ისევ სუბიექტ-ობიექტის განხილვას უბრუნდება, ლოგიკურად, რატომ არ არის ლექტორი სწავლის მეთოდი. ჩამოთვლილია „დისკუსია“, „დისკუსია მოწვეული სტუმრის მონაწილეობით“, „საკლასო დისკუსია“, ასეთი კლასიფიკაცია ფაქტობრივად ბუნდოვანებას შემოიტანს, არა მხოლოდ სტუდენტებში, არამედ ლექტორებშიც, ინება ეს საკლასო თუ საველე პირობებში. 2.6 კომპონენტში მითითებული იყო, რომ პროგრამის სამეცნიერო კვლევითი კომპონენტი უნდა შეფასებულიყო იმავე ან მომდევნო სემესტრში, მითითებულია რეცენზენტის 50%-იანი შეფასება, დაცვის კომისიის წევრების 50%-იანი შეფასება და 50+50 გაყოფილი 2-ზე, ორზე გაყოფილია, რადგან მუდმივად კეთდებოდა აქცენტი საშუალო არითმეტიკულზე და მისი გამოანგარიშების მეტოდი ცნობილია, შესაბამისად არ გამოდის 100 ქულიანი შეფასება, არადა პროგრამის ხელმძღვანელებმა გააჟღერეს, გამოდის, რომ თუ სხვაგვარად ვრცელდება ფურცელზე მაშინ სხვა ინფორმაცია ჰქონიათ და პრაქტიკაში სხვანაირად გამოიყენება, ამ ნაწილში არის ხარვეზი, რომელიც მოითხოვს დახვეწას. შეფასების კრიტერიუმების შესახებ მან განაცხადა, რომ ნათელი უნდა იყოს, რადგან ლიტერატურის გასწვრივ წერია კრიტიკული ანალიზი, არგუმენტაციაში წერია კრიტიკული აზროვნების უნარი, წერია აზრის/ინფორმაციის გადმოცემა, ზეპირი სახით ინფორმაციის გადმოცემა, ჩანს, რომ არ არის ნათლად გამოკვეთილი, არ არის მკაფიოდ წარმოდგენილი.

საბჭოს წევრმა, თამარ ჩხეიძემ, განაცხადა, რომ მას არ ჰქონია კრიტერიუმებთან დაკავშირებული კითხვა, ვინაიდან ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ თავის გამოსვლაში ისაუბრა აღნიშნულ საკითხზე. მას უფრო მეტად აინტერესებდა ერთჯერადი შეფასება, რომელზეც დასკვნაში არის საუბარი, მისთვის გაუგებარი იყო 2-ზე გაყოფა.

ექსპერტმა, მიხეილ ბიჭიამ, განაცხადა, რომ 2-ზე გაყოფა საშუალო არითმეტიკულიდან გამომდინარეობდა, რაც შეეხება შეფასების ერთჯერადობას, ხაზგასმა არის იმაზე, რომ დასკვნითი შეფასება იყოს საბოლოო ჯამში განხორციელებული, სამაგისტრო ნაშრომი მოიცავს 2 კომპონენტს: უნდა იყოს ერთჯერადი და განხორციელდეს დასკვნითი შეფასებით. დაინტერესდა თუ რამდენად არის დაცული აღნიშნული პრინციპი, რადგან ჯერ რეცენზენტი აფასებს და გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ.

„საზოგადოებრივი ურთიერთობების“ სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელმა, ნიკოლოზ აბუაშვილმა, ლიტერატურის რელევანტურობასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მაგ., მარკეტინგში იყენებს ჰარვარდის ბიზნეს სკოლის სახელმძღვანელოს, რასაც იქ იყენებენ საკითხავ მასალადა და გაუგებარია იმის თქმა, რომ არ შეესაბამება სამაგისტრო საფეხურს. მენეჯმენტის საგანთან დაკავშირებით მან განმარტა, რომ ორად გაყვეს, რადგან კონტიგენტი თუ ეყოლებათ მენეჯერული გამოცდილებით, მისთვის ყველაფერი გასაგები იქნებოდა, მაგრამ როგორი მენეჯერიც სურთ რომ გამოვიდეს სტუდენტი ამის დაოსტატება ხდება მეორე კომპონენტში, პირველი საგნის მთავარი ამოცანა არის ის, რომ სტუდენტებმა დაიწყონ აზროვნება მენეჯერებივით, არა როგორც მაგისტრმა მენეჯერებმა, რადგან ამას სჭირდება გამოცდილება, თუმცა როცა არ აქვს გამოცდილება უნდა მომზადოს.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა საუბრობდა თუ არა პროგრამაზე მიღების წინაპირობებზე.

„საზოგადოებრივი ურთიერთობების“ სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელმა, ნიკოლოზ აბუაშვილმა, განაცხადა, რომ დაწესებულების ამოცანა არის გაზარდოს PR-ის მენეჯერები, ეს არის მნიშვნელოვანი ნაწილი, რასაც მნიშვნელოვანი ძალისხმევა სჭირდება, მითუმეტეს ამ ქვეყანაში, ლიტერატურის ნაწილში არ დაეთანხმა საბჭოს წევრს რომ გამოყენებული ლიტერატურა არ შეესაბამება სამაგისტრო საფეხურს.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ საბჭოს წევრმა დაასახელა კონკრეტული სასწავლო კურსები.

„საზოგადოებრივი ურთიერთობების“ სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელმა, ნიკოლოზ აბუაშვილმა განმარტა, რომ დაასახელა მისი სასწავლო კურსიც, სწორედ ამიტომ გააკეთა კომენტერი.

საბჭოს თავმჯდომარე შეუერთდა საბჭოს წევრს დასახელებულ კურსებთან მიმართებით, რადგან რობინსის და სხვა მითითებული ლიტერატურები საბაკალავრო დონისაა, თუკი პროგრამის ხელმძღვანელი ამბობს, რომ აღნიშნული მასალები დევს, რადგან მისაღები კონტიგენტი არ შეესაბამება სამაგისტრო დონეზე მისაღებ კვალიფიკაციას ეს უკვე სხვა გზავნილია.

„საზოგადოებრივი ურთიერთობების“ სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელმა, ნიკოლოზ აბუაშვილმა, განაცხადა, რომ მისაღები კონტიგენტი სამაგისტრო კვალიფიკაციაში შეესაბამება, უბრალოდ ამ ადამიანებს არ აქვთ იმხელა მენეჯერული გამოცდილება, რამხელაც უნდა ჰქონდეთ, შესაბამისად აღნიშნული საგანი გაყოფილია ორ ნაწილად, 1. სადაც მენეჯერულ აზროვნებას აწყებინებენ და 2. სადაც აოსტატებენ. ეს მთლიანობაში არის ჯაჭვი, ეს საქმე პრაქტიკულად უნდა ჰქონოდა გაკეთებული. სამაგისტრო ნაშრომებთან დაკავშირებით პრობლემა მისთვის გაუგებარია. ჯიპა-ში ყველაფრის შეფასება ხდება 100 ქულით უბრალოდ თითოეული ადამიანის შეფასებას აქვს სხვადასხვა წონა, ამ შემთხვევაში სამაგისტრო ნაშრომს ამოწმებს ორი რგოლი: რეცენზენტი და კომისია, რომელიც რამდენიმე კაცისგან შედგება, გამოდის კომისიის გაერთიანებული ქულა, რომელიც ჩვეულებრივად საშუალო არითმეტიკულით ითვლება, ვთქვათ, სტუდენტმა კომისიისგან მიიღო 100 ქულა, რეცენზენტმა დაწერა 90 ქულა, გვაქვს 2 ქულა, ორივე კომპონენტს აქვს წონა 50-50%, როდესაც ორ კომპონენტს თანაბარი წონა აქვს შეწონილი საშუალო არის ჩვეულებრივი საშუალო არითმეტიკული, ასე რომ ამ ნაწილში პრობლემა გაუგებარია მისთვის,

ექსპერტმა, მიხეილ ბიჭიამ, განაცხადა, რომ 50-ის და 50-ის საშუალო არითმეტიკული 100 არ გამოდის.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ნიკოლოზ აბუაშვილმა, ჰკითხა ექსპერტს თუ რამდენი იყო 100-ისა და 90-ის საშუალო არითმეტიკული.

ასისტენტ-პროფესორი, ეკატერინე შალუტაშვილმა, განაცხადა, რომ რაც შეეხება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას სტუდენტები სწავლობენ საუკეთესო გაიდლაინით ბრიტანულ ვერსიას და ეროვნულ კანონმდებლობას, ექსპერტმა ახსენა სანებართვო ლიცენზიები და სკოუპინგი, რომელიც შედის კოდექსში და საზოგადოებრივი ურთიერთობების კურსდამთავრებულისთვის ამაზე მეტი სკოუპინგი ან სხვა საკითხები საჭირო არ არის.

ეროვნული კანონმდებლობის შესახებ მან განაცხადა, რომ როდესაც ისწავლება ასეთი საკითხი, როგორიც არის ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების ხელშეკრულება, ძალიან ხმამაღალი აქცენტებია გარემოს დაცვასთან დაკავშირებით.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, განაცხადა, რომ მისი კითხვის მიზანი არ ყოფილა საგნის გაყოფის შესახებ ინფორმაციის მიღება, ზოგადად, ადამიანური რესურსების მართვა და ლიდერობა ცალკე სასწავლო კურსებად შეეძლოთ ესწავლებინათ, თუკი მათ მენეჯერის გაზრდა უნდათ, მაგრამ მისი კითხვის არსი იყო ის, რომ ორგანიზაციული მენეჯმენტის სასწავლო კურსში გადაწყვეტილების მიღებას, ამ სასწავლო კურსში მიღებული ცოდნა მეორე სასწავლო კურსში რომ გადის სწავლის შედეგზე, დაინტერესდა, თუ როგორ გადის „მართვა შედეგებისათვის“ აღნიშნულ სწავლის შედეგზე „გლობალურ მენეჯმენტში მიმდინარე პროცესები მოვლენების სისტემური ანალიზი“, რომელი დავალებებით, თემებით, როდესაც მსგავსი რამ საერთოდ არ ისწავლება, რუბრიკაში კი აღნიშნული საკითხი განმტკიცების დონეზეა მოცემული და არა გაცნობის. რაც შეეხება რობინსის სასწავლო კურსს, ეს არის მენეჯმენტის საფუძვლები, არის საბაკალავრო საფეხურის, მეორე/მესამე სემესტრის სახელმძღვანელოა და თან ივსება დამატებით ლიტერატურით, აღნიშნულ ორივე სასწავლო კურსში მითითებულია ძირითად სახელმძღვანელოდ არ არის ბევრი რესურსი, ლექტორი აუდიტორიაში რას აქეთებს ეს სილაბუსში არ ჩანს, თუმცა საბჭომ უნდა იმსჯელოს სილაბუსის შესახებ.
პროგრამის ხელმძღვანელმა, ნიკოლოზ აბუაშვილმა, განაცხადა, რომ ერთი ლიტერატურის ორ საგანში გამოყენების პრობლემას, ვერ ხედავს, რადგან მისი მოსაზრებით მნიშვნელოვანია, თუ რა სიღრმეში ჩავა ლექტორი, უფრო კონტექსტის თვალსაზრისით, მეორე საგანში კი უფრო დაოსტატების თვალსაზრისით.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, მიმართა პროგრამის ხელმძღვანელს, მიაჩნდა თუ არა, რომ იაკობ გოგებაშვილის ანბანის სწავლა ხელს შეუწყობს კრიტიკული ანალიზის უნარების ჩამოყალიბებას და მისცემს შესაძლებლობას ოთარაანთქვრივი და რომელიმე სხვა შეადაროს ერთმანეთს.
პროგრამის ხელმძღვანელმა, ნიკოლოზ აბუაშვილმა, განაცხადა, რომ მისი მოსაზრებით ზემოაღნიშნული იმ მიზანს ემსახურება, რაზეც უკვე ისაუბრა.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, განმარტა, რომ პროგრამის სწავლის შედეგი, ზოგიერთი მათგანი შვიდივე სწავლის შედეგზეც კი გადის, რაც ცოტა უცნაურია.
პროგრამის ხელმძღვანელმა, ნიკოლოზ აბუაშვილმა, დასძინა, რომ მათ აქვთ ინტეგრირებული სასწავლო კურსები, საგნების ნაწილი, განსაკუთრებით, რომლებიც დაოსტატების ნაწილს ეხება ინტეგრირებული იყოს და ამიტომ გადის ბევრ შედეგზე. მათი ამოცანა არ არის, რომ სტუდენტმა სამსახურში ისწავლოს რა აკეთოს, სწავლების პროცესშივე აკეთებინებენ და ინტეგრაციაზე ამახვილებენ დიდ ყურადღებას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.
საბჭოს წევრი, ეკატერინე ნაცვლიშვილი, დაინტერესდა თუ როგორ ახერხებს გამტკიცების დონეზე „მართვა შედეგებისათვის“ გასვლა, სასწავლო კურსს ასწავლიან კოტლერის სახელმძღვანელოთი საფუძვლებით, რანაირად ახერხებს სტუდენტი სიღრმისეულად გაანალიზებას.
პროგრამის ხელმძღვანელმა, ნიკოლოზ აბუაშვილმა, განაცხადა, რომ დაოსტატების ნაწილში კონკრეტული მიზნების დაოსტატება ხდება ბევრ საგანში, მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი არის შემაჯამებელი პროექტები, რომლებსაც მოდულების ბოლოს აკეთებენ და აერთიანებენ ბევრ მიმართულებას, ეს არ არის საშინაო დავალება, პროექტი კეთდება თავიდან ბოლომდე, ამიტომ ლიტერატურის კითხვა დაოსტატებას არ უწყობს ხელს, მნიშვნელოვანია რას აკეთებს ამ ლიტერატურასთან ერთად, რა ქეისებს იხილავენ, და სხვა, როგორ არის ჩამჯდარი პროგრამის ნაწილებში, რასაც აღნიშნული პროგრამა აღწევს.
ექსპერტმა, მიხეილ ბიჭიამ, განაცხადა, რომ უნივერსიტეტს აქვს კვლევითი კომპონენტების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესი, სადაც ნათლად წერია, სამაგისტრო ნაშრომის შეფასება არის შემდეგნაირი რეცენზენტი აფასებს 50%-ს, კომისიაც ასევე 50%-ს, საბოლოო

ჯამში 50+50 ნამდვილად 100-ია მაგრამ საშუალო არითმეტიკული ორზე გაყოფით მიიღება 50, ის პრინციპი, რომელიც გაჟღერდა პროგრამის ხელმძღვანელის მხრიდან საშუალო არითმეტიკულ შეფასებასთან დაკავშირებით ან სადმე სხვანაირად უნდა აისახოს, ან წესში უნდა ჩანდეს.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, განაცხადა, რომ სილაბუსზე რომელზეც საუბრობდა გადის განმტკიცებაზე, შემაჯამებელ დავალებას აძლევენ, რომელიც ფასდება ქეისით, დისკუსიით, შეფასების კრიტერიუმის მიხედვით შეუძლებელია მისი გასვლა განმტკიცებაზე.
ექსპერტმა, მიხეილ ბიჭიამ, განაცხადა, რომ იურისტის გადმოსახედიდან ეს არის მნიშვნელოვანი, რადგან შესაძლებელია კურსს სხვა სფეროს წარმომადგენელი უძღვებოდეს, საგანი არის წმინდა იურიდიული, გარემოში უვნებელ ცხოვრებასთან დაკავშირებით, კონსტიტუციასთან დაკავშირებით და სხვა, რომლებიც სილაბუსში არ იკითხება, გარკვეულ საკითხებზე, რომლებშიც პასუხში ეწერა, რომ განიხილავდნენ, თხოვნა არის, რომ თუ განიხილავდნენ უნდა ჩანდეს რომელიმე დოკუმენტში.
ასისტენტ-პროფესორმა, ეკატერინე შალუტაშვილმა განაცხადა, რომ საკმაოდ ნათლად ჩანს, სპეციფიური ტერმინოლოგიით სილაბუსში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:45
დასრულების დრო: 18:17

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭოს არ დაუსრულებია მსჯელობა, განიხილავენ თითოეულ რეკომენდაციას, რის დროსაც წარმოიშვა რიგი საკითხები, რომლებიც დოკუმენტაციის დეტალური გაცნობისა და მოხსენებების საფუძველზეც დაებადათ, შესაბამისად საბჭოს ორი წევრი დასვამს კითხვას.
საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა, განაცხადა, რომ მსჯელობის დროს გაჩნდა კითხვა კვლევით კომპონენტთან მიმართებით, კერძოდ საბჭოს აინტერესებს არის თუ არა სამაგისტრო ნაშრომის შესრულება სავალდებულო ყველა სტუდენტისთვის და თუ არ არის სავალდებულო მაშინ როგორ ხდება კვლევისთვის დაწესებული მეშვიდე დონის შესაბამისი მოთხოვნების შესრულება იმ სტუდენტებთან მიმართებით, რომლებიც სამაგისტრო ნაშრომს არ გადიან.
საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა, განაცხადა, რომ მისასალმებელია, როდესაც სამაგისტრო ნაშრომი გარკვეულ კონკრეტულ პრობლემას ეხება, მაგრამ სთხოვა ძალიან მოკლედ აეხსნათ არა კვლევითი სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას რა რაოდენობით და რა ფორმით მოიცავს კვლევით კომპონენტს.
„საზოგადოებრივი ურთიერთობების“ სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელმა, ნიკოლოზ აბუაშვილმა, განაცხადა, რომ მათი კურსდამთავრებული უნდა იყოს PR-ის მენეჯერი, რაც არის საშუალო რგოლის მენეჯერი, შესაბამისად მენეჯმენტის კუთხით დაოსტატებას უყურებენ არა, როგორც სტუდენტს მოეთხოვება მენეჯერული თვალსაზრისით, არამედ რაც მოეთხოვება საშუალო რგოლის მენეჯერს. სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას სტუდენტებს აქვთ ორი ალტერნატივა, აკადემიური კვლევის შესრულება და კომუნიკაციის გეგმა, რომელიც არ არსებობს კვლევის გარეშე, აკადემიური კვლევის ერთ-ერთი მთავარი დანიშნულება არის ახალი ცოდნის შექმნა, რომელსაც ორი გადასახედიდან უყურებს, ახალი ცოდნა არის დარგობრივი ახალი ცოდნის შექმნა და დარგში არსებული ცოდნის ისეთ სიტუაციაში გამოყენება, რომელშიც არავის გამოუყენებია, შესაბამისად აკადემიური კვლევის ნაწილი, გასაგებია, და მეორე არის არსებული ცოდნის ახალ რეალობაში გამოყენება და ამ მხრივ წარმოადგენს ღირებულებას, ტექნიკის თვალსაზრისით ჩვეულებრივ კომუნიკაციას მოიცავს, კვლევის თვალსაზრისით დიდი განსხვავება არ არის, უბრალოდ მიზანია განსხვავებული. აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებული არ მოიაზრება ტოპ მენეჯერად, მოიაზრებს საშუალო რგოლის მენეჯერად.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნატო ასათიანმა, განაცხადა, რომ ამ შემთხვევაში არის შესაბამისი, რა პოზიციაც აქვს დაწესებულებას და ამასთან დაკავშირებით პრობლემა არ ჩანდა.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, დააზუსტა გამოდის თუ არა, რომ ცალკეულ სასწავლო კურსებში, რომლებშიც სწავლობს, გამოდის, რომ თუ მენეჯმენტში ისწავლა გარემოს ანალიზის ტექნოლოგია და შემდეგ აიღო სასწავლო პროექტი ან რაიმე პატარა კვლევითი პროექტი, იმ ნასწავლი ცოდნა უნარების საფუძველზე ჩაატარა ორგანიზაციულ გარემოში მმართველობითი კვლევა, მოახდინა საქმიანობის პროცესში პრობლემების იდენტიფიცირება და წარმოადგინა გეგმა/რეკომენდაციები, არის თუ არა ეს კვლევითი უნარების/სამაგისტრო ნაშრომის ექვივალენტი.
პროგრამის ხელმძღვანელმა, ნიკოლოზ აბუაშვილმა განაცხადა, რომ ეს მოიცავს ექსტერნალურ და ინტერნალურ კვლევას, ასევე მოითხოვს ბევრი რამის შესწავლას, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით კვლევა კვლევაა, ამოცანის განსაზღვრა, ჰიპოთეზების ჩამოყალიბება და სხვა ზუსტად იმ უნარებს ატესტინებს, რომელიც სჭირდება გამოყენებით კვლევებში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:27
დასრულების დრო: 19:25

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

√ აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.
კერძოდ საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ 1.2 კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, განისაზღვროს როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, შესაბამისად, აკრედიტაციის პირველი სტანდარტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.
ასევე, 2.2 და 4.1 კომპონენტები, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; 2.3 კომპონენტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; 2.5 და 4.2 კომპენტი კომპონენტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. მოცემული კომპონენტების ცვლილებას სტანდარტის შეფასებები არ შეუცვლია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „საზოგადოებრივ ურთიერთობათა“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 1 წელსა და 6 თვეში მონიტორინგის განხორციელების პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია გადაიხედოს პროგრამის კურიკულუმის რუკა და დაზუსტდეს სასწავლო კურსების ბმა პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისი დონის მითითებით;

2. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების გადახედვა და რეფორმულირება გაზომვადობის უზრუნველსაყოფად;
3. რეკომენდებულია კურიკულიმის რუკაში აისახოს სამაგისტრო ნაშრომის სავალდებულო სტატუსი;
4. რეკომენდებულია შემუშავდეს და წარმოდგენილი იქნას კონსოლიდირებული სახით შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტი, რომელთანაც პროგრამის სწავლის შედეგები იქნება შესაბამისობაში;
5. რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისთვის პროგრამის სავალდებულო კომპონენტი გაძლიერდეს სამეცნიერო წერის ამსახველი საკითხებით;
6. რეკომენდებულია რიგ სასწავლო კურსებში („ორგანიზაციული მენეჯმენტი საზოგადოებასთან ურთიერთობებში“, „მართვა შედგებისთვის“, „პროექტების მენეჯმენტი“, „კონტენტმარკეტინგი“, „ბრენდინგი“ და სხვა.)კურსის შედეგები, შინაარსი და სავალდებულო ლიტერატურა მოვიდეს შესაბამისობაში სწავლების საფეხურთან;
7. რეკომენდებულია პროგრამა გაძლიერდეს მენეჯერული/მართველობითი უნარების განმავითარებელი სწავლების საფეხურთან შესაბამისი საკითხებით;
8. რეკომენდებულია რიგ სასწავლო კურსებში გადაიხედოს და დაზუსტდეს ჯგუფურ პროექტებში სტუდენტის ინდივიდუალური შეფასება;
9. რეკომენდირებულია პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების გაძლიერება, როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხის თვალსაზრისით;
10. რეკომენდებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად;

რჩევები:
1. თუ სპეციალობაში გამოცდა ზეპირია და არა წერილობითი, სასურველია, აისახოს პროგრამასა და თვითშეფასების დოკუმენტებში;
2. სასურველია, გასწორდეს გარკვეული ტექნიკური ხასიათის უზუსტობები. პრერეკვიზიტული საგნების კოდები დაზუსტდეს როგორც სილაბუსებში, ასევე კურიკულუმის რუკაში. მაგალითად: PR 712 კურსის (პირველი სემესტრის საგანი) პრერეკვიზიტი არის PR703, რომელიც მესამე სემესტრის საგანია; PR713 კურსის ერთერთ პრერეკვიზტად მითითებული არის MGT 704;
3. სასურველია, რომ სასწავლო კურსების სილაბუსებიდან ნათლად ირკვეოდეს ჯერ კონკრეტული ასახსნელი თემის სათაური, დასათაურების ქვეშ კი - განსახილველი საკითხის მოკლე აღწერა;
4. სასურველია, სასწავლო საგნის „სოციალურ საკითხებზე კამპანიის წარმოება“ ინგლისურ ენაზე წაკითხვის შესაძლებლობის შესახებ აისახოს შესაბამის დოკუმენტებში და ამავე საგნის სილაბუსიც დაერთოს პროგრამას;
5. რეკომენდებულია სწავლება-სწავლის მეთოდების შესატყვისი სახელწოდებით გამოყენება და შეფასების ინსტრუმენტთაგან მათი მკაფიოდ გამიჯვნა;
6. სასურველია რამდენიმე სასწავლო კურსის სილაბუსით სწავლება-სწავლის მეთოდთა გამრავალფეროვნებასა და ანალიტიკური უნარების გამომუშავებისთვის აუცილებელ მეთოდებზე (გონებრივი იერიში, დედუქცია-ინდუქცია, ანალიზი, სინთეზი, სოკრატესეული, შემთხვევის ანალიზი და სხვა) ფოკუსირება;
7. სასურველია სტუდენტების ინფორმაციულობის ხარისხის გაზრდა ფინალური და შუალედური შეფასებების გასაჩივრების წესის მიმართ;
8. სასურველია, მეტი ყურადღება მიექცეს პლაგიატის თავიდან აცილების შესახებ სტუდენტთა ინსტრუქციის პრაქტიკაში გამოყენებას;

9. სასურველია პროფესიული განვითარების ღონისძიებათა შესახებ სრული წარმოდგენის შესაქმნელად პირადი მონაცემების მუდმივად განახლება, ასევე, პერსონალის CV-ის საერთო ფორმის შემუშავება;
10. სასურველია, ტექნიკურად გაიმართოს ელექტრონული საძიებო სისტემა და ხარვეზების აღმოფხვრის შესაბამისი ღონისძიებები დაიგეგმოს;
11. სასურველია, დაიხვეწოს და სასწავლო მოთხოვნებს მოერგოს https://lmb.gipa.ge/;
12. კარგი იქნება, ბიუჯეტის დოკუმენტი დეტალურად და ნათლად ასახავდეს კონკრეტულ აქტივობებს, ხოლო დეფიციტურობისას - მისი აღმოფხვრის რელევანტურ ღონისძიებებს;
13. სასურველია შეძლებისდაგვარად უცხოელი ექსპერტების ჩართულობა გარე ხარისხის შეფასების მიზნით;
14. სასურველია, უნივერსიტეტმა ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესი დახვეწოს, ასევე, შეიმუშავოს შესაბამისი გზამკვლევები და ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის რეკომენდაციები.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და 3^1 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, დააყენა ა(ა)იპ - ჯიპა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „საზოგადოებრივ ურთიერთობათა“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა 7 წლის ვადით აკრედიტაცია, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენისა და 1 წელსა და 6 თვეში მონიტორინგის განხორციელების პირობით.

ცენტრის წარმომადგენელმა, ლალი ოდიშვილმა, დააყენა შუამდგომლობა 21 დეკემბერს უნდა განხილულიყო თსუ-ის „გენდერული კვლევების“ სამაგისტრო პროგრამა, დაწესებულებამ მისწერა ცენტრს და სთხოვა აღნიშნული საკითხის გადატანა 24 დეკემბრის შემდეგ, რადგან 19 დეკემბრიდან 24 დეკემბრის ჩათვლით აქვთ შუალედური შეფასებების კვირეული, სასწავლო პროცესი არის დატვირთული და შესაძლებელია აკადემიური პერსონალი ვერ ჩართულიყო სრულად.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საბჭომ დააკმაყოფილა ცენტრის შუამდგომლობა

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ადამიანური რესურსების მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ადამიანური რესურსების მართვა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ადამიანური რესურსების მართვის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	უნივერსიტეტის ქ. 2, თბილისი, თსუ X კორპუსი, 0186, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ დიახ

თვითაცილება განაცხადეს საბჭოს წევრებმა: გიორგი ღაღანიძემ, ნინო ჭალაგანიძემ, თეონა მატარაძემ და მარიამ შენგელიამ.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: პირველი, მეორე და მეხუთე სტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; მესამე და მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ეკა გეგეშიძემ, განაცხადა, რომ პროგრამა პრეცედენტულია საქართველოს ბაზარზე და არ არსებობს მსგავსი პროგრამის განხორციელების პრაქტიკა და შედეგები, აუცილებელია საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასება ხორციელდებოდეს შესაბამისი მიმართულებით გამოცდილების მქონე დამოუკიდებელი ექსპერტების ან/და სხვა (მათ შორის საერთაშორისო) გარე შემფასებლის მიერ განსაკუთრებით პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და პროგრამის შინაარსის, სტრუქტურის შემუშავებისას. როდესაც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დოკუმენტაციასა და სამართლებრივ მოთხოვნებს, ასევე დაესწრნენ ცენტრის მიერ შეთავაზებულ ტრენინგებს, რამდენიმე მიმანიშნებელი დეტალი აქვთ შესავალში, რომელთა უმეტესი ნაწილი ეხება სამართლებრივად დალაგებას, კონკრეტულად შესაძლებელია სამაგისტრო პროგრამა იყოს აღმასრულებელი XMBA-ს მიმართულებით, იყოს 60 კრედიტიანი და იყოს უბრალოდ, პრაქტიკული 60 კრედიტიანი პროგრამა, მხოლოდ გათვალისწინებულია XMBA პროგრამა, რომელიც არის ე.წ. უფრო გამოცდილი ხალხისთვის, საქართველოს კანონმდებლობაში წერია, რომ მას უნდა ჰქონდეს სამუშაო გამოცდილება, არაფერი არ წერია ეროვნულ გამოცდებთან დაკავშირებით, უნდა ჩააბაროს თუ არა, მაგრამ კონსულტაციებისა და ტრენინგების საფუძველზე დადგინდა, რომ მოთხოვნების მიხედვით უნდა ჩააბაროს გამოცდა, ეროვნული გამოცდების ჩაბარება არ უნდა მოეთხოვებოდეს XMBA პროგრამას, თუმცა გამიჯნული უნდა იყოს მოთხოვნები ჩაბარების თვალსაზრისით ერთნაირად არ შეიძლება ბიზნესის ადმინისტრირების სტაჟი და მენეჯერულ მუშაობაზე მიმართულებით სტაჟი ჩაითვალოს ერთიდაიგივე წლების რაოდენობად, ექსპერტთა ჯგუფმა მიმოიხილა მეტად მნიშვნელოვანი პროგრამა დეტალურად შეისწავლეს, გაანალიზეს და შეძლებისდაგვარად წარმოადგინეს რეკომენდაციები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია პროგრამის მიზნები დაიხვეწოს და გახდეს უფრო ნათელი და მკაფიოდ ჩამოყალიბებული;
2. რამდენადაც პროგრამა განკუთვნილია პრაქტიკული გამოცდილების მქონე სტუდენტებისათვის, მიზანშეწონილია ეს აისახოს პროგრამის მიზნებშიც. პროგრამამ უნდა განავითაროს ის უნარები, რომლებიც, სავარაუდოდ, ამ პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტს უკვე შეძენილი აქვს და განახორციელებს პრაქტიკული საქმიანობის პროცესში. ამისათვის საჭიროა წინადადებები აიგოს შესაბამისი სიტყვების გამოყენებით, მაგ.: „სრულიყოს, განავითაროს, გაიღრმავოს და ა.შ.;
3. საჭიროა, ჩატარდეს ბაზრის ღრმა კვლევა და შესაბამისად დაკორექტირდეს მიზნები, რათა პროგრამამ კიდევ უფრო მეტი წვლილი შეიტანოს დასაქმების ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებაში;
4. რეკომენდირებულია სამიზნე ნიშნულების შემუშავება შედეგების მისაღწევად მოახდინეთ ყველა ძირითადი ან და უფრო მეტი ძირითადი საგნის საფუძველზე;
5. თუ პროგრამის სამიზნე ნიშნული დაფუძნებულია ინდივიდუალური პროექტი/რეფერატის მომზადებაზე, კურსებში: ორგანიზაციული ქცევა გლობალურ გარემოში, ტალანტების მართვა,

და მონაცემთა კვლევა და ანალიზი SPSS-ის საშუალებით. აღნიშნული კომპონენტის შეფასების წონა უნდა იქნეს სასწავლო კურსებში გაზრდილი. კონკრეტულად ის არ უნდა იყოს მხოლოდ 10 ან 15 ქულა მთლიანი 100 ქულიანი შეფასებიდან;

6. დაშვების წინაპირობები მოყვანილი უნდა იქნას მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში. კერძოდ პირობებში უნდა დაემატოს „საერთო სამაგისტროგამოცდების“ ჩაბარება;

7. რეკომენდირებულია სასწავლო კურსი „ლიდერობა და ემოციური ინტელექტი“ გადავიდეს სავალდებულო, ხოლო სასწავლო კურსი „სოციალური ფსიქოლოგია“ გადავიდეს არჩევითი სასწავლო კურსების ჩამონათვალში;

8. აუცილებელია კურსებში (მაგალითად: ორგანიზაციული ქცევა გლობალურ გარემოში, ტალანტების მართვა, და მონაცემთა კვლევადა ანალიზი SPSS-ის საშუალებით) გაიზარდოს პროექტისა და რეფერატის შეფასების წონა ანდა მოხდეს ცალკე სასწავლო კურსად ინდივიდუალური ან ჯგუფური პროექტის შეთავაზება;

9. „სოციალური ფსიქოლოგია“ უფრო შეესაბამება საბაკალავრო საფეხურს საჭიროა მისი გადამუშავება და საგანმანთლებლო პროგრამის შინაარსსა და მიზნებთან მორგება;

10. უსდ-მ მოახდინოს ბაზრის მოთხოვნების დეტალური ანალიზი და შეფასება. ასევე, სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა, რათა დაადგინოს პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარების, სასურველი დონე, პროგრამის ეფექტიანად მუშაობისთვის. ამას გარდა მოახდინოს სწავლების დაწყებამდე სტუდენტების ტრანფერულ უნარების შეფასება და სწავლის დასრულების შემდგომ იგვე უნარების შეფასება, რათა მოახდინოს პროგრამის შედეგების უკეთ გაზომვა;

11. პროგრამაში სწავლის მეთოდებში მითითებულია, რომ “თეორიისა და პრაქტიკის ინტეგრაცია განხორციელდება შესაბამის ორგანიზაციაში პროფესიული პრაქტიკის გავლით”, თუმცა ეს არ არის მითითებული სასწავლო კურსებში შესაბამისად ეს უზუსტობაა და უნდა მოხდეს ამ ნაწილის პროგრამიდან ამოღება;

12. ამ ტიპის პროგრამისთვის მნიშვნელოვანია სწავლების მეთოდებში გამოყენებული იქნას ბიზნეს-სიმულაციის მეთოდი, Case Study კვლევის მეთოდი ანდა პროექტული სწავლება;

13. სწავლება-სწავლის მეთოდებსა და შეფასებებს შორის კავშირი უნდა იყოს უფრო მეტად ლოგიკური და თანმიმდევრული;

14. სტუდენტის მიერ მიღწეული ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის შეფასება მკაფიოდ უნდა ჩანდეს სილაბუსში, როგორც სხვა დანარჩენი სწავლის შედეგები;

15. საჭიროა გადაიხადოს და შეიცვალოს საგნებში შეფასების კრიტერიუმები, წონა და/ან კომპონენტები;

16. ვინაიდან სწავლის შედეგების მიღწევის ერთ - ერთ კრიტერიუმად გამოიყენება „ინდივიდუალური პროექტი/რეფერატის მომზადება“ რეკომენდირებულია, შესაბამის სილაბუსში ახსნილი იყოს მისი სავალდებულობა და განისაზღვროს შეფასების მინიმალური ზღვარი;

17. რეკომენდირებულია პროგრამის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, სასწავლო პროცესში ჩაერთოს უფრო მეტი პრაქტიკოსი პერსონალი ადამიანური რესურსების მართვის კუთხით;

18. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებაში გამოყენებული იქნას ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი, რათა უზრუნველყოფილი იქნას სწავლის შედეგების მაღალი სიზუსტით მიღწევადობის დადგენის საშუალება;

19. რეკომენდირებულია საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასება ხორციელდებოდეს შესაბამისი მიმართულებით გამოცდილების მქონე დამოუკიდებელი ექსპერტების ან/და სხვა (მათ შორის საერთაშორისო) გარე შემფასებლის მიერ განსაკუთრებით პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და პროგრამის შინაარსის, სტრუქტურის შემუშავებისას;

20. რეკომენდირებულია სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტში დაკონკრეტდეს სასწავლო კურსის სწავლის შედეგის გაზომვისთვის საჭირო აქტივობა/ფორმა იმ ფორმით ან სხვადასხვა აქტივობების კომბინაციით, რაც უზრუნველყოფს შემდგომი სტატისტიკური ანალიზის მაღალ რეპრეზენტაბელობას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ირმა გრძელიძემ, მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს იმ ინტენსიური შრომისთვის, რომელიც მათ გასწიეს. მან განაცხადა, რომ აცნობიერებენ იმ ფაქტს, რომ პროგრამა ვერ გავა, რადგან პირველია, განსხვავებული და განსაკუთრებულია აღნიშნული პროგრამის მომზადების ეტაპზე დაწესებულებამ მოამზადა კიდევ ორი პროგრამა, რომელთან განვითარება და შემოტანაც შეაჩერეს იმ საკანონმდებლო აქტების გარკვეულწილად არაერთგვაროვანი ინტერპრეტაციისთვის, რომელიც დაშვების წინაპირობას ახლავს, ცენტრთან ჰქონდათ მრავალი შეხვედრა, ასევე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გაგზავნილი აქვთ წერილი, ინიცირებით, რომ ამ ტიპის პროგრამებისთვის ეროვნული გამოცდები მოთხოვნილი არ უნდა იყოს სხვა შემთხვევაში დაკარგავენ იმ კონტიგენტს რომელზე გათვლაც გააკეთეს ამ პროგრამის ინიცირებისა და მუშაობის პროცესში, მათ ეჭვი ეპარებათ, რომ თუ დარჩება ეროვნული გამოცდები წინაპირობად დაწესებულებისთვის სამიზნე აუდიტორია, ის კონტიგენტი, რომელზეც მთელი მსოფლიო აპელირებს ამ ტიპის პროგრამების განხორციელებისას, მიიღებს მონაწილეობას და გადაწყვეტს, რეალურად რამდენად იქნება ამის შანს, კანონი უშვებს ამ პროგრამების განხორციელების შესაძლებლობას, თუმცა ეროვნული გამოცდები ცალსახად განაპირობებს იმას, რომ ეს იქნება მხოლოდ ფორმალური და იმ კადრს, რომელსაც ელოდებიან ვერ მიიღებენ. დაწესებულებამ მიიღო პასუხი, რომ აღნიშნულ საკითზე მუშაობს ცენტრიც და განათლების სამინისტროც, მათ გადაწყვეტილებას დაწესებულება ელოდება.

რიგ შემთხვევებში რეკომენდაციები მოსალოდნელი იყო, შეფასების პროცესს დაწესებულება უყურებს, როგორც განვითარების შესაძლებლობას, ბაზრის მოთხოვნების შეფასებასთან დაკავშირებით, რეალურად ძალიან ბევრი კვლევა ჩატარდა და დაწესებულებას მიაჩნია, რომ მოლოდინები გაკეთებულია ძალიან ინტენსიურად, რაც შეეხება გარე შეფასებას, ეს ნაწილი მუდმივად მიმდინარეობდა, უნივერსიტეტში არსებობს პროცედურა რომლის თანახმადაც გარე შეფასება შეიძლება იყოს დარგობრივი და არა დარგობრივი, როდესაც უნივერსიტეტის ფაკულტეტის წარმომადგენლები აფასებენ პროგრამას, პროგრამამ ყველა პროცედურა გაიარა, შიდა საუნივერსიტეტო თვალსაზრისით ასევე ინტენსიურად მიდის კომუნიკაცია არკანზასის უნივერსიტეტის შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელთან და ფაქტობრივად მუდმივი კომუნიკაცია მიდის, მათი მოსაზრებით ცალკე ჯგუფი შეიქმნება და დააკვირდება პროგრამის განხორციელებას. სტუდენტების გამოკითხვასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესახებ მან განაცხადა, რომ ფაქტობრივად პროგრამა ახალია და ის მოლოდინები, რაც სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს ჰქონდეთ და ამ პროგრამის პოტენციურ სტუდენტებს ჰქონდეთ სრულიად განსხვავებული იქნება ერთმანეთისაგან. ყველამ, ვინც ისწავლა XMBA-ზე კარგად იციან, რომ ეს არ არის მხოლოდდამხოლოდ ლექტორის მიერ ცოდნის გადაცემა, ეს აუცილებლად არის გაზიარება ყველა იმ შესაძლებლობის/პრაქტიკის, რომელსაც სტუდენტები მოიტანენ აუდიტორიაში, შესაბამისად მოლოდინები ვერ იქნება ერთიდაიგივე, 5.3 კომპონენტში არსებული რეკომენდაციის შესახებ მან განაცხადა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია უფრო მეორე სტანდარტის რეკომენდაციაა, კურიკულუმის რუკასთან დაკავშირებული მოლოდინებია და შესაბამისი აქცენტები, თუმცა სამიზნე ნიშნულები, რომელიც არ არსებული პროგრამის ფარგლებში იყო შესაძლებელი

დაწესებულებამ ყველაფერი გააკეთა და დაელოდებიან, თუკი განხორციელდება პროგრამა და ეყოლებათ შესაბამისი სტუდენტები, როგორ წავა სწავლების პროცესი და დაადარებენ სამიზნე ნიშნულებს.
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა, ლევან საბაურმა, განიხილა რეკომენდაციები:
პირველი რეკომენდაციის შესახებ განაცხადა, რომ, როდესაც იწერება რეკომენდაცია და საუბარია გარკვეული სახის გაუგებრობაზე/ბუნდოვანებაზე პროგრამის მიზანთან, აუცილებელია დადასტურებული იყოს არგუმენტირებულად, თუ სად ხედავენ ბუნდოვანებას, სხვა შემთხვევაში ეს არის რეკომენდაცია მხოლოდ იმიტომ, რომ გაწერილიყო რეკომენდაცია, მაშინ, როდესაც ექსპერტთა ჯგუფი თვითონ განმარტავს პროგრამის მნიშვნელობასა და პრეცედენტულობას, ეს არის ინოვაციური პროექტი და ა.შ. თუმცა სრულიად გაუგებარია რეკომენდაცია, თუ სად არის ბუნდოვანება;
მეორე რეკომენდაციის შესახებ მან აღნიშნა, რომ ვინაიდან, ერთწლიანი სამაგისტრო პროგრამა განკუთვნილია პრაქტიკული გამოცდილების მქონე მსმენელებისთვის, იგი ემსახურება მათ კარიერულ ზრდას, რაც თავისთავად მოიაზრებს გარკვეული უნარების სრულყოფას, ამასთან, ახდენს ჩვენ მიერ მიწოდებული თეორიული და მათ ხელთ არსებული პრაქტიკული ცოდნის სინთეზს;
მესამე რეკომენდაციის შესახებ მან განმარტა, რომ რადგან კურსის მსმენელები არიან უკვე დასაქმებულები, ამიტომ ბაზრის კვლევაში აქცენტი გადატანილ იქნა სტუდენტთა კარიერულ ზრდაზე. შესაბამისად, ყურადღება გავამახვილეთ იმ დასაქმებულებზე, რომელთაც არ აქვთ სამაგისტრო განათლება. მისთვის გაუგებარია, თუ რას გულისხმობს ექსპერტთა ჯგუფი ღრმა კვლევაში, რადგან დაწესებულებას აქვს სამიზნე ჯგუფი, რომელზეც გაკეთებულია კვლევა, სამიზნე ჯგუფი უკვე დასაქმებულია და ვერანაირად ვერ ექნებათ საუბარი იმაზე თუ ვინ შეიძლება დასაქმდეს და ვისთვის შეიძლება იყოს პროგრამა განკუთვნილი, ამიტომ ბაზრის ღრმა კვლევა არ არის შესაბამისი;
მეოთხე რეკომენდაციის შესახებ მან განაცხადა, რომ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელოს მიხედვით, „მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შეფასდეს იმ სასწავლო კურს(ებ)ში, რომლებშიც კურიკულუმის რუკის მიხედვით ხდება პროგრამის სწავლის შედეგ(ებ)ის განმტკიცება. შესაძლებელია ერთ სასწავლო კურსში პროგრამის რამდენიმე სწავლის შედეგი შევაფასოთ. ასევე, თუ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები ფასდება, კარგი პრაქტიკაა, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შეფასდეს სამაგისტრო და სადისერტაციო ნაშრომებში“. შესაბამისად აღნიშნულ რეკომენდაციას ვერ დავეთანხმებით, რადგანაც სწორედ სახელმძღვანელოს მიხედვითაა შერჩეული შედეგების შეფასება ძირითადი (დამამთავრებელი) სემესტრის საგნების მიხედვით, როგორც ეს სწავლის შედეგების შეფასების რუკაშია მოცემული და წარმოადგენენ განმამტკიცებელ ანუ მესამე დონის სასწავლო კურსებს;
დაწესებულება დაეთანხმა აღნიშნულ რეკომენდაციას;
დაშვების წინაპირობების შესახებ მან განაცხადა, რომ დაშვების წინაპირობებს განსაზღვრავს შესაბამისი კანონმდებლობა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, შესაბამისი ორგანოს მიერ არ არის გადაწყვეტილება მიღებული და იგი სცდება ჩვენი კომპეტენციის ფარგლებს. საკითხზე მიმდინარეობს მსჯელობა;
2.2 კომპონენტში არსებული რეკომენდაციის შესახებ მან განაცხადა, რომ პროგრამაში მოცემული სავალდებულო კურსების არსებობა ეფუძნება საუკეთესო პრაქტიკასა და საერთაშორისო გამოცდილებას. მათი შეცვლა სრულიად გარდაქმნის პროგრამის სტრუქტურას, ამიტომ ვერ დავეთანხმებით აღნიშნულ რეკომენდაციას;
2.4 კომპონენტში არსებულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ პროგრამას საერთოდ არ ყავს სტუდენტი, რომელი სტუდენტი უნდა გამოიყენონ და ვისი კმაყოფილება უნდა იკვლიონ;

Case Study-სთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე, მან განაცხადა, რომ სწავლის პროცესში პროექტებს გამოიყენებს ლექტორი თუ სხვას, არ უნდა შეზღუდონ ეს ყველაფერი და ასეთი იმპერატიული მითითება არ უნდა იყოს ამ ნაწილში;
5.2 კომპონენტში გაცემული რეკომენდაციის შესახებ მან განაცხადა, რომ პროგრამის შეფასება მოხდა უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტის სპეციალისტების მიერ, რომლებიც ამავდროულად წარმოადგენენ დარგის ექსპერტებსაც და მათი რეკომენდაციებით მოხდა ერთ-ერთი სასწავლო კურსის შეცვლაც. პროგრამისა ამოქმედების შემდეგ კი მისი უფრო გაუმჯობესების მიზნით დავგეგმავთ გარე შეფასებასაც. ამდენად, აღნიშნულ რეკომენდაციას ვიღებთ, როგორც კეთილ რჩევას და გათვალისწინებული იქნება გარკვეული პერიოდის შემდეგ;
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ირმა გრძელიძემ, განაცხადა, რომ მისი მოსაზრებით უკვე ისაუბრეს აღნიშნულ საკითხზე, შესაბამისად გადაფარულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ განაცხადა, რომ მან მოისმინა ორივე მხარის მოსაზრებები და წინაპირობებთან დაკავშირებით მისთვის გასაგებია, რომ განსხვავებული პროგრამაა და არ ამართლებს საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება, მაგრამ ვინაიდან კანონმდებლობაში არ არის სხვა ჩანაწერი, ალბათ ჯობდა, რომ სანამ ოფიციალურად გაჩნდებოდა სხვა რეგულაცია, ჩაწერილიყო. ასევე წინაპირობასთან დაკავშირებით, მას აინტერესებდა ასეთი ტიპის პროგრამებს ევალებოდათ თუ არა ინგლისური ენის კომპეტენციის დადასტურება და მოთხოვნა. მას ასევე ჰქონდა კითხვა ექსპერტთა ჯგუფთან იმ 20 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც გასცეს, განსაკუთრებულად ყურადღება მიაქცია რეკომენდაციებს, რომლებიც უკავშირდებოდა შეფასების მეთოდებს, და აღნიშნული რეკომედაციები ხომ არ გაიცა სწორედ იმიტომ, რომ პროგრამა მეტად პრაქტიკული უნარების განვითარებაზე უნდა ყოფილიყო ორიენტირებული.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, დააზუსტა, თუ ვინ შეიძლება ყოფილიყო აღნიშნული პროგრამის სტუდენტი, რა წარმოაჩინა შრომის ბაზრის ანალიზმა და პროგრამის სტრუქტურა, რა საკვანძო საკითხები იყო, რადგან ალბათ თავიდანვე მოაზრებული იყო, რომ მოვიდოდნენ ის პრაქტიკოსი HR-ები, რომლებსაც აქვთ საქმიანობის გამოცდილება და პროგრამას ხელი უნდა შეეწყო სტუდენტების უნარების გამტკიცება/განვითარებაში. პროგრამის შინაარსის სასწავლო კურსების გაცნობისას დააკლდა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, რაც HR-ს აუცილებლად დასჭირდება, მაგ., ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებული რისკების მართვა და სხვა, რატომ არ არის ცალკე შერჩევა. აქცენტი სხვა საკითხებზეა გადატანილი და ვერანაირად ეცოდინება კადრების შერჩევა.
საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა, განაცადა, რომ პროგრამა ნამდვილად ინოვაციურია, მის გუნდს ნაფიქრი ჰქონდა ანალოგიური პროგრამის შექმნა/განხორციელება, თუმცა თავი შეიკავეს, რადგან საკანონმდებლო ბაზა არ არის მზად ასეთი ტიპის პროგრამებისთვის, მიღების წინაპირობების ნაწილი ვერ მოერგო მსგავსი ტიპის პროგრამებს, ამასთანავე მიმდინარეობს მუშაობა, მისი მოსაზრებით საკვალიფიკაციო ჩარჩოც არ არის მზად, მაგ., 0413 მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კოდი, სადაც არის ჩანაწერი, რომ შეისწავლის ორგანიზაციებისა და ინსტიტუციების საქმიანობისა და ფუნქციონირების დაგეგმვის, მუშაობისა და ოპერირების საკითხებს, დაინტერესდა თუ რამდენად სრულად იფარება აღნიშნული საკითხი, თვალში მოხვდა ზოგიერთ კომპონენტი რომელიც გადის, თუმცა მაინც დააკლდა, ადამიანური რესურსების მართვის მაგისტრი, თუმცა მინისტრის ბრძანების თანახმად კვალიფიკაცია უნდა იყოს EMBA, მისთვის ბუნდოვანია ეს ნაწილი და სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს ესაუბრათ ამ საკითხზე, ასევე მითითება არის, რომ სადოქტორო საფეხურზე არ გრძელდება სწავლა, რადგან იმ პირებისთვის ვისაც სთავაზობენ ნათელი უნდა იყოს, ასევე, პროგრამა ვერ ჯდება მეშვიდე დონის მოთხოვნებში, რომელ დონეს მიუსადაგეს. რეალურად ამ ტიპის

პროგრამები მოიაზრება მაღალი რგოლის მენეჯერებისთვის, თავისი გამოცდილებით და სხვა. თუმცა საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით პროგრამა ნაწილდება უფრო ხანგრძლივ პერიოდზე, რადგან ეს ხალხი არის დაკავებული და ეს ხალხი არ უნდა მოსწყდეს სამუშაოს, არის თუ არ მიცემული შესაძლებლობა გადაანაწილოს რამდენიმე კურსზე.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ წინაპირობების ნაწილში, ვინაიდან კანონში თავიდანვე იყო გაწერილი, რატომ არ გაწერა დაწესებულებამ, მათ გაიარეს კონსულტაციები ცენტრთან და სამინისტროსთან და აღნიშნული ჩანაწერები იძლევა ბევრი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას, როდესაც შეიტანეს განაცხადი პროგრამასთან დაკავშირებით დაიწყო კიდევ უფრო ინტენსიური მსჯელობა მიღების წინაპირობებთან დაკავშირებით და შესაბამისად როდესაც ჯგუფი შემდგარი იყო ერთგვარ ინტერპრეტაციებამდე მივიდნენ ხარისხის განვითარების ცენტრი და სამინისტრო, რომ ეროვნული გამოცდები სავალდებულოდ განისაზღვრა. შესაბამისად, თუ პროგრამა გამოცხადდება მიღების წინაპირობად განსაზღვრული იქნება ეროვნული გამოცდები და მიღების წინაპირობაში გაჩნდება ჩანაწერი. ჩარჩოში იყო მითითება ერთობლივი პროგრამების განხორციელების შესახებ, რომელიც სავალდებულო იყო 3 წლიან პროგრამებთან დაკავშირებით, ამიტომ არ უფიქრიათ რომ ერთობლივი უნდა ყოფილიყო, თუმცა აქტიურად მიდის მოლაპარაკება არკანზასის უნივერსიტეტთან, რომელიც აშშ-ში არის ტოპ ათეულში, და ამ მიმართულებით თანამშრომლობებს გააგრძელებენ რადგან პროგრამას სჭირდება და არა იმიტომ, რომ ჩანაწერის ნაწილია. რაც შეეხება ფასს, სახელმწიფო უნივერსიტეტებს, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში აქვთ ფასის შეცვლის უფლება სამაგისტროს საფეხურზე, თსუ-ს აქვს მხოლოდ ორი პროგრამა სამაგისტრო საფეხურზე, რომლებზეც გამოითხოვეს ნებართვა, ყველა იწყებოდა ასე, მინიმალური ზღვარით, რომელიც დაწესებული აქვს სახელმწიფო უნივერსიტეტს და სხვა შესაძლებლობა წინასწარ მოითხოვონ ფასის გაზრდა არ გააჩნიათ, როგორც კი მორჩება ერთი ციკლი დააკვირდებიან, ფაკულტეტი იღებს განსაზღვრულ ვალდებულებას და მიიღებს ფასის გაზრდის გადაწყვეტილებას. საერთაშორისო გამოცდილებით ეს არის თითქმის ორმაგი თანხა. კანონი ამბობს, რომ არ შეუძლიათ სადოქტორო პროგრამაზე სწავლის გაგრძელება, თუმცა დაწესებულებამ არ მიიჩნია სავალდებულოდ ამ ჩანაწერის გაკეთებისა, თუმცა როცა გამოცხადდება, გაკეთდება იქნება მითითებული, სამინისტროსთვის მიწერილ წერილში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აქცენტი იყო, რომ თუ ამ პროგრამის კურსდამთავრებულს არ შეუძლია დოქტორანტურაში გაგრძელება, თუ ელოდებიან, რომ მიიღებენ 5 წლიანი გამოცდილების მქონე ტოპ მენეჯერებს რა პლიუსი ექნებათ მათ, ამ შემთხვევაშიც ყველამ ერთად უნდა იმსჯელოს კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესახებ, რადგან ეს ცალსახად არის მეშვიდე დონის პროგრამა, დრო არის ერთი წელი და თუ ამის საჭიროება იქნება კანონმდებლობა არ კრძალავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების არსებობას.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ნატალია ხარაძემ, განაცხადა, რომ პროგრამა არის მზად რომ ნებისმიერი მასალა მოამზადოს და მიაწოდოს მსმენელებს, არ აქვს მნიშვნელობა რომელი რგოლის მენეჯერები იქნებიან, მათ არ ექნებათ დრო იმისა, რომ მოიძიონ ლიტერატურა და თვითონ დაამუშაონ. ინგლისურ ენასთან დაკავშირებით მან განმარტა, რომ მათი მსმენელები მიუხედავად ბევრი ლიტერატურისა ფოკუსირებულნი იქნებიან იმ მასალაზე, რომელსაც აწოდებენ მათ, ამიტომ მათთან უფრო რთული იქნება დამატებითი მასალის დამუშავება, შესაბამისად მიზანშეწონილად მიაჩნიათ რომ დაწესებულებისგან იყოს უზრუნველყოფილი. სასწავლო კურსებთან დაკავშირებით, მან განაცხადა, რომ მნიშვნელოვანია თუ ვინ იქნებიან მსმენელები, იქნება ეს კერძო სექტორი თუ სახელმწიფო სექტორი, რადგან იმ გასაუბრებებიდან, გარდა იმისა, რომ ჩაატარეს კვლევები, სახელმწიფო სექტორში გაცილებით რთულია, რადგან მას არ გააჩნია კარიერის მართვის სრულყოფილი სისტემა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს შეახსენა რამდენიმე სასწავლო კურსის სტატუსთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, განმარტა, რომ მისთვის საინტერესო იყო, რადგან დაწესებულებამ ჩაატარა შრომის ბაზრის კვლევა და იცის ვისთვის ააწყო აღნიშნული პროგრამა. დაინტერესდა თუ რამდენად ხარისხიანი ტოპ მენეჯერების გამოშვებას შეძლებს დაწესებულება პროგრამის სადაც არ არის გლობალური განვითარების შესახებ ინფორმაცია, სად სწავლობენ რეკრუიტს, სად სწავლობენ შერჩევას.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ არის გარკვეული საკითხები პირველი სემესტრის ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიაში, სადაც იწყება ადამიანური რესურსის შერჩევა საპენსიო ასაკის ბოლომდე, საჯარო სექტორს ამის არც პრაქტიკა აქვს და ფიქრობდნენ, რომ მათი მსმენელები მიიტანდნენ ორგანიზაციამდე, თუ როგორ ხდება კადრების შერჩევა ჯანსაღად, ეს იყო საჯარო სექტორის ადამიანური რესურსების მართვის წარმომადგენელი და სწორედ მისგან დადგინდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჩამოყალიბებული არის ბიურო, რომელიც უნდა ამზადებდეს კადრებს, კრიტერიუმებიც კი არ აქვს განსაზღვრული, ბუნდოვანია თუ რა კრიტერიუმებით ხდება ერთი სამუშაო ადგილიდან მეორეზე გადანაცვლება.
საბჭოს თავმჯდომარემ დასძინა, რომ საჯარო ბიურო, როგორც სსიპ-ი არ არის ვალდებული გადაამზადოს კადრები, მას თავისი ფუნქციები აქვს, თუკი საუბარია როტაციაზე, ერთი სისტემიდან მეორეში, ამასაც თავისი წესები აქვს, ისევე როგორც კანონი საჯარო სამსახურების შესახებ.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საუბარი არ იყო დებულებაზე, საუბარი იყო პრაქტიკაზე.
საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ პრაქტიკაში ვერ იქნება კანონსაწინააღმდეგო, არსებობს მექანიზმი, რომლის მიხედვითაც ხდება.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კანონში არც ნეპოტიზმი წერია, მაგრამ როდესაც ჩაატარეს კვლევა, ძალიან მაღალი პროცენტი დაფიქსირდა ნეპოტიზმის, ის რომ კანონში არ წერია, არ ნიშნავს რომ არ ხდება. ტალანტების მართვა იძლევა საშუალებას რომ მოხდეს რისკების შეფასება, როგორც სამსახურში მიღებამდე, ასევე საპენსიო ასაკშიც. მას არ მიაჩნია სწორად პროგრამაზე მიღების წინაპირობად იმის გაწერა, რომ აუცილებლად მაღალი ან საშუალო რგოლის მენეჯერი მივიდეს.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ეკა გეგეშიძემ, განაცხადა, რომ ყველაზე მეტი შენიშვნა გაცემული იყო სწავლებისა და შეფასების მეთოდებთან დაკავშირებით, რადგან გაითვალისწინეს ასეთი სახის პროგრამაზე სწავლება და სილაბუსების ანალიზი, ამიტომ თვლიან რომ სასწავლო მეთოდები, რომლებიც გამოყენებულია ძირითადად არ არის დომინანტი ასეთი სახის პროგრამებზე, უნდა იყოს სწავლების ტიპი, როდესაც მსმენელებს თვითონ მოაქვთ შემუშავებული ქეისები, ანუ გადაწყვეტილებას იღებენ ადგილზე. ასევე ამ მეთოდების კვლევით პროექტს, სადაც სამიზნე ნიშნულებია გაკეთებული, სწორედ უნდა იყოს მითითებული და არა საპრეზენტაციო თემები, რომლებიც ფასდება 10-15%-ით. ასევე აქვთ დამატებითი საგანი Performance Management, ზემოაღნიშნული საკითხები მეტწილად იფარება. ბევრი ფსიქოლოგი პორტირდება HR-ში და აკეთებს თავის კონსულტაციებს. თუ პოტენციური 200 სტუდენტი გამოკითხულია საკმარისია, მაგრამ როდესაც საუბარია პრეცედენტულ კვლევაზე, ყველა დაინტერესებული მხარის უფრო სიღრმისეული კვლევაა საჭირო. ექსპერტთა ჯგუფს არ უწერია, რომ მიზანი ცუდია, მათ უწერიათ, საუბარი იყო, რომ სხვა სახით უნდა ჩამოყალიბებულიყო.
ექსპერტმა, ილია ბოცვაძემ, მადლობა გადაიხადა რადგან მიეცა ასეთ პრეცედენტულ პროგრამაზე მუშაობის საშუალება, აკრედიტაციის სტანდარტები ხელს არ უწყობდათ, ამიტომ ჩაატარეს მაქსიმალურად ბევრი შეხვედრები, რადგან დაედგინათ ქართულ ბაზართან თანხვედრა, აღნიშნული პროგრამის ყველაზე დიდი გამოწვევა არის დაშვების წინაპირობა, რადგან მას სურს შექმნას ახალი კლასტერი EMBA პროგრამების, ეს იქნება წინგადადგმული ნაბიჯი განათლების სისტემის და არა ისეთი პროგრამის, რომელიც 2 წელიწადში მიიღებს მაგისტრის დიპლომს, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია დაშვების წინაპირობის სწორად

განსაზღვრა. გასაუბრების დროს იყო 2 პერსპექტიული მეოთხეკურსელი სტუდენტი, რომლებთან გასაუბრების დროსაც გამოირკვა რომ ჩააბარებენ აღნიშნულ პროგრამაზე, რადგან არ ექნებათ ეროვნული გამოცდები ჩასაბარებელი და ერთ წელში დაამთავრებენ სამაგისტრო ნაშრომის დაწერის გარეშე. სწორედ ამ კატეგორიის ხალხი უნდა მოიზიდოს დაწესებულებამ.
მეხუთე სტანდარტთან მიმართებით, მისი მოსაზრებით, დაწესებულებამ არასწორი ინფორმაცია მიაწოდა საბჭოს, ჩატარდა სიმულაციური გარე შეფასება, რასაც უნივერსიტეტი ამბობდა, მაგრამ აქ მთავარი იყო, რომ შეეფასებინა EMBA პროგრამის გამოცდილების მქონე ადამიანს, მათ რომ მსგავსი პასუხი გაეცათ რეკომენდაციაზე და არა ის შაბლონური პასუხი მისაღები იქნებოდა. პროცესი უკვე დაწყებულია. 5.3 კომპონენტთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ სწავლის შედეგების დოკუმენტში არის ხარვეზი და სწორად ვერ მოხდება სწავლის შედეგების შეფასება, როდესაც საუბარია ერთ-ერთი აქტივობით შეფასებაზე, ეს აქტივობა არ არის გაწერილი რომ სავალდებულოა, წილი ამ შეფასებაში არის 10-15 ქულა, რეპრეზენტაბელურობა არ არის მაღალი, სწავლის შედეგს სწორად ვერ შეაფასებენ. უნდა განისაზღვროს სავალდებულოდ და მოიმატოს წონამ, სხვა შემთხვევაში აზრი არ აქვს. 3 საგანია გამოყენებული 3 შედეგის შეფასებაში, ეს არის „ორგანიზაციული ქცევა ბუნებრივ გარემოში“, „SPSS“, „ტალანტების მართვა“, თუ გადახედავენ კურიკულუმის რუკას ნახავენ, რომ პირველიდან მეშვიდე შედეგამდე ეს საგნები გამტკიცების დონემდე არ აფასებს. ამიტომაც იყო რეკომენდაცია, რომ ან ყველა საგანი გამოეყენებინათ ან დაემატებინათ საგნები და დაეფარათ ყველა შედეგი.
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა, ლევან საბაურმა 5.2 კომპონენტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ რასაც აღნიშნავენ ეს არ არის 5.2 კომპონენტის მოთხოვნა, ეს არის 1.2 კომპონენტის მოთხოვნა და ასევე დაწესებულებამ გააგზავნა ამონარიდი გზამკვლევიდან თუ როგორ უნდა მოხდეს 1.2 კომპონენტის შეფასება, რომ უნდა იყოს განამამტკიცებელი და სხვა. ამიტომ არის მათი მხრიდან დაჟინებით მითითება, რომ ეს ეხება 1.2 კომპონენტს.
პროგრამის ხელმძღვანელმა, ნატალია ხარაძემ განაცხადა, რომ გადაგზავნილი იყო დამატებითი რუკა სადაც ეწერა, რომ არა ნაკლებ კონკრეტული ქულისა უნდა ჰქონოდა სტუდენტს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 20:48
დასრულების დრო: 22:25

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის “ადამიანური რესურსების მართვის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოების ვადა გადავადდეს 2022 წლის 10 თებერვლამდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის “ადამიანური რესურსების მართვის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოების ვადა გადავადდეს 2022 წლის 10 თებერვლამდე, ვინაიდან ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო არ იძლევა საშუალებას, რომ დაზუსტდეს EMBA კვალიფიკაცია. მოცემულ პროგრამასთან დაკავშირებით ამ ეტაპზე სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა დააინიცირა გარკვეული ცვლილებები, ამიტომ საბჭომ პროგრამის სრულფასოვნად განხილვის მიზნით მიზანშეწონილად მიიჩნია პროგრამის გადავადება.

5. მეხუთე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკონომიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	17.10.2011 გადაწყვეტილება №119
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ეკონომიკის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ეკონომიკა 0311
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	თამარ მეფის ქუჩა, №59, ქუთაისი, სასწავლო კორპუსი №1; 4600, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; მესამე და მეხუთე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ეკა ლეკაშვილმა, განაცხადა, რომ გაცემულია 11 რეკომენდაცია. რომელთა ნაწილს დაწესებულება დაეთანხმა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:
1. გადამუშავდეს ეკონომიკის დამატებითი (Minor) პროგრამა მიზნების, შედეგებისა და, შესაბამისად, ყველა შემადგენელი კომპონენტის გათვალისწინებით.
2. გადამუშავებას საჭიროებს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგებიდან რიგით მე-2 და მე-6 შედეგი. კერძოდ, (2) ითვალისწინებს ეკონომიკის თანამედროვე კონცეფციებს, თეორიებს და პრინციპებს პრაქტიკაში და (6) ქმნის ეკონომიკის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით, წინასწარ განსაზღვრული მითითებებით, კვლევითი ხასიათის ნაშრომს, ეთიკური ნორმების დაცვით. ამ მიზნით რეკომენდებულია საბაკალავრო ნაშრომის სასწავლო კომპონენტის სტატუსის ცვლილება - არჩევითიდან სავალდებულო სახით;
3. მიზანშეწონილია, გადამუშავდეს პროგრამის სტრუქტურა, თანმიმდევრულობისა და ლოგიკურობის პრინციპის გათვალისწინებით. ასევე, წინაპირობების ცვლილებით გაფართოვდეს სტუდენტთა დაშვება „საბაკალავრო ნაშრომზე“ და მასში აისახოს აკადემიური წერისა და საბაზისო კვლევითი უნარების ცოდნის მიზანშეწონილობა;
4. რეკომენდებულია, სასწავლო კურსის „სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები“ დასახელება დაზუსტდეს და სილაბუსის შინაარსი შეივსოს რელევანტური თემატიკით ისე, რომ ეკონომიკასთან მჭიდრო კავშირი ჩანდეს;
5. გადამუშავდეს მსოფლიო ეკონომიკის სასწავლო კურსის შინაარსი, ან შეიცვალოს სასწავლო კურსის სახელწოდება;
6. საინფორმაციო ტექნოლოგიური ცოდნისა და უნარების გაძლიერების მიზნით ეკონომეტრიკისა და სტატისტიკის მიმართულებით, პრაქტიკული ნაწილის სწავლებისას გამოყენებული იყოს ისეთი პროგრამები, როგორებიცაა: SPSS, STATA ან სხვა;
7. რეკომენდებულია, ციფრული ეკონომიკის მიმართულებით გადაიხედოს პროგრამის სტრუქტურა, ან სასწავლო კურსების თემატიკა;
8. უსდ-მ უზრუნველყოს საწარმოო პრაქტიკის ორგანიზებულად განხორციელება და დამსაქმებლებთან გაფორმებულ მემორანდუმებში აისახოს სტუდენტების რაოდენობა და სტაჟირების ხანგრძლივობას;
9. უნივერსიტეტმა უფრო მეტად იზრუნოს აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე;
10. აუცილებელია პროგრამის საკვანძო საკითხების ირგვლივ ინფორმირებულობის ხარისხის გაზრდა და პროგრამის ხელმძღვანელის უფლებამოსილებების უფრო ქმედითად გამოყენება;
11. რეკომენდებულია შიდა ხარისხის მექანიზმების შესრულებაზე, ასევე, მონიტორინგის პროცედურის (გამოკითხვები, ანკეტებიდან გამომდინარე შედეგები, მათი ანალიზი და სხვა) აქტიურ პრაქტიკაში ეფექტიანად გამოყენებასა და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოსწორებაზე აქცენტების გაკეთება.
ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა ინფორმაცია დაწესებულების პოზიციის შესახებ, გარკვეული თვალსაზრისები გათვალისწინებულ იქნა, კერძოდ 1.2 და 2.4 კომპონენტში არსებული რეკომენდაცია, 5.1 კომპონენტში რეკომენდაცია იყო ტექნიკური ხარვეზი, დოკუმენტი

არასწორად იყო წარდგენილი, შესაბამისად დაწესებულებამ მოხსნა აღნიშნული რეკომენდაცია. რაც შეეხება 1.1 კომპონენტში გაცემულ რეკომენდაციას, ნაწილობრივ იქნა გათვალისწინებული. 2.2 კომპონენტში არსებული რეკომენდაციის თანახმად არ არის სრულად წარმოდგენილი წინაპირობები, ასევე 2.3 კომპონენტში იმ მიმართულებით არ იქნა გათვალისწინებული, საგანი გადატანილ იქნა არჩევით ნაწილში, ექსპერტთა ჯგუფი კი შინაარსობრივ ცვლილებას ითხოვდა. 4.1 კომპონენტში კი დაწესებულებამ გამოთქვა მზაობა ლექტორთა გადამზადების კუთხით. 5.3 კომპონენტში სამომავლოდ იქნება აღნიშნული გათვალისწინებული, რაც შეეხება ციფრული ეკონომიკისა და პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების საკითხებს უკუკავშირი არ მიუღიათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, თეა კორძაძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს პროგრამის საფუძვლიანი შესწავლისათვის, მან განმარტა, რომ დაწესებულება იზიარებს რეკომენდაციებს, დაწესებულებამ წარმოადგინა ნაწილობრივი პასუხი, რადგან რამდენიმე დღეში საკამოდ რთულია პროგრამის თავიდან გადამუშავება, რეკომენდაციების ნაწილზე არ იყო პასუხი გაცემული, რადგან დაწესებულების წარმომადგენლები განიხილავდნენ აღნიშნულ რეკომენდაციებს, რომელთაც ითვალისწინებენ და დაისახა გეგმები. ციფრული ეკონომიკისა და პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების საკითხებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ უკვე დაიგეგმა მათი გაძლიერება, თუმცა ციფრული ეკონომიკასთან მიმართებით დეპარტამენტი შეიმუშავებს სასწავლო კურსს და მომავალი სემესტრიდან იქნება ასახული პროგრამაში. აკადემიური პერსონალის გადამზადებასთან დაკავშირებით, მან განაცხადა, რომ როგორც საბაკალავრო, ასევე სამაგისტრო პროგრამას ყავს ახალბედა ხელმძღვანელი, მათ არაერთი ტრენინგი ჩაუტარა, როგორც ფაკულტეტის ასევე უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, რაც უწყვეტი პროცესია და ერთი წელი არ არის საკმარისი, იმისათვის, რომ ასეთი ტრადიციების მქონე პროგრამის ხელმძღვანელობა ითავონ. თვითონაც ბევრს მუშაობენ საკუთარ თავზე.

„ეკონომიკის“ საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელმა, ზვიად ბეშკენაძემ, განიხილა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები:

1.1 კომპონენტთან მიმართებაში აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინებით დაკორექტირდა და დაკონკრეტდა ეკონომიკის MINOR-პროგრამის მიზნები და შედეგები;

1.2 კომპონენტთან მიმართებაში აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინებით დაკორექტირდა და დაკონკრეტდა პროგრამის სწავლის შედეგები. არჩევით სასწავლო კურსს „საბაკალავრო ნაშრომი“, შეეცვალა სტატუსი და გახდა ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსი. სასწავლო კურსს „საბაკალავრო ნაშრომი“ წინაპირობად განესაზღვრა I-VII სემესტრებში არსებული ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები და აკადემიური წერა;

2.3 კომპონენტთან მიმართებაში სასწავლო კურსი „სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები“ გადატანილ იქნა ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსებში, ხოლო მის ნაცვლად თავისუფალი სავალდებულო კომპონენტში ჩასმული იქნა სასწავლო კურსი „ინფორმაციული ტექნოლოგიები“, რომელიც მომავალში სტუდენტებს დაეხმარება ეკონომიკური სტატისტიკის 1 და 2, ეკონომეტრიკის და ეკონომიკური ანალიზის სასწავლო კურსებში გამოყენებული თანამედროვე კომპიუტერული პროგრამების სრულყოფილად გამოყენებაში;

სტატისტიკის მიმართულების სასწავლო კურსების პრაქტიკული ნაწილით სწავლება გაძლიერდა SPSS-ით, რაც აისახა აღნიშნული სასწავლო კურსების სილაბუსებზე, ასევე დაწყებულია მუშაობა ციფრული ეკონომიკის სასწავლო კურსის შესახებ, მისი დასრულებისთანავე შევა სასწავლო გეგმაში და ცვლილებები განხორციელდება პროგრამაში;

2.4. კომპონენტთან მიმართებაში პრაქტიკის ორგანიზებულად განხორციელების მიზნით პროგრამის და დეპარტამენტის ხელმძღვანელები ახდენენ შეხვედრებს პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან პრაქტიკის კომპონენტის მაღალორგანიზებულ დონეზე ჩატარების მიზნით. რამოდენიმე გაფორმებულ მემორანდუმში განსაზღვრულია სტუდენტების რაოდენობა, მომავალში დამსაქმებლებთან გაფორმებულ მემორანდუმებში აისახება სტუდენტების რაოდენობა, რომელთა მიღებაც შეუძლია კონკრეტულ ორგანიზაციას, და სტაჟირების ხანგრძლივობა. არსებულ მემორანდუმებთან დაკავშირებით მიმდინარეობს მოლაპარაკება შესაბამის ორგანიზაციებთან ამ კუთხით მისი კორექტირების მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ, განაცხადა, რომ როგორც ცნობილია ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა შემჩნეული და სწორედ ამას გულისხმობდნენ, რომ ძირითად და დამატებით სასწავლო კურსებში მიზნები არის ერთი და იგივე.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ეკა ლეკაშვილმა განმარტა, რომ ჰქონდათ აღნიშნული შენიშვნა, მათ გაწირეს minor პროგრამა და ურჩიეს, რომ გადაემუშავებინათ აღნიშნული მიმართულებით.
საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ, სწავლის გაგრძელებაზე ინფორმაცია ვერც სწავლის შედეგებში და ვერც მიზნებში ნახა, დაინტერესდა მას გამორჩა თუ არ იყო.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ პროგრამაში არ არის ჩანაწერი, თუმცა მსჯელობიდან და ინტერვიუებიდან ნახეს, რომ ბევრი ბაკალავრიატ დამთავრებული მაგისტრატურაში აგრძელებს სწავლას თუმცა ასახვის თვალსაზრისით მკაფიოდ ასახული არ არის. დასაქმების სფეროები არის ჩამოთვლილი.
ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, ნანა შონიამ მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციებისა და რჩევებისთვის, ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა აღნიშნულ უნივერსიტეტში 1978 წლიდან ხორციელდება, თავიდან იყო თსუ-ის ფილიალი, შემდეგ უკვე 1992 წლიდან იყო წერეთლის უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამა და 2011 წლიდან მიიღო აკრედიტაცია, ყოველწლიურად იღებენ 100 სტუდენტს, პროგრამა რეგიონს უწყობს ხელს იმ მიმართულებით, რომ ხდება აღნიშნული 100 სტუდენტის რეგიონზე მიმაგრება ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ამ რეგიონისთვის.

6. მეექვსე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკონომიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	26.07.2012 გადაწყვეტილება №249
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ეკონომიკის მაგისტრი
10		-

	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ეკონომიკა 0311
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	თამარ მეფის ქუჩა, №59, ქუთაისი, სასწავლო კორპუსი №1; 4600, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: პირველი, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; მეორე სტანდარტი კი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ეკა ლეკაშვილმა, განაცხადა, რომ გაცემულია 11 რეკომენდაცია. რომელთა ნაწილს დაწესებულება დაეთანხმა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:
1. გადაიხედოს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის რიგით მე-5 („დაასახელოს ეკონომიკური პრობლემების იდენტიფიცირების, შეფასების და გადაწყვეტის ეფექტიანი გზები“) და მე-9 შედეგი („მუდმივად გაიღრმავოს ცოდნა, მოახდინოს მისი ტრანსფორმირება პრაქტიკაში და, საჭიროების შემთხვევაში, გადასცეს სხვას“), ხოლო რიგით მე-7 შედეგი „ეკონომიკური ანალიზის პროცესში აკადემიური კეთილსინდისიერების და პროფესიული ეთიკის დაცვის“ შესახებ გადავიდეს „პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის“ ნაწილში;
2. მიზანშეწონილია, რამდენიმე სასწავლო კურსს, როგორიცაა ,,ეკონომიკური პოლიტიკა 2“, ,,ეკონომეტრიკა“, ,,მაკროეკონომიკა (მაღალი დონე)“ განესაზღვროს წინაპირობები;

3. რეკომენდებულია, სასწავლო კურსების „სამეცნიერო წერა“ და „კვლევის მეთოდოლოგია ეკონომიკაში“ ურთიერთგადაფარვის პრობლემა აღმოიფხვრას;
4. რეკომენდებულია პროგრამული უზრუნველყოფის სწავლება, როგორებიცაა SPSS, Stata, Eviews, R და სხვა;
5. რიგ სილაბუსებში (ეკონომიკური პოლიტიკა 1, ეკონომიკური პოლიტიკა 2, სოციოლოგიური კვლევები და ა.შ) აისახოს უახლესი ადგილობრივი და უცხოური ლიტერატურა;
6. საჭიროა, ციფრული ცოდნის თვალსაზრისით სტუდენტებს შესთავაზონ თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ინოვაციები და პროგრამული უზრუნველყოფის სწავლება;
7. უსდ-მ უზრუნველყოს საწარმოო პრაქტიკის ორგანიზებულად განხორციელება;
8. უსდ-მ უზრუნველყოს, რომ დამსაქმებლებთან გაფორმებული მემორანდუმები ითვალისწინებდეს სტუდენტების რაოდენობასა და სტაჟირების ხანგრძლივობას;
9. მიზანშეწონილია, შეფასების ინსტრუმენტები ნათლად გაიმიჯნოს სწავლება-სწავლის მეთოდებისგან, ხოლო რამდენიმე საგნის სილაბუსში სწავლება-სწავლის მეთოდები გამრავალფეროვნდეს ანალიტიკური უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებული მეთოდებით.რეკომენდებულია, რომ კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად გასწორდეს სამაგისტრო ნაშრომის შემოწმებასთან დაკავშირებული ჩანაწერები, ასევე, დაიხვეწოს მისი შეფასების მექანიზმები და კრიტერიუმები;
10. ეფექტიანი გახდეს პროგრამის ხელმძღვანელის უფლებამოსილებების განხორციელება - როგორც აღმოჩნდა ახალბედა ხელმძღვანელები არიან და მიმდინარეობს მუშაობა აღნიშნულ საკითხზე;
11. რეკომენდებულია, ყურადღება მიექცეს მონიტორინგის ღონისძიებების პრაქტიკაში ეფექტიანად გამოყენებასა და არსებული ნაკლოვანებების, მათ შორის სამაგისტრო კვლევების ფარგლებში ხარისხის შეფასებას, სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესისა და სილაბუსის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას, სამაგისტრო ნაშრომის შეფასების მექანიზმების დახვეწას.

დაწესებულებამ გაითვალისწინა 1.2; 2.2; 2.3, 2.4; 2.5 და 2.6 კომპონენტში ასახული რეკომენდაციები, 5.1 რეკომენდაცია, როგორც აღინიშნა იყო ტექნიკური ხარვეზი და შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფმა მოხსნა. არ იყო წარმოდგენილი პროგრამული უზრუნველყოფის საკითხები სწავლებასთან დაკავშირებით და პროგრამის ხელმძღვანელთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, თეა კორძაძემ, განაცხადა, რომ დაწესებულება ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს, რაც პასუხებშიც იყო ასახული.

„ეკონომიკის“ სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელმა, ხათუნა თოდუამ, განიხილა რეკომენდაციები:

1.2 კომპონენტთან მიმართებაში დაკორექტირდა და დაკონკრეტდა ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის სწავლის მე-5 და მე-9 შედეგები, ხოლო მე-7 შედეგი გადავიდა პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ნაწილში.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ საბჭო უფლებამოსილია გაითვალისწინოს მხოლოდ ის ფაქტობრივი გარემოება, რომელიც დასკვნის წარმოდგენის პროცესში იყო, დასკვნის შემდეგ გამოსწორებული ხარვეზებს/რეკომენდაციებს საბჭო მხედველობაში არ იღებს.

„ეკონომიკის“ სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელმა, ხათუნა თოდუამ, აღნიშნა, რომ დაწესებულება ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილ ყველა რეკომენაციას.

2.2 კომპონენტთან მიმართებაში სასწავლო კურსს ,,ეკონომიკური პოლიტიკა 2" წინაპირობად განესაზღვრა ,,ეკონომიკური პოლიტიკა 1", სასწავლო კურსს ,,მაკროეკონომიკა" და „თამაშთა თეორია“ - ,,ეკონომიკური პოლიტიკა 2";

2.3 კომპონენტთან მიმართებაში ავტორების მიერ გასწორდა სასწავლო კურსების „სამეცნიერო წერა“ და „კვლევის მეთოდოლოგია ეკონომიკაში“ სილაბუსები, აღმოიფხვრა არსებული ურთიერთგადაფარვის პრობლემა;
საბჭოს თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ საბჭო უფლებამოსილია გაითვალისწინოს მხოლოდ ის ფაქტობრივი გარემოება, რომელიც დასკვნის წარმოდგენის პროცესში იყო, დასკვნის შემდეგ გამოსწორებული ხარვეზებს/რეკომენდაციებს საბჭო მხედველობაში არ იღებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა, განაცხადა, რომ სამაგისტრო ნაშრომების გაფორმებასთან დაკავშირებით მითითებულ ლიტერატურაში, რაც ნახეს ძირითადად მითითებულია ან წიგნები, ან ვებ რესურსები, რომელთა მითითებაც ხდება ზოგადი დომენის სახით, ასეთი ტიპის რეფერენსი არაფრის მთქმელი არ არის, ეს დაახლოებით ისეთივეა წიგნის მაგივრად, რომ ბიბლიოთეკა მიუთითონ. დაინტერესდა თუ არსებობს რაიმე სამსახური, რომელიც ასეთ, ტექნიკურ საკითხებს ამოწმებს მაგალითად სტატიის დაბეჭდვისას თუ ლიტერატურა სწორად არ არის დამოწმებული განსახილველადაც კი არ იღებენ.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამებში ჩასმული აქვთ აკადემიური წერა/სამეცნიერო წერის საფუძვლები, ამ კონკრეტულ პროგრამაშიც ისწავლება აღნიშნული კურსი და წინასწარ ეცნობიან სტუდენტები, თუ როგორ უნდა მოხდეს ნაშრომის გაფორმება, 2021 წლის ივლისში დაამტკიცეს სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების წესი და ამიტომ უკვე მკაცრად ითხოვენ, ასევე ატარებენ ტრენინგებს, რადგან დაწესებულებას ასევე შემოღებული აქვს თავისი სტილი, მაგრამ რადგან სამაგისტრო ნაშრომი მანამდე იყო დაცული ალბათ ძველი იყო.
საბჭოს წევრის, ელიზბარ ელიზბარაშვილის განცხადებით, წესების მიღება პრობლემას ამარტივებს, მაგრამ არ აგვარებს, რადგან ვინმეს მაინც შეიძლება დაეზაროს მისი დაცვა, ამიტომ აუცილებელია მათი გადამოწმების მექანიზმი არსებობდეს.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ ეს შედის სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის ფუნქცია/მოვალეობებში შედის.
ექსპერტმა, მიხეილ ბიჭიამ, განაცხადა, რომ მისასალმებელია რეკომენდაციების ჯანსაღად/კონსტრუქციულად მიღება უნივერსიტეტის მხრიდან, კარგი იქნება თუ შეიქმნება ჯგუფი, რომელიც იმუშავებს ტექნიკურ საკითხზე, მაგრამ რამდენად გამართლებული იქნება ტექნიკური საკითხის გამო დასაწყისში დაიბლოკოს შინაარსობრივად გამართული ნაშრომი. ამავე დროს, შეფასების კრიტერიუმებში დაწესებულებას გაწერილი აქვს ტექნიკურ ნაწილში, რაც ნიშნავს, რომ ამის გამო ქულებიც დააკლდებათ.
საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა, დასძინა, რომ ლიტერატურის ციტირების დარღვევა არ არის ტექნიკური ხარვეზი, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ხარვეზი.
ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა განაცხადა, რომ სამაგისტრო ნაშრომის განხილვა თავდაპირველად ხდება დეპარტამენტში, როდესაც დაასრულებს მაგისტრანტი მუშაობას, დასრულებამდე ხელმძღვანელი უწევს რეკომენდაციებს, შემდეგ კი დეპარტამენტი ქმნის კომისიას, რომელიც ტექნიკურად ამოწმებს ნაშრომს.
საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ, განაცხადა, რომ სამაგისტრო ნაშრომებთან დაკავშირებით რეკომენდაცია არ არის გაწერილი, რაც ნიშნავს რომ სრულყოფილია, მაგრამ სამაგისტრო პროგრამის განხილვისას ექსპერტთა ჯგუფს ყოველთვის ეკითხებიან სამაგისტრო ნაშრომის შინაარსობრივი მხარის შესახებ.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ერთ-ერთ რეკომენდაციაში იგულისხმეს შესრულების წესიც, მაგრამ შინაარსობრივი თვალსაზრისით ნორმალური/გამართული სამაგისტრო ნაშრომები იყო და აკმაყოფილებდა მოთხოვნებს.
საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ, განაცხადა, რომ ბაკალავრიატში გამოყენებულია აქტიური ზმნები სამაგისტრო საფეხურზე კი მომავალ დროშია გაწერილი.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, თეა კორძაძემ, განაცხადა, რომ სავარაუდოდ ტექნიკური ხარვეზია, აქტიური ზმნებით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 23:10
დასრულების დრო: 23:28

აკრედიტაციის საბჭოს მიერ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, გადამუშავდეს ეკონომიკის დამატებითი (Minor) პროგრამა მიზნების, შედეგების და, შესაბამისად, ყველა შემადგენელი კომპონენტის გათვალისწინებით;
2. გადამუშავებას საჭიროებს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგებიდან რიგით მე-2 და მე-6 შედეგი. კერძოდ, (2) ითვალისწინებს ეკონომიკის თანამედროვე კონცეფციებს, თეორიებს და პრინციპებს პრაქტიკაში და (6) ქმნის ეკონომიკის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით, წინასწარ განსაზღვრული მითითებებით, კვლევითი ხასიათის ნაშრომს, ეთიკური ნორმების დაცვით. ამ მიზნით რეკომენდებულია საბაკალავრო ნაშრომის სასწავლო კომპონენტის სტატუსის ცვლილება - არჩევითიდან სავალდებულო სასწავლო კომპონენტებში გადატანა;
3. მიზანშეწონილია, გადამუშავდეს პროგრამის სტრუქტურა, თანმიმდევრულობისა და ლოგიკურობის პრინციპის გათვალისწინებით. ასევე, წინაპირობების ცვლილებით გაფართოვდეს სტუდენტთა დაშვება ,,საბაკალავრო ნაშრომზე“ და მასში აისახოს აკადემიური წერისა და საბაზისო კვლევითი უნარების ცოდნის მიზანშეწონილობა;
4. რეკომენდებულია, სასწავლო კურსის „სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები“ დასახელება დაზუსტდეს და სილაბუსის შინაარსი შეივსოს რელევანტური თემატიკით ისე, რომ ეკონომიკასთან მჭიდრო კავშირი ჩანდეს; რჩება;
5. გადამუშავდეს მსოფლიო ეკონომიკის სასწავლო კურსის შინაარსი, ან შეიცვალოს სასწავლო კურსის სახელწოდება;
6. საინფორმაციო ტექნოლოგიური ცოდნისა და უნარების გაძლიერების მიზნით ეკონომეტრიკის და სტატისტიკის მიმართულებით, პრაქტიკული ნაწილის სწავლებისას გამოყენებული იყოს ისეთი პროგრამები, როგორებიცაა: SPSS, STATA ან სხვა;
7. რეკომენდებულია, ციფრული ეკონომიკის მიმართულებით გადაიხედოს პროგრამის სტურქტურა, ან სასწავლო კურსების თემატიკა;
8. უსდ-მ უზრუნველყოს საწარმოო პრაქტიკის ორგანიზებულად განხორციელება და დამსაქმებლებთან გაფორმებულ მემორანდუმებში აისახოს სტუდენტების რაოდენობა და სტაჟირების ხანგრძლივობას;

9. აუცილებელია პროგრამის საკვანძო საკითხების ირგვლივ ინფორმირებულობის ხარისხის გაზრდა და პროგრამის ხელმძღვანელის უფლებამოსილებების უფრო ქმედითად გამოყენება;
10. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა უფრო მეტად იზრუნოს აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე;
11. რეკომენდებულია შიდა ხარისხის მექანიზმების შესრულებაზე, ასევე, მონიტორინგის პროცედურის (გამოკითხვები, ანკეტებიდან გამომდინარე 49 შედეგები, მათი ანალიზი და სხვა) აქტიურ პრაქტიკაში ეფექტიანად გამოყენებასა და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოსწორებაზე აქცენტების გაკეთება;

რჩევები:
1. სასურველია, სასწავლო კურსების სილაბუსებში თითოეული სალექციო თემის მიხედვით აისახოს სავალდებულო ლიტერატურა კონკრეტული გვერდების მითითებით;
2. სასურველია თანამედროვე, 2016 წლის შემდეგ გამოცემული მოწინავე ლიტერატურის მითითება სასწავლო კურსების სილაბუსებში;
3. სასურველია დაიხვეწოს შეფასების სისტემა, კერძოდ, გამრავალფეროვნდეს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების კომპონენტები, რომლებიც ორიენტირებული იქნება მეტწილ პრაქტიკულ მხარეზე და თეორიის პრაქტიკულ გამოყენებაზე;
4. სასურველია, საბაკალავრო ნაშრომის პლაგიატზე შემოწმების პროგრამის შესახებ სტუდენტების ინფორმფირებულობის ხარისხის გაზრდა;
5. სასურველია კურსდამთავრებულთა ქსელის აქტიური ამოქმედება შესაბამისი ღონისძიებების მოწყობით (მაგალითად, დამსაქმებელთა მოთხოვნების მიხედვით კურსდამთავრებულთა ფორტფოლიოების შექმნა); ასევე, სასურველია, შეიქმნას დარგის პოტენციურ დამსაქმებელთა ბაზა. შესაძლებელია, დაიგეგმოს შესაბამისი დამხმარე ღონისძიებებიც;
6. გააქტიურდეს სტუდენტთა ჩართულობა სამეცნიერო-კვლევით აქტივობაში და სათანადოდ იქნას გამოყენებული უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო შესაძლებლობები;
7. სასურველია უსდ-მ უზრუნველყოს პრაქტიკული კომპონენტებისთვის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა (SPSS და ა.შ);
7. სასურველია, ბიუჯეტის დოკუმენტში უფრო დეტალურად აისახოს კონკრეტული აქტივობები;
9. სასურველია, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშში მე-2 და მე-5 სტანდარტების ბოლოს მიეთითოს „გასაუმჯობესებელი მხარეებიც“. შიდა ხარისხის მექანიზმის ფარგლებში უწყვეტი გაუმჯობესების კონტექსტში ეს ნაწილი საჭიროებს დაზუსტებას;
10. პროგრამის განვითარების პროცესში უმჯობესია გარე ექსპერტის ფარგლებში გამოთქმული რეკომენდაციებისა და უცხოური გამოცდილების უფრო მეტად გათვალისწინება-გაზიარება;
11. სასურველია, უნივერსიტეტმა ჩამოაყალიბოს უშუალოდ ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესი, რომელიც სასწავლო პროცესის სრულ ციკლს შეეხება; ასევე, შეიმუშავოს გზამკვლევები და დისტანციური სწავლის ხარისხის უზრუნველსაყოფად შესაბამისი წინადადებები თუ რეკომენდაციები.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-31 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 31 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 272 მუხლის პირველი პუნქტის, 275 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 276 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის

განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.
კერძოდ საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ აკრედიტაციის 3.2 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნული კომპონენტის ცვლილებას სტანდარტის შეფასება არ შეუცვლია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:

1. გადაიხედოს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის რიგით მე-5 („დაასახელოს ეკონომიკური პრობლემების იდენტიფიცირების, შეფასების და გადაწყვეტის ეფექტიანი გზები“) და მე-9 შედეგი („მუდმივად გაიღრმავოს ცოდნა, მოახდინოს მისი ტრანსფორმირება პრაქტიკაში და, საჭიროების შემთხვევაში, გადასცეს სხვას“), ხოლო რიგით მე-7 შედეგი „ეკონომიკური ანალიზის პროცესში აკადემიური კეთილსინდისიერების და პროფესიული ეთიკის დაცვის“ შესახებ გადავიდეს „პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის“ ნაწილში;
2. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების რეფორმულირება გაზომვადობის უზრუნველსაყოფად;
3. მიზანშეწონილია, რამდენიმე სასწავლო კურსს, როგორიცაა ,,ეკონომიკური პოლიტიკა 2“, ,,ეკონომეტრიკა“, ,,მაკროეკონომიკა (მაღალი დონე)“ განესაზღვროს წინაპირობები;
4. რეკომენდებულია პროგრამული უზრუნველყოფის სწავლება, როგორებიცაა SPSS, Stata, Eviews, R და სხვა;
5. რეკომენდებულია, სასწავლო კურსების „სამეცნიერო წერა“ და „კვლევის მეთოდოლოგია ეკონომიკაში“ ურთიერთგადაფარვის პრობლემა აღმოიფხვრას;
6. რიგ სილაბუსებში (ეკონომიკური პოლიტიკა 1, ეკონომიკური პოლიტიკა 2, სოციოლოგიური კვლევები და ა.შ) აისახოს უახლესი ადგილობრივი და უცხოური ლიტერატურა;
7. უსდ-მ უზრუნველყოს საწარმოო პრაქტიკის ორგანიზებულად განხორციელება;
8. უსდ-მ უზრუნველყოს, რომ დამსაქმებლებთან გაფორმებული მემორანდუმები ითვალისწინებდეს სტუდენტების რაოდენობასა და სტაჟირების ხანგრძლივობას;
9. მიზანშეწონილია, შეფასების ინსტრუმენტები ნათლად გაიმიჯნოს სწავლება-სწავლის მეთოდებისგან, ხოლო რამდენიმე საგნის სილაბუსში სწავლება-სწავლის მეთოდები გამრავალფეროვნდეს ანალიტიკური უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებული მეთოდებით;

10. რეკომენდებულია სამაგისტრო თემის ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ სამაგისტრო თემის შინაარსის შესაბამისობა დარგთან, სწავლების საფეხურთან და სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების წესის სრულყოფილად დაცვა;
11. ეფექტიანი გახდეს პროგრამის ხელმძღვანელის უფლებამოსილებების განხორციელება;
12. რეკომენდებულია, ყურადღება მიექცეს მონიტორინგის ღონისძიებების პრაქტიკაში ეფექტიანად გამოყენებასა და არსებული ნაკლოვანებების, მათ შორის სამაგისტრო კვლევების ფარგლებში ხარისხისა და პრაქტიკის მიმდინარეობის მონიტორინგის შეფასებას, სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესისა და სილაბუსის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას, სამაგისტრო ნაშრომის შეფასების მექანიზმების დახვეწას;

რჩევები:
1. სასურველია, ლექტორების მიერ შემუშავებული სალექციო კურსების რეცენზირება განხორციელდეს მინიმუმ 2 დარგობრივი სპეციალისტის მიერ;
2. უსდ-მ შეიმუშავოს ეფექტიანი მექანიზმი, რითაც მოხდება სტუდენტების წახალისება სამეცნიერო-კვლევით კონფერენციებსა და აქტივობებში ჩასართავად;
3. სასურველია, ფაკულტეტებს მიეცეთ შესაძლებლობა, დააწესონ უფრო მაღალი ზღვარი თავიანთი პროგრამების ფარგლებში; კერძოდ, გაიზარდოს დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (17 ქულა);
4. სასურველია, დაიხვეწოს შეფასების სისტემა, კერძოდ, გამრავალფეროვნდეს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების კომპონენტები, რომლებიც ორიენტირებული იქნება მეტწილ პრაქტიკულ მხარესა და თეორიის პრაქტიკულ გამოყენებაზე;
5. გაუმჯობესდეს სტუდენტების ინფორმირებულობა პროგრამაზე, რომელიც პლაგიატზე ნაშრომების შემოწმების შესაძლებლობას იძლევა;
6. სასურველია კურსდამთავრებულთა ქსელის აქტიური ამოქმედება შესაბამისი ღონისძიებების მოწყობით (მაგალითად, დამსაქმებელთა მოთხოვნების მიხედვით კურსდამთავრებულთა პორტფოლიოების შექმნა);
7. შეიქმნას დარგის პოტენციურ დამსაქმებელთა ბაზა. შესაძლებელია, დაიგეგმოს შესაბამისი დამხმარე ღონისძიებებიც. გააქტიურდეს კარიერული სამსახური სტუნდენტთა კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმების მიზნით; კერძოდ, ადმინისტრაციის მხრიდან გააქტიურდეს შეხვედრა/სემინარების ორგანიზება დარგის პოტენციურ დამსაქმებლებთან;
8. სასურველია დაწესებულებამ/ფაკულტეტმა პროგრამის ფარგლებში აამოქმედოს დამატებითი სტიმულირების მექანიზმები, რათა ხელი შეუწყოს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას საერთაშორისო პროექტებსა და გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო კონფერენციებში;
9. სასურველია, მეტი ყურადღება დაეთმოს სტუდენტებში ცნობადობის ამაღლებას სამეცნიერო ბაზების გამოყენების შესახებ, ასევე, სამაგისტრო ნაშრომების გაფორმებას მსოფლიო პრაქტიკაში აღიარებული თანამედროვე ფორმატის მიხედვით (იგულისხმება სამეცნიერო სიახლის, სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობების გამოკვეთა, მეცნიერული სტილის მკაცრი დაცვა, კვლევის მეთოდების და შედეგის და სხვა), სტუდენტთა ინფორმირებას პლაგიატისა და საუნივერსიტეტო რეგულაციების შესახებ პლაგიატის გამოვლენის შემთხვევაში;
10. სასურველია, გაიზარდოს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში სამაგისტრო თემის ხელმძღვანელთან ვიზიტის შეხვედრები 2-დან 4-მდე მაინც. რჩება
11. კარგი იქნება, უნივერსიტეტმა გააგრძელოს პროფესორ-მასწავლებელთა მიერ პროფესიული განვითარების კურსებისა თუ ტრენინგების გავლის მიმართულებით მხარდაჭერა, ასევე, უზრუნველყოს მიღებული მონაცემების აქტიურ პრაქტიკაში ინტეგრირება;
12. სასურველია, სწავლებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი ხარჯვითი კომპონენტი რომ ყოფილიყო ასახული პროგრამის ბიუჯეტში;

13. სასურველია გარე ექსპერტის რეკომენდაციების ეფექტიანად გამოყენება პროგრამის სრულყოფისთვის, ასევე, პროგრამის ხარისხის ამაღლებისთვის გარე შემფასებლების ანალოგი პროგრამების უცხოელი პროფესორების წინადადებებისა და რჩევების მიღება-გათვალისწინება;
14. სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშავოს ელექტრონული სწავლების კონცეფცია და ადმინისტრირების წესი, რომელიც სასწავლო პროცესის სრულ ციკლს ასახავს, შესაბამისი გზამკვლევები და ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის რეკომენდაციები.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-31 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 31 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 272 მუხლის პირველი პუნქტის, 275 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 276 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2021 წლის 17 დეკემბერს 23:30 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ